ეროვნული თავისუფლების გზით – პირველნული თავისუფლებისაკენ
პირველული თავისუფლების გზით – ეროვნული თავისუფლებისაკენ

ეროვნული ბიბლიოთეკა
169

საქართველო

საქართველოს სახალხო ფრონტის ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი
შუალედებში გამოდის მხოლოდ სპეციალური (თემატური) ნომრები. ● №1 (2032) 16.04.2008 ● ფასი 30 თეთრი

საქართველოს რესპუბლიკური პარტია აკადემიურ გამოთქმათა ჩარჩოებში

ამ ჩარჩოებში ამ თემის ჩატევა ძნელია, მაგრამ შეუძლებელი არ არის. „აკადემიურს“ ვუწოდებ ისეთ განხილვას, რომელიც ცდილობს, თემა დასახსროს მკაფიო დელიკატური „არა“-თი და მკაფიო დელიკატური „ჰო“-თი პასუხგასაცემ საკითხებად, ამასთან, ამ „არას“ და „ჰოს“ არ გამოთქვამს დასაბუთების გარეშე, ხოლო თუ გამოთქვამს, იმასაც აღნიშნავს მკაფიოდ და კეთილსინდისიერად, სად თავდება დასაბუთება და სად იწყება ჰიპოთეზების საუფლო.

ხსენებული თემა მე მაინტერესებს იმიტომ, რომ „რესპუბლიკელები“ (ასე ვუწოდოთ მათ სიმოკლისათვის) დღეს,



2008 წლის მარტში, უმიზნებენ საქართველოს პარლამენტის ადგილთა უმრავლესობის განაწილებას მმართველ პარტიასთან, „ნაციონალებთან“ ერთად და, ამგვარად, ჩემის აზრითა და დაკვირვებით, მყარი ანტიქართული კვალიფიციური (ანუ ორმესამედიანი) საპარლამენტო უმრავლესობის შექმნას გეგმავენ, რომელიც სწრაფად განახორციელებს საქართველოს სახელმწიფოებრივი დანგრევის დღესდღეობით მომუშავე პროგრამას. მათს ბრძოლას პარლამენტისათვის დღეს სერიოზული ხასიათი აქვს, მიუხედავად იმისა, რომ საამისოდ არანაირი მონაცემი არ გააჩნიათ ძალიან ძლიერი უცხო მხარდაჭერისა და ძალიან დიდი უცხო დაფინანსების გარდა. ამიტომ მათი დღევანდელი საქმიანობის რეალისტური გათვალისწინებაც და მათი მომავალში მოსალოდნელი ანტიქართული და ანტისახელმწიფოებრივი დივერსიული ქმედებების პროგნოზირებაც საჭიროა.

ამ პარტიის ბუნებასა და რაობას (მისი ვინაობა ანუ მისი პირადი შემადგენლობა არ მაინტერესებს) მე განვიხილავ ორ განზომილებაში: მათი მომზადებულობის ხარისხის თვალსაზრისით და მათი ერთგულება-ორგულობის თვალსაზრისით. დასასრულ, ამ მსჯელობას ნიმუშად დავურთავ მათი პოლიტიკური „აზრობრივი“ მოქმედებისა და „აზრობრივი“ შემოქმედების ერთი ტიპობრივი ნაწილის განხილვას.

I. „რესპუბლიკელების“ მომზადების დონე

მათი ერთი განაცხადი საპარლამენტო არჩევნებში ბრძოლისათვის ის არის, რომ ამბობენ „კვალიფიცირებულნი“ ვართო (მე ეს გამოთქმა მათგან მომისმენია ტელეეკრანიდან დ. ბერძენიშვილის გამოსვლის სახით). ეს გამოთქმა, საფიქრებელია, გულისხმობს მათს „კვალიფიცირებულობას“ საქართველოში დღეს მოქმედ სხვა პარტიათაგან (ან ასეთთა უმრავლესობისაგან) განსხვავებით, და არა დასავლეთსა და არმოსავლეთში დღეს მიღებულ სტანდარტებთან შედარებით, რომლებიც (ეს სტანდარტები) მოიცავენ (ცხადია, სრულებით არაოფიციალურად) მრავალმხრივ დარგობრივ კვალიფიკაციებს (ცოდნას), რის პრეტენზიასაც რესპუბლიკელები ვერ განაცხადებენ (რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში წამსვე მხილებულნი იქნებიან დეზინფორმაციაში), – ამ რიცხვში (და, საფიქრალია, პირველ რიგში), კეთილი ნების არაერთი პარტიისაგან განსხვავებით, რომელიც მონდომებულია საქართველოს გადარჩენისათვის, მაგრამ, სამწუხაროდ, პოლიტიკური პრობლემების გააზრების რესურსი არ შესწევს. მე მიმაჩნია, რომ „რესპუბლიკელთა“ ეს ხედვა საკუთარი თავისა ზედმეტად ოპტიმისტურია: ისინი კეთილი ნების ზემოხსენებული პარტიებისაგან განსხვავდებიან მხოლოდ ნების მიმართულებით, ანუ ზემოხსენებული კეთილი ნების უქონლობით, მაგრამ არა იმით, რომ მიტინგზე ხმის აწევის გარდა რამე იციან, რამე კონკრეტული ჩანაფიქრი აქვთ სახელმწიფოს გადარჩენის მიმართულებით ან ხელისუფლების მოღალატურ პოლიტიკაში რამე კონკრეტულ ილეთს ჭვრეტენ იმის გარდა, რაც დღეს უკვე ყველამ იცის. ჩემი არგუმენტები ამ მწუხარე განზოგადებისთვის შემდეგია:

ა) სიტყვა „პოლიტიკა“ ორ სხვადასხვა რასმე გულისხმობს. პირველი: რა უნდა მოიმოქმედოს სახელმწიფომ თავის ხელისუფალთა სახით, რათა ქვეყანა იყოს კეთილდღიანი და საგარეო ურთიერთობებში თავდამკვიდრებული. მეორე: რა უნდა მოიმოქმედოს ამა თუ იმ პოლიტიკურმა ერთეულმა (ვთქვათ, პარტიამ, ჯგუფმა, ბლოკმა და ა.შ.), რათა სახელმწიფოს ხელისუფლებაში ადგილი მოიპოვოს. მთავარი და სასარგებლო ამ ორში, რა თქმა უნდა, მხოლოდ პირველია (დანარჩენი თვით ამ ჯგუფის ინტერესია და არა სახელმწიფოსი). „რესპუბლიკელებს“ ამ თემაზე – ანუ სახელმწიფოს ოპტიმალური პოლიტიკის თემაზე – აზრი არა აქვთ, ხოლო რაც აქვთ, ის ეხება კონკრეტულად აფხაზეთის თემასა და სახელმწიფო ტერიტორიული მოწყობის, სახელდობრ, ფედერალიზაციის თემას, რაც გარედან შემოსახლებით დაანგრიონ ჩვენი სახელმწიფო, და რით შეგვიძლია ჩვენ მათგან დაცვა? რამდენად მასშტაბურია სახელმწიფოებრივი ხიფათი პორტების გასხვისებისა, გზების გასხვისებისა, წყლის გასხვისებისა და ა.შ.? რის გასხვისებას შეგვიძლია შევურიგდეთ ამა თუ იმ პირობებში და რისას –არა? ეს საკითხები, ანუ მართლაც სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური საკითხები რესპუბლიკელებისათვის არ არსებობს იმიტომაც, რომ ეს მათ არ აინტერესებთ (როგორც ვთქვით, მათი მიზანია არა საქართველოს ხელისუფლების მიერ საქართველოს სწორად მარნიზმებს (იმავე მიზნით) და ა.შ., მაგრამ მათთვის სრულებით უცხო ხილია სახელმწიფოს ოპტიმალური კურსის განმსაზღვრელი ძირითადი საკითხები, როგორიცაა, ვთქვათ, გათვლა: რა უნდა საქართველოში რუსეთს და რა აშშ-ს და როგორი უნდა იყოს, შესაბამისად, საქართველოს პოლიტიკა ამ ორი ძალის მიმართ? როგორია ამერიკულ-ირანული ურთიერთობების პერსპექტივა და რა გამომდინარეობს აქედან საქართველოსათვის? რატომ და რატომ არის საქართველოსათვის აუცილებელი დსთ-დან გამოსვლა, როდის და რა იურიდიული ფორმით? როდემდე გაგრძელდება ჩინეთის მშვიდობიანი ეკონომიკური წინსვლა და როდის გავარდება (ან: გავარდება თუ არა?) მსოფლიოს ორ სუპერგიგანტს შორის პირველი თოფი, მაშასადამე, (შესაბამისად) როგორ უნდა წარმართოს საქართველომ თავისი მოქმედება დასავლეთ-აღმოსავლეთის ამიერკავკასიური დერეფნის საკითხებთან დაკავშირებით, რომლებიც მსოფლიო პოლიტიკის ერთერთი ღერძია დღეს? რომელ და რომელ ძალებს აქვთ განზრახვა, რომ საქართველოში სსრკ-ს მიერ მესხეთიდან გასახლებულთა შთამომავლობისა და „შთამომავლობის“ განუკითხავი შემოსახლებით დაანგრიონ ჩვენი სახელმწიფო, და რით შეგვიძლია ჩვენ მათგან დაცვა? რამდენად მასშტაბურია სახელმწიფოებრივი ხიფათი პორტების გასხვისებისა, გზების გასხვისებისა, წყლის გასხვისებისა და ა.შ.? რის გასხვისებას შეგვიძლია შევურიგდეთ ამა თუ იმ პირობებში და რისას –არა? ეს საკითხები, ანუ მართლაც სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური საკითხები რესპუბლიკელებისათვის არ არსებობს იმიტომაც, რომ ეს მათ არ აინტერესებთ (როგორც ვთქვით, მათი მიზანია არა საქართველოს ხელისუფლების მიერ საქართველოს სწორად მართვის უზრუნველყოფა, არამედ ხელისუფლებაში ყოფნა, ტივტივი რაგინდარა ანტისახელმწიფოებრივი ხროვის გვერდით), და იმიტომაც, რომ ამ მძიმე საკითხებში გარკვევას – რუკის ადექვატურად კითხვას და პროცესების ადექვატურად ხედვას (რის გარეშეც სახელმწიფოს მართვაში მონაწილეობა მაღალ საფეხურებზე შეუძლებელია) – როგორც ჩანს, სხვა ინტელექტუალური ბუნებისეული მონაცემები, შრომის სხვა ზომა და მონდომებისა თუ პასუხისმგებლობის გრძნობის სხვა დონე სჭირდება, ვიდრე ამ „კვალიფიცირებულ“ პარტიას მოეპოვება.

ბ) სხვადასხვა მიზეზთა გამო (რომლებსაც არ ჩამოვთვლი, რადგან ცნობილია) საქართველო დღეს უაღრესად არატიპიური საშინაო და საგარეო სიტუაციის მქონე ქვეყანაა, რის გამოც დღეს საქართველოს არა მხოლოდ ე.წ. „დიდი პოლიტიკის“ პრობლემებთან შეჭიდება მოითხოვს ღრმად გააზრებულსა და გათვლილ გადაჭრებს, არამედ მისი შინაური ყოველდღიურობის მართვაც. ის ზოგადი სტანდარტები, რომლებსაც დღეს ჩვენი ზეგანვითარებული მეგობარი ქვეყნების კომპეტენტური სპეციალისტები გვაშველებენ, რა თქმა უნდა, ჩვენთვის ზოგჯერ გამოსადეგია და ზოგჯერ – არა. პოლიტიკური პარტიის ხარისხის უტყუარი საზომია, აქვს თუ არა მას დასაბუთებული და გათვლილი მოსაზრებები ამ მიმართულებით, ანუ საქართველოს არატიპიური შინაური ყოველდღიურობისთვის შესაბამისი არატიპიური ქმედითი ნაბიჯების მოფიქრების მიმართულებით, ხოლო თუ აქვს, რა რაოდენობისა და რა ხარისხისა აქვს. („ახლებს“, მაგალითად, აქვთ დემოგრაფიული რაციონალიზაციისთვის განკუთვნილი პროგრამა, თუმცა მე პირადად ეს პროგრამა ძალიან

ვაგრძელება მე-2 გვერდზე

პირველი გვერდიდან

დაშორებულად მიმაჩნია შესაძლებელი ოპტიმუმისაგან, ლეიბორისტებს აქვთ პატარ-პატარა კონკრეტული პროგრამები და ა.შ. და ა.შ.). „რესპუბლიკელებს“ ეს არა აქვთ – არც საზოგადოების რეალური შველის მიზნით, არც, თუ გნებავთ, „პიარის“ მიზნით. მათ ეს სფეროც, უბრალოდ, არ იციან (არც აინტერესებთ). პოლიტიკური აზრისა და პრაქტიკის ამ მეორე უმნიშვნელოვანეს პარამეტრში ისინი, უბრალოდ, არაკომპეტენტურნი არიან.

ამ ორი სამწუხარო თეზისის ილუსტრაციად დავიმოწმებ ფაქტს. „რესპუბლიკელთა“ პარტიის დღესდღეობით ლიდერი დ. უსუფაშვილი, თავის კოლეგათა დიდი უმრავლესობისაგან განსხვავებით, პოლიტიკასთან დაკავშირებული სპეციალობის პატრონია (იგი იურისტია), ანუ აქვს თავისი პროფესიული კუთხე, რომლიდანაც ძალუძს (თუკი ამისათვის ბუნებისაგან მოწოდებულია) და ევალება (თუკი მოვალეობის შეგნება აქვს) პოლიტიკის ამა და ამ პარამეტრებში სახელმწიფოს მოქმედების ოპტიმალური (ანუ ყველა სხვაზე უმჯობესი), უფრო მეტიც – პერსპექტიული (ანუ ამოცანის რეალური გადაჭრის მომტანი) ხაზი განსაზღვროს. დ. უსუფაშვილს (რომელსაც ვ.ხმალაძე ამ ოცი წლის წინ მიქებდა, როგორც ძალიან პოზიტიურსა და ჭკვიან ახალგაზრდას, რასაც ჩემი პირადი შთაბეჭდილებაც მიდასტურებდა), რამდენადაც ვიცი, ერთხელ მაინც მიეცა შესაძლებლობა ამ საქმეში თავი გამოეცადა, სახელდობრ, სახელმწიფო პოლიტიკის ძალიან მნიშვნელოვანი საკითხი გაეაზრებინა თავისი პროფესიული ასპექტით და რეკომენდაცია შეემუშავებინა. ეს იყო მაშინ, როცა იგი იყო კორუფციასთან საბრძოლველად შექმნილი სპეციალური კომისიის ერთერთი წევრი. კომისიის მუშაობა ნულოვანი შედეგით დამთავრდა: კორუფცია ხელუხლებელი დარჩა, მისი სისტემა – ცოცხალი და მოქმედი. მაგრამ საქართველოსათვის სავალალოც და სამარცხვინოც მხოლოდ ეს კი არ იყო, არამედ ისიც, რომ კომისიის ვერც ერთმა წევრმა საქართველოს სახელმწიფოებრივი აზროვნების საგანძურში იოტისოდენა აზრიც ვერ ჩადო ჩვენი ქვეყნის ატიპიურ სიტუაციაში ამ მძიმე სენთან ბრძოლის თუნდაც ერთი ასევე ატიპიური ილეთის მოფიქრების სახით, მათ შორის ვერც უსუფაშვილმა. მან (სხვებთან ერთად) ვერ მოისაზრა, რომ ასეთი გზა არა თუ არსებობს (თუკი გონებას ძალა დაატანეთ), არამედ ხელის გულზეც დევს, და არსებობს არა მხოლოდ ერთი ასეთი გზა, არამედ მრავალი, ერთს დავასახელებ. იმ არატიპიური ფაქტიდან, რომ საქართველოში კორუფცია ლამის ყოვლისმოცველია, ანუ მოსახლეობის კატასტროფულად დიდი ნაწილი გულის სიღრმეში თანახმაა, რომ კორუფციულმა სისტემამ იარსებოს (რადგან ფარული იმედი აქვს, რომ მასაც ოდესმე ვიღაცა ქრთამს მისცემს და თვითონაც „საჭირო კაცს“, თუკი ღმერთმა დაიფაროს და დასჭირდა, მოქრთამავს), გამომდინარეობს, რომ საქართველოში უნდა რადიკალურად გაფართოვდეს (და პრაქტიკულად ძალიან ადვილია, რომ გაფართოვდეს) კორუფციასთან ბრძოლის ფრონტი, ანუ რადიკალურად უნდა გაიზარდოს იმ თანამდებობათა (უფრო მეტიც – იმ პირთა) რიცხვი, რომელთაც ინიციატივის უფლება და შესაძლებლობა აქვთ, რათა ამა თუ იმ საკმარისად მსხვილი კორუფციისმიერი დანაშაულის გამო მოკვლევა და გამოძიება შედგეს, რაც, რაგინდარა დაბალი დარჩეს საზოგადოების მორალური მომზადების დონე ამ სფეროში, კორუმპირებულ მოხელეს მაინც რადიკალურად გაუძნელებს და გაუძვირებს თავისი დანაშაულებრივი ზრახვის განხორციელებას (მოკვლევის რამდენი მოხალისის მოქრთამვა დასჭირდება მას, როგორც დღეს თავისი რაიონის პროკურატურას და გენერალურ პროკურატურას ქრთამავს?). თუ ეს ატიპიური ხერხი მიღებულია (საქართველოს სიტუაციის ატიპიურობის გამო), მაშინ დანარჩენი ყველაფერი არც თუ რთული იურიდიული ტექნიკის საქმეა. უსუფაშვილს ვერც მისმა პროფესიულმა მომზადებამ, ვერც მისმა სახელმწიფოებრივი აზროვნების ნიჭმა, ვერც ამ ორის კომბინაციამ ვერ უკარნახა ვერც ეს მარტივი გზა, ვერც სხვა რომელიმე უკეთესი, ანუ იგი, კომისიის სხვა წევრებთან ერთად, კომისიის კაპიტულაციას შეურიგდა.

სხვა რამ მიღწევა დ. უსუფაშვილის პროფესიული ცოდნისა და მისივე სახელმწიფოებრივი აზროვნების ზემოხსენებული კომბინაციისა ჩემთვის ცნობილი არ არის. ამიტომ ბუნებრივია დასკვნა კითხვის სახით: თუ კაცმა ორმოცი წლის ასაკამდე (დ. უსუფაშვილი, მე მგონი, დაახლოებით ამ ხნისაა) სახელმწიფო პოლიტიკის გააზრებაში ნაყოფი ვერ მოიტანა, მაშინ რომელმა სასწაულმა უნდა განაპირობოს ის, რომ მომავალში მოიტანოს, და ამ მომავლის იმედით „რესპუბლიკელთა“ თავმჯდომარე (უსუფაშვილის თანამდებობა „რესპუბლიკურ პარტიაში“ დღეს ეს გახლავთ) თავს უფლებას აძლევდეს თავისი თავი საქართველოს უმაღლეს პასუხისმგებლობათა ტვირთვის კანდიდატად წარადგინოს?

ჩვენ ვახსენეთ „რესპუბლიკელთა“ ისეთი ლიდერი, რომელსაც შეუძლია პოლიტიკას თავისი საკუთარი პროფესიული (დარგობრივი) კუთხით მიუდგეს, თუნდაც უნაყოფოდ, რადგან ასეთი კუთხე მას აქვს. ამ პარტიის დღესდღეობით პარლამენტარ ლიდერებს ასეთი კუთხე არა აქვთ, მათ პოლიტიკაში სამოღვაწეოდ მხოლოდ აზრის ბუნებრივი სიღრმე, სისწრაფე, მორალური სიმყარე, მტკიცე გული და სხვა ამგვარი ზეგარდმო მონიჭებული თვისებები უნდა ჰქონოდეთ. (აქვთ თუ არა და ჰქონიათ თუ არა, ეს სხვა საკითხია). გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ამგვარ საჭირო თვისებათა სპექტრი და, კერძოდ, ამისათვის საჭირო ცოდნის სპექტრიც ძალიან ფართოა: იგი მოიცავს არა მხოლოდ ცოდნისა და ბუნებრივი ნიჭის გამოვლენის ისეთ ოდითგანვე ცნობილ სფეროებს, როგორიცაა სამხედრო საქმე, ეკონომიკა, სამართალი და ასე შემდეგ, არამედ ნაკლებ თვალში საცემსაც, როგორიცაა, ვთქვათ, ადამიანის ფსიქოლოგიის ცოდნა, სათანადო ინტუიცია და ამ რიგის სხვა უნარები. ეს პოლიტიკისათვის (ყოველ შემთხვევაში, პარლამენტის დონის პოლიტიკისათვის) აუცილებელი ცოდნის ჩამონათვალი სხვათა შორის მოიცავს ელემენტარულ ჩახედულებასაც არაბიოლოგიურ, ე.წ. ფილოსოფიურ ანთროპოლოგიაში, ანუ იმაში, თუ რა და რა არის ადამიანის ყველაზე ფუნდამენტური განსხვავება სხვა სულიერებისაგან და, მაშასადამე, ადამიანის განუსხვისებელი უფლებაც, რა არის მისი ღირებულებები, რაც ისევ და ისევ მის ბუნებრივ უფლებებს განსაზღვრავს, და ა.შ., რათა იცოდეთ, მაგალითად, ის, რომ დემოკრატია, რომელსაც დღეს მსოფლიოს სთავაზობენ, როგორც ღირებულებას (რაც ფრიად პრიმიტიული მსჯელობაა), სინამდვილეში ღირებულება კი არ არის, არამედ ერთერთი შესაძლო წყობაა სხვა წყობათა შორის, მაგრამ ისეთია, რომელიც თავის გაწირვად ღირს, რადგან იგი უკეთეს ბაზას წარმოადგენს, ვიდრე რომელიმე სხვა წყობა, ორი აბსოლუტური ღირებულების – თავისუფლებისა და თანასწორობის – რეალიზაციისათვის, (თუმცა ამავე დროს არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ ამ ორის გარდა კიდევ არაერთი ასეთივე ძალის ღირებულება არსებობს: სამართლიანობა, ერი, შვილი, მეგობარი და მრავალი სხვა). ვინც ეს იცის, ის „თავისუფლების ინსტიტუტის“ ინფანტილურ ტიტინს არ შეისმენს (არამედ ორი წინადადებით დაუკარგავს მას თავისი ამ ცოდნის საქართველოში გასაღების ხალისს), ასევე არ გაუჭირდება „განსხვავებული სქესობრივი ორიენტაციისთვის“ ბრძოლის „პროტაგონისტთა“ და მათ მსგავსთა „პრობლემის“ მომთავრება წმინდა ვერბალურ დონეზე, და ა.შ., ანუ ის თავსა და ქვეყანას ბევრ გარჯას დაუზოგავს და ბევრი უსიამოვნებისაგან დაიცავს. ვინც არ იცის, ის გამოუვლად ჩაეფლობა ამ „პრობლემების“ ჭაობში. თუ პარლამენტში ხართ, ანუ პოლიტიკის ამ უმაღლეს დონეში მონაწილეობთ და სათანადო პასუხისმგებლობები გაწევთ, მაშინ ვალდებული ბრძანდებით, ეს იცოდეთ, რათა, მაგალითად (ახლა უფრო მაღალ დონეს შევეხოთ), შეგეძლოთ გამანადგურებელი პასუხის გაცემა ეუთოს საქართველოს მისიის პრიმიტიული და უპასუხისმგებლო „რეკომენდაციებისათვის“ ცხინვალის კონფლიქტის დარეგულირებასთან დაკავშირებით, სადაც შავით თეთრზე წერია (1994), რომ, თუ ქართველებს უნდათ დემოკრატები იყვნენ, მაშინ საქართველოს მიწაწყლის ერთ ნაწილს, ადგილობრივი ოსური მოსახლეობის სურვილიდან გამომდინარე, „სამხრეთ ოსეთი“ უნდა დაარქვან (ანუ ამ ტერიტორიაზე სამომავლოდ უარი უნდა თქვან) და მას „რესპუბლიკის“ სტატუსი მიანიჭონ. იგივე უნდა მოიმოქმედონ, რეკომენდაციის თანახმად, იმ შემთხვევაშიც, თუ უნდათ, ევროპელები იყონ. (ქართველთა „დემოკრატობისა“ და „ევროპელობის“ ხარისხის განსაზღვრას ეუთოს მისია, როგორც ჩანს, თავის პრეროგატივად თვლის). „რესპუბლიკელ“ პარლამენტარებს, რომელთაც მმართველი პარტიისა და მისი მორჩილ-აგრესიული საპარლამენტო უმრავლესობის კრიტიკის სურვილი ნამდვილად ჰქონდათ ამ ოთხი წლის მანძილზე (ყოველ შემთხვევაში, რამდენიმე თვის თავზე მაინც იმ დღიდან, როცა „ნაციონალებისა“ და ჟვანიას სიით პარლამენტში გავიდნენ), არც ამ სახის (ანუ ჰუმანიტარული) ცოდნა და ბუნებრივი ალღო აღმოაჩნდათ (რომელიც ცოდნის დეფიციტს ამცა თუ იშვიათად წარმატებით ავსებს), არც ელემენტარული კერძოდ იურიდიული ცოდნა. ამიტომ მათ მმართველ პარტიას შეარჩინეს ისეთი ბარბაროსული დარღვევები იურიდიული (კონსტიტუციური) ნორმებისა, როგორიც იყო და არის ამ პარლამენტის მიერ თავისი თავის გადაქცევა არა მხოლოდ კანონმდებელ, არამედ აგრეთვე მმართველ ორგანოდ, რაც იმაში გამოიხატება, რომ წამდაუწუმ იცვლება კანონები დღიური „ამოცანების“ მიხედვით (და ეს ამოცანა, როგორც წესი, ამა თუ იმ გავლენის ჯგუფის ან სულაც მაფიური ჯგუფის გახარებაა ხოლმე); შეარჩინეს ეკონომიკისათვის დამანგრეველი კანონიც ერის საარსებო ბაზის – მიწის გატანისა ღია ბაზარზე, სადაც დღეს არც ერთი კონკურენტუნერიანი ქართველი ან საქართველოს მოქალაქე არ ფიგურირებს; შეარჩინეს განათლების სისტემის დანგრევა, რაშიც არსებითი როლი შეასრულა პარლამენტის მიერ მიღებულმა ბარბაროსულად უმეცრულმა და დესპოტურმა კანონმა უმაღლესი და საშუალო განათლების შესახებ, და ა.შ.. აქ შეგნებულად არ ვახსენებთ რესპუბლიკელი პარლამენტარების დამოკიდებულებას პარლამენტის ანტისახელმწიფოებრივი მოქმედებებისადმი და ასევე ანტისახელმწიფოებრივი დუმილისადმი აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის საკითხებში: ამ სფეროში, ჩემი უყოყმანო აზრით, რესპუბლიკელები უცხო (რუსულ) შეკვეთას ასრულებენ, ამიტომ ეს მათი მხრიდან სხვა მუხლით გათვალისწინებული დანაშაულია, ვიდრე ქმედებები და დუმილი, რომელიც წელან ვახსენე. რაც შეეხება მიწას, განათლებას, აღმასრულებელი ფუნქციების უზურპაციას პარლამენტის მიერ, აქ რუსის დავალება არ ჩანს. აქ მოქმედებს, პირველ ყოვლისა ან უპირატესად, თვით პარლამენტართა მომზადების დეფიციტი (რა თქმა უნდა, კეთილი ნების დეფიციტთან ერთად).

დასკვნა ნათელია: სახელმწიფო დონის პოლიტიკისათვის, მაშასადამე –საპარლამენტოსთვისაც, რომელიც ამ უკანასკნელის ერთერთი სფეროა, „რესპუბლიკელები“, მიუხედავად თავისი თავდაჯერებული განაცხადისა, „კვალიფიცირებულნი“ არ არიან. მართალია, ისინი (ყველაზე მეტად – ლ. ბერძენიშვილი) საუცხოოდ საუბრობენ მმართველი გუნდის არადემოკრატიულობაზე, კო-

გაგრძელება მე-3 გვერდზე

მე-2 გვერდიდან

რუფციაზე, მის მიერ კანონის დარღვევაზე და სახელმწიფო სახსრების მითვისებაზე და ა.შ. (რაც უმათოდაც ფართოდ ცნობილია) და ამ მართლაც ყოველგვარ კრიტიკაზე დაბლა მდგომ გუნდს ყველა სახის კრიმინალურ ქმედებაში ამხილებენ (რაც, თავისთავად, ფრიად საპატიო და სასარგებლო საქმეა), მაგრამ ეს საუბრები მათი შეძლების საზღვარია. ამ ნიშნულის იქით, ანუ უხეშ შეცდომებსა და დანაშაულობებში ხელისუფლების ჩაჭერის იქით არ მიდის მათი სხვა, არაპარლამენტარი წარმომადგენლების გამოსვლაც პოლიტიკური ტრიბუნიდან (მათი ამ ტრიბუნასთან მისვლის არასასახელო ისტორიული გზა ზემოთ ვახსენეთ). ყოველდღიური სასამართლო უსამართლობის მხილებისა და მასთან ბრძოლის იქით არ მიდის არც სოროსის კმაყოფაზე მყოფი „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის“ მუშაობა, რომლისთვისაც პირადად მეც არაერთხელ მიმიმართავს ამა თუ იმ უდანაშაულო და უსამართლოდ დაჩაგრული უცნობი ადამიანის დაცვისათვის, რომელიც ამ მიზნით ჩემთან მოსულა. ეს, რა თქმა უნდა, დიდად საპატიო შრომაა და გარჯაა. მაგრამ ეს ვერანაირად ვერ დაჩრდილავს იმ ფაქტს, რომ სახელმწიფოს მართვა, მისი კანონმდებლობის ქმნისა და მეთვალყურეობის ჩათვლით, რაც პარლამენტის საქმეა, სულ სხვა სახის შრომას მოითხოვს და ამ უკანასკნელის არაკვალიფიციურად გაწევა, რასაც რესპუბლიკელები თავისი საპარლამენტო-საარჩევნო გეგმებით გვიქადიან, იგივეა, რაც საჭესთან თავისი საქმის არმცოდნე მძღოლის ჯდომა.

არ მინდა ისე გამიგოს ვინმემ, თითქოს ამ შენიშვნით ვეწინააღმდეგებოდე პარლამენტში, რომლის ხელშიც სახელმწიფოს ბედია, შედარებით დაბალი კვალიფიკაციის კაცის ყოფნას ყოველთვის და ყველა პირობებში. ასეთი ფუფუნების უფლება ჩემი ქვეყნის მოქალაქეებს არა გვაქვს. საქართველოს პარლამენტი დღეს, ისევე როგორც ყველა სხვა განსაცდელში მყოფი და უცხო შემოტევის მუდმივი საშიშროების წინ მდგომი პატარა ქვეყნისა, მხოლოდ აზრისა და სიტყვის ადგილი კი არ არის, არამედ პირდაპირი, თავგანწირული ბრძოლისაც ქვეყნის ერთგულ პიროვნებებსა და ორგულებს შორის. პარლამენტარს სახელმწიფო გონების გარდა მოეთხოვება პირველ რიგში კეთილი ნებაც, ანუ ქვეყნის ერთგულება თვით სიცოცხლის ფასადაც კი, რათა არ მისცეს ხმა ისეთ საპარლამენტო აქტებს, როგორიც იყო, მაგალითად, საქართველოს შეთრევა ესენგეში შევარდნაძის მიერ და ქართული მიწის უცხოელებზე გაყიდვის დაკანონება დღევანდელი ხროვის მიერ. ამიტომ ნაკლები მომზადების, მაგრამ მტკიცე გულის კაცის ყოფნა საქართველოს პარლამენტში დღეს დასაშვებია. დაუშვებელი მხოლოდ ერთია: პარლამენტის ყოფნა მხოლოდ ასეთი, კეთილი ნებისა და მცირე კვალიფიკაციის წევრთა ანაბარა. მაგრამ რაკი ეს ასეა, ამით ორმაგად მწვავდება საპარლამენტო კანდიდატთა მორალური შერჩევის საკითხი. არიან ისინი იმ კეთილი ნების მატარებელნი, რომელიც თუნდაც უკმარისი კვალიფიკაციის მქონე ადამიანს უფლებას აძლევს პარლამენტში ადგილი ეკავოს? ამ კითხვით „რესპუბლიკელთა“ მორალური ხარისხის საკითხს მივადექით და მასზე პასუხის ძებნაც სრული ობიექტურობით გვმართებს.

2. „რესპუბლიკელების“ ერთგულების საკითხი

სხვადასხვა მითქმა-მოთქმის — როგორც წესი, უავტოროს — გარდა, რომლის მხედველობაში მიღება არც ამ შემთხვევაში, არც სხვა რომელსამე შემთხვევაში არ გვმართებს, მე ამ თემაზე საუბარი მოსმენილი მაქვს ეკრანიდან, სადაც მავანი და მავანი (მისი ვინაობა არ მახსოვს) ლევან ბერძენიშვილს უტევდა, „ყოფილი თუ დღევანდელი „ნასედკები“ ხართო“, და დაახლოებით ამავე შინაარსის დისკუსია მაქვს წაკითხული გაზ. „ასავლ-დასავალში“. ჩემთვის ამგვარი პუბლიკაციების ინფორმატიული ღირებულება ნულის ტოლია. მირჩევნია (და ამ მოჯნის იქით გასვლის უფლებას თავს არასოდეს მივცემ), რომ ვიმსჯელო მხოლოდ ისეთი ფაქტებით, რომელსაც თვალით ვხედავ. თვალით ნახული მეუბნება, რომ „რესპუბლიკური პარტია“ თავისი ლიდერებისა და აქტიური წევრების სახით ასრულებს ორ

შეტრიალდება ამერიკა? და, თუ შეტრიალდება, საით?



ობამა თუ აირჩიეს, იგი იქნება ამერიკის პირველი შავკანიანი პრეზიდენტი (რასაც, ცხადია, დიდი ფსიქოლოგიური გავლენა ექნება მსოფლიოზე და რასაც მხედველობაში იღებენ ამომრჩევლები). დღეს იგი, თუ დავუჯერებთ „The Economist“-ის კომპეტენტურ აზრს, ჯერჯერობით, მხოლოდ „ფენომენის“ სტატუსით ფიგურირებს საზოგადოების თვალში — მისი განხილვა, როგორც შესაძლო პრეზიდენტისა, ანუ მისი პროგრამული პრინციპებისა და მისი მმართველობითი თვისებების დეტალური „ჩითვა“, ახლაღა იწყება (აქამდე მას არავითარი მმართველობითი ფუნქცია არ ჰქონია. მისი პოლიტიკური ვინაობა და რაობა აქამდის ძირითადად ვლინდება მის მოღვაწეობაში, როგორც სენატის წევრისა). ფენომენად იგი ითვლება იმიტომ, რომ მის გამოსვლებში კარგად გამოიყურება, ანუ პერსპექტივას სახავს, მისი დამოკიდებულება ამერიკაში არსებული ორი დიდი ბზარის ამოვსების საქმეში — შავებისა და თეთრების ურთიერთობისაში და კონსერვატულობისა და ლიბერალობის მიმართებისაში. მეორე დემოკრატ კანდიდატობის კანდიდატს, ჰილარი ქლინტონს, რომელმაც თავისი კამპანია დიდი წარმატებებით დაიწყო, ობამა უკვე მნიშვნელოვნად უსწრებს (უსწრებს, სხვათა შორის, საარჩევნო კამპანიისთვის ფულის შოვნის საქმეშიც, რაც ამერიკაში პრეზიდენტობის კანდიდატისთვის ძალიან მნიშვნელოვან თვისებად ითვლება — იგი დღეში საშუალოდ ერთ მილიონ დოლარს შოულობს, იმ დროს როცა ჰილარი ქლინტონი ნახევარ მილიონს ვერ სცდება). ყოფილი პრეზიდენტის მეუღლემ, ჟურნალის სიტყვით, ჯერჯერობით დიდი სიმპათიები ვერ მოიპოვა და ამის მიზეზი მხოლოდ ის არ არის, რომ ამერიკელებს პრეზიდენტთა დინასტიების საშიშროება ესატებათ თვალწინ (ორი ბუში, ახლა ორი კლინტონიც?!). მიზეზია თვით მისი კამპანიის სტილიც, თუმცა ობამასთან დებატებში იგი, როგორც წესი, მოგებულია ხოლმე (მაგრამ მხოლოდ დეტალების უკეთესი ფლობის გამო და არა შთამბეჭდავი ზოგადი ხედვების ან ქარიზმის გამო. ეს უკანასკნელი ობამას არ აკლია, ჰილარი ქლინტონს კი აკლია). ობამას, როგორც შესაძლო პრეზიდენტის, სასარგებლოდ მეტყველებს ის ფაქტიც, რომ იგი სანახევროდ მუსლიმან გარემოშია აღზრდილი და მეორე სახელად ჰუსეინი ჰქვია. რაც შეეხება კამპანიის ყველაზე სერიოზულ, სახელდობრ, პროგრამულ მხარეს, აქ, ამავე ბრძენი და ობიექტური ჟურნალის ირონიული შენიშვნით, დემოკრატთა ორსავე დღეს მოპაექრე კანდიდატს პოპულიზმის ელფერი დაჰკრავს.

მოპაექრეების ღირსებისა და შანსების არსებითი საზომია ის, თუ რომელს რა უნარი აღმოაჩნდება საერთო მოწინააღმდეგესთან დაპირისპირებისას. ეს მოწინააღმდეგე არის რესპუბლიკელთა საკარაუდო კანდიდატი მაკკეინი — მისი პირადი მინუსია ასაკი, მისი პარტიისა კი — საკმაოდ ღრმა დისკრედიტაცია ბუშის პოლიტიკის ხარვეზთა შედეგად.

3. „ეროვნული ცნობიერების“ საკითხი

ეს ორი ფენომენი, ერთი — ბუშისეული, ანუ ამერიკული, ანუ ეროვნული ცნობიერებისა, ანუ ეროვნული ინტერესების ინტერპრეტაციისა, ანუ ეროვნული ინტერესებისა, ანუ ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე, ანუ ეროვნული ინტერესებიდან ამოსვლა, ანუ ეროვნული ინტერესებიდან ამოსვლა, ანუ ეროვნული ინტერესებიდან ამოსვლა

მე-3 გვერდიდან

ქართული. მაგრამ პირველი შემკვეთის გარდა აქ შესაძლოა საგულისხმებელი და, შესაბამისად, საძებნი იყოს სხვაც, ვისაც ამგვარი შეკვეთის განხორციელება ხელს აძლევს, რადგან უნდა, რომ იმ მომენტისათვის, როცა რუსეთის ფაქტორი, როგორც მთავარი ძალისა, ამ რეგიონს მოსცილდება (რაც გარდაუვალია) და ძალის ისეთი ვაკუუმი შეიქმნება, რომლის შემვსები დასავლეთი იქნება და არა ვინმე სხვა, საქართველო უკვე გამზადებული იყოს (პრეპარირებული იყოს), როგორც საკუთარი ნების არმქონე ტერიტორია, რომელიც დიდი პოლიტიკის პროცესში იფიგურირებს მხოლოდ ობიექტის სტატუსით და არა აგრეთვე სუბიექტის სტატუსით.

ფაქტთა ასეთი ინტერპრეტაციის სასარგებლოდ პირდაპირ მეტყველებს შემდეგი გარემოებების კომბინაცია. დავასახელებ მათ.

აფხაზეთის კონფლიქტის გადაწყვეტის (მოგვარების) ის გეგმა, რომელშიც სახიერდება ზემოხსენებული დივერსიული ჩანაფიქრი საქართველოს მომავლის მიმართ (დაბეჭდილია გაზ. „24-საათში“ მისი მხოლოდ მეხუთე ნაწილი), ხელმოწერილია პ.ზაქარეიშვილის (რესპუბლიკური პარტია), ი. ხაინდრავას (რესპუბლიკური პარტია), დ. ბაქრაძის (შევარდნაძის გუნდის წევრი) და კ. კუბლაშვილის (პარტიულობა გაურკვეველია. სავარაუდოა ისევ რესპუბლიკური პარტიის ან შევარდნაძის გუნდის წევრობა) მიერ. იგი არის, შეიძლება ითქვას, გაშლა ბოდენის მოკლე გეგმისა, რომელიც გაეროშია წარდგენილი. იგი თუმცა ოფიციალურად მოწონებული არ არის სააკაშვილის ხელისუფლების მიერ, მაგრამ დაჯილდოებულია, სახელდობრ, იმით, რომ მისი თანაავტორი კუბლაშვილი, ახალგაზრდა კაცი, რომელსაც მისი პროფესორები ახასიათებენ, როგორც ულიმღამოსა და არავითარი ტალანტებით არგამორჩეულ ახალგაზრდას, გეგმის გამოქვეყნებისთანავე დაინიშნა საქართველოს ერთერთ უმაღლეს თანამდებობაზე და დღესაც მასზეა (უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე), ბაქრაძე საგარეო საქმეთა მინისტრია, ხოლო ზაქარეიშვილი „ექსპერტის“ სტატუსით ფიგურირებს, თუმცა იგი არც ვისმე აყვანილი ჰყავს ასეთად და, ამგვარად, აღიარებული, არც რომელიმე დიპლომი უდასტურებს ამ კომპეტენციას. სააკაშვილის და მისი გუნდის პოლიტიკური ორიენტაცია კი, დიდი ალბათობით, ცნობილია: ისინი არიან რუსეთის სამსახურში მყოფი პირები, რომელნიც ამავე დროს, რუსეთის ნებართვითა და რუსეთის მიერ დაშვებულ ფარგლებში, სხვა სახელმწიფოების, - პირველ ყოვლისა, დასავლეთის ზოგი სახელმწიფოსა და შემდეგ სხვების – სამსახურშიც იმყოფებიან.

იმისათვის, რომ მსჯელობა ლიტონ სიტყვებად არ მოგეჩვენოთ, აფხაზეთის კონფლიქტის დარეგულირების რესპუბლიკელების მიერ ხელმოწერილი და აღიარებული გეგმის მოკლე გადმოცემასა და დახასიათებას შემოგთავაზებთ მისი ძირითადი პუნქტების მიხედვით. გეგმა (კერძოდ, მისი მეხუთე ნაწილი. დანარჩენი დღესაც გამოუქვეყნებულია), როგორც ვთქვით, დაბეჭდილია გაზეთში „24 საათი“. გადმოცემის სიზუსტეზე, რასაკვირველია, პასუხს ვაგებ.

ა) გეგმის პირველი არსებითი მახასიათებელია შემდეგი. იგულისხმება, რომ საქართველო, როგორც აფხაზეთის ტერიტორიის მომცველი სახელმწიფო, დღესდღეობით არ არსებობს: იგი ახლა იქმნება საქართველოსა და აფხაზეთს შორის ფედერალური ხელშეკრულების თანახმად, რომელიც იდება ორ თანასწორუფლებიან მხარეს შორის.

ჩემი კომენტარია: ხელშეკრულება, როგორც ცნობილია, კავშირის ისეთი ფორმაა, რომელიც არ გამორიცხავს მისი დარღვევის არც შესაძლებლობას, არც უფლებას. (არანაირი სანქციები დამრღვევის მიმართ პროექტში, ცხადია, გათვალისწინებული არ არის). დარღვევა შეიძლება ისჯებოდეს ამა და ამ ნორმის მიხედვით, მაგრამ მისი დარღვევის ხელის შემშლელი ან ამკრძალავი ინსტანცია არ არსებობს. მაშასადამე, აფხაზეთს ამ გეგმის მიხედვით ხელთ ეძლევა სეცესიის (გამოყოფის) იურიდიული მექანიზმი, რომელიც მას დღესდღეობით არა აქვს (ის, რომ საქართველოსა და აფხაზეთის ცალ-ცალკე ერთეულად ყოფნა პროექტის მიხედვით აღიარებულია, თუმცა არაპირდაპირ, ზემოთ უკვე ვთქვით).

ბ) მეორე არსებითი მახასიათებელი ამ ტექსტით გათვალისწინებული გეგმისა ის არის, რომ აფხაზეთის სტატუსი განისაზღვრება, როგორც „სუვერენული“ და „სახელმწიფოებრივი წარმონაქმნისა“ (ბოდენის სიტყვით, „souveranes Staatgebilde“) საქართველოს შიგნით. სიტყვები „საქართველოს შიგნით“ არ არის ამ ერთეულის სტატუსის განსაზღვრა: ეს არ არის იურიდიული ტერმინი, არამედ მხოლოდ დამატებითი პრედიკატია, რომლიდანაც რაღაცა იურიდიული განსაზღვრება შეიძლება გამომდინარეობდეს და შეიძლება არა. სამაგიეროდ სიტყვები „სუვერენული“ და „სახელმწიფოებრივი“, განსაკუთრებით – პირველი („სუვერენული“) სავსებით ზუსტი იურიდიული ტერმინია და ორივე ერთად სავსებით ზუსტი და კონკრეტული იურიდიული განსაზღვრაა ამ ერთეულის სტატუსისა. „სუვერენული“ ნიშნავს „გარეთკენ დამოუკიდებელს და შიგნითკენ უზენაესს“. სხვა შინაარსი ამ ცნებას არა აქვს, თუმცა შესაძლებელია ამ შინაარსის გამოთქმა სხვადასხვა სიტყვებით. იმის საილუსტრაციოდ, რომ მისი მნიშვნელობა სწორედ ეს არის და არა რამე სხვა, საქართველოს სახალხო ფრონტმა გაზ. „საქართველოში“ ორჯერ მოათავსა ორი ვრცელი წერილი მსოფლიოს საუკეთესო შესაბამისი დარგობრივი ენციკლოპედიებიდან, რათა ნათელეყო, რომ ეს გამოთქმა „სუვერენული“ და „სახელმწიფოებრივი“, ბოდენის მიერ შემოთავაზებული, იმის გარანტიას იძლევა, რომ, თუ მიღებულ იქნა, ეს ერთი ფორმულირებაც კი, ყველა სხვა პუნქტთაგან დამოუკიდებლად, საკმარისი იქნება იმის ურყევ საბუთად, რომ საქართველო დღეს აფხაზეთის დამოუკიდებლობას ცნობს და, მაშასადამე, ეს ვითარება გადასინჯვას აღარ ექვემდებარება განურჩევლად იმისა, თუ როგორი იქნება ტექსტის დანარჩენი ნაწილი. ამ ორი წერილის მეორედ გამოქვეყნება ამ გაზეთში იმიტომ გახდა საჭირო, რომ იყო სრულებით არაკომპეტენტური შემოკამათება ზემოხსენებული ქართული პროექტის ერთერთი ხელმომწერის, პ. ზაქარეიშვილის მხრიდან გაზ. „ახალი შვიდი დღის“ რედაქციაში შემდგარი „მრგვალი მაგიდის“ დროს: „სუვერენიტეტი ახლა სადღაა, ახლა ძველებური სუვერენიტეტი აღარც არსებობს“. ამ შემოპასუხების არაკომპეტენტურობა (უფრო მარტივად ვთქვათ – გაუგებრობაზე დამყარებულობა) იმაში მდგომარეობს, რომ შემომპასუხებელმა ვერ განასხვავა ერთმანეთისაგან რეალური მოვლენის ევოლუცია ანუ ცვლილება დროში, რომელიც მოხდა და კიდევ მოხდება, და ცნების შინაარსის ევოლუცია, რომელიც არ მომხდარა და არცაა შესაძლებელი, რომ მოხდეს.

განვმარტავ, რას ნიშნავს ეს.

რეალური მოვლენა სახელმწიფოთა სუვერენიტეტის სახით, რა თქმა უნდა, იცვლება: დღეს სრული სუვერენიტეტი არც ერთ სახელმწიფოს აღარა აქვს, თვით ამერიკის შეერთებულ შტატებსაც კი, რადგან ყველა მათ, საკუთარი ნებითა და გადაწყვეტილებით, თანხმობა აქვთ გაცხადებული, დაემორჩილონ თავისი მოქმედების გარკვეულ ნაწილში გარკვეულ თავისსავე შემუშავებულ წესებს, საერთაშორისო კონვენციების სახით, რომელთა (ამ წესთა) გატარება და კონტროლი (მაშასადამე, მონაწილე სახელმწიფოებზე სათანადო ზემოქმედების უფლებაც) მინიჭებული აქვთ ისევ და ისევ მონაწილე სახელმწიფოთა შეთანხმებით შექმნილსა თუ შერჩეულ საერთაშორისო ორგანოებს, მაგალითად, გაეროს და მის უშიშროების საბჭოს. მაგრამ ცნების „სუვერენიტეტი“ შინაარსი ამის გამო იოტისოდენად არ შეცვლილა და არც იცვლება. იგი ნიშნავს ისევ „გარეთ დამოუკიდებელს და შიგნით უზენაესს“, ხოლო გამოთქმა, რომ „შეერთებული შტატებიც კი აღარაა სავსებით სუვერენული“ იმას ნიშნავს (მხოლოდ), რომ შეერთებული შტატებიც კი აღარაა გარეთკენ სავსებით დამოუკიდებელი, ან აღარაა შიგნითკენ სავსებით უზენაესი, ან აღარაა არც ერთი, არც მეორე იმით (და მხოლოდ იმით), რომ გარედან მას ამა და ამ წინასწარ შეთანხმებულ საზღვრებში ამა და ამ წინასწარ შეთანხმებული მიმართულებით და მასშტაბით მისი მოქმედების ამა და ამ პარამეტრს ამა და ამ წესით უზღუდავს გაეროს უშიშროების საბჭო და ა.შ., და რომ შეერთებულ შტატებს მათს საშინაო საქმეებში მათს ამა და ამ წინასწარ დათქმულ პარამეტრებში და ამა და ამ წინასწარ დადგენილი წესით მოქმედების თავისუფლებას უზღუდავს ესა და ეს საერთაშორისო ორგანიზაცია, მაგალითად, თუ აშშ-ის საკანონმდებლო ორგანო მოინდომებს რასობრივი სეგრეგაციის გატარებას განათლების კანონმდებლობაში, ამას მსოფლიოს ამა და ამ უფლებადამცავი ორგანიზაციების ინიციატივით ამერიკის შეერთებული შტატების მიმართ ესა და ეს ზომები მოჰყვება, რის შედეგადაც, მოსალოდნელია, ეს სუპერსახელმწიფო იძულებული იქნება დათმობაზე წავიდეს და თავისი სეგრეგაციული მცდელობისაგან თავი შეიკავოს. მაგრამ სრულებით ცალსახა რჩება გარდუვალობა იმისა, რომ, თუ საქართველოს კონსტიტუციაში და აფხაზეთის კონსტიტუციაში ჩაწერილი იქნება, რომ აფხაზეთი სუვერენულია, ამით ერთხელ და სამუდამოდ შეწყდება ყოველგვარი ლაპარაკიც კი იმაზე, რომ აფხაზეთი არ არის საქართველოსაგან დამოუკიდებელი თავის გარეთ (იგი დამოკიდებული რჩება მხოლოდ გაეროსაგან და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებისაგან და არა საქართველოსაგან) და რომ იგი არ არის საქთველოზე უზენაესი თავისი ტერიტორიის შიგნით (ამ თავის შინაგან სივრცეში იგი დამოკიდებული რჩება მხოლოდ თავის მიერვე საკუთარი ნებით ხელმოწერილი კონვენციების მაიმპლემენტირებელ საერთაშორისო ორგანიზაციებზე და სხვა არავისზე ზუსტად ისევე, როგორც მათ წინაშე არადამოუკიდებელია საქართველო, ინდოეთი, შეერთებული შტატები, სლოვენია და ნებისმიერი სხვა სუვერენული სახელმწიფო). ეს ანბანი გახლავთ. ამ მარტივი ლოგიკის ვერგაგება, ვიმეორებ, შეუძლებელია. შეუძლებელია იგი, კერძოდ, ზემოხსენებული პ. ზაქარეიშვილის მხრიდანაც და ი. ხაინდრავას მხრიდანაც, დ. ბაქრაძის მხრიდანაც და კ. კუბლაშვილის მხრიდანაც, რომელნიც ტექსტს ხელს აწერენ, და ნებისმიერი სხვა, ვიმეორებ, შერაცხადი, მით უმეტეს – წერა-კითხვის მცოდნე ადამიანის მხრიდანაც. ამის ვერგაგებისა მხოლოდ სიმულაცია შეიძლება და ამიტომ ვფიქრობ მე (სრული უყოყმანობით), რომ ეს ვერგაგება დოკუმენტის ხელმომწერთა შემთხვევაშიც და „რესპუბლიკელთა“ პარტიის შემთხვევაშიც არის სამშობლოს პირდაპირი ღალატი (თუ ვიხმართ ჰუმანიტარულ ენას) და სახელმწიფოს პირდაპირი ღალატი – სახელმწიფოს სტრატეგიული ინტერესის მიზანმიმართული წინასწარგანზრახული ხელყოფა უცხო სახელმწიფოს (რუსეთის) ან უცხო სახელმწიფოების სასარგებლოდ – (თუ იურიდიულ ენას გამოვიყენებთ).

ამ ორი ძირითადი ანტიქართული პუნქტის გარდა „რესპუბლიკელების“ მიერ ხელმოწერილ დარეგულირების პროექტში არის სხვაც, რომელიც ამ ორს თითქმის უტოლდება თავისი სტრატეგიული ანტიქართულობით. სახელდობრ, პროექტის მიხედვით, იმ დროს, როცა საქართველოსა და აფხაზეთს ერთობლივი სახელმწიფო აქვთ და მათ შორის უფლებამოსილებები განაწილებულია, იმიგრაციის რეგულირება, ანუ ახალმოსახლის შემოშვების ან არშემოშვების უფლე-

გაგრძელება მე-5 გვერდზე

მე-4 გვერდიდან

ბა, აფხაზეთის ერთპიროვნულ (ექსკლუზიურ) გამგებლობაშია. ანუ: აფხაზეთი ვისაც უნდა შემოუშვებს დასასახლებლად და ვისაც უნდა არ შემოუშვებს, პრაქტიკულად – დევნილ ქართველს არ შემოუშვებს, ხოლო თურქს, ყაბარდოელს და რუსს შემოუშვებს განუსაზღვრელი რაოდენობით და მოქალაქეობასაც მიანიჭებს (პროექტის მიხედვით მას ამის უფლებაც აქვს), რითაც, რაკი აფხაზეთის მოქალაქე ავტომატურად საქართველოს მოქალაქეცაა, სასხვათაშორისოდ, თავის საკუთარ ანტიქართულ ინტერესთა განხორციელებასთან ერთად, გზადაგზა იმასაც მიაღწევს, როგორც თავისი მოღვაწეობის, ასე ვთქვათ, თანმხლებ პროდუქტს, რომ საქართველოში შემოუშვებს ზემოხსენებული და სხვა ეროვნების (აგრეთვე ნებისმიერი სხვა ეროვნების) მოქალაქეთა განუსაზღვრელ მასებს და ამით დიდად წინ წაწევს პოლიტიკას, რომლის ძალითაც საქართველოში ქართველი მოსახლეობა უმცირესობად უნდა იქცეს. ამ დემოგრაფიული ოპერაციის შემდეგ სეცესია რეფერენდუმის საფუძველზე უადვილესი ამოცანა ხდება.

ანალოგიური (თუმცა მასშტაბით უფრო მცირე) ანტიქართული ხრიკებით მოფენილია პროექტის მთელი ტექსტი. მაგრამ მათს აქ მოხსენებას საჭიროდ არ ვრაცხ. „24-საათის“ სათანადო ნომერი ხელთ მაქვს და სათანადო ადგილის დამოწმება მუდამ შემიძლია. კურიოზად აღვნიშნავ (რადგან რეალურად კურიოზია და სხვა არაფერი) იმას, რომ ამ თითქოსდა დემოკრატიული სულისკვეთების ნიშნით და დემოკრატიული პარტიებისა და პიროვნებების მიერ შედგენილ პროექტში ბატონობს ე.წ. პოზიტიური დისკრიმინაციის, ანუ ერთი სუბიექტისათვის (აფხაზისათვის) ეროვნული ნიშნით უპირატესობების მინიჭების ისეთი აპარტეიდული სულისკვეთება, რომელიც არც ამერიკის წარსულში რასისტულ სამხრეთ შტატებს დაჰსიზმრებიათ ოდესმე და არც სამხრეთ აფრიკის კავშირის წარსულში ყველაზე რადიკალურად განწყობილ მეაპარტიდეებს. მაგალითად, გამოთქმულია აზრი, რომ აფხაზეთში ფართო ასპარეზი უნდა ჰქონდეს აფხაზურ ტრადიციებს (ასპარეზი და არა არსებობის უფლება იმათ შორის, ვისაც ეს ჰსურს!) და რომ ამ მიზნის რეალიზაციას უნდა უზრუნველყოფდეს პოლიცია!

ხსენებულ პროექტს გამანადგურებელი კრიტიკა შეჰხვდა საზოგადოების მხრიდან, მის რიცხვში პრესაში გამოქვეყნებულიც თვით „24-საათის“ ჩათვლით. არც „რესპუბლიკელებს“, არც სხვა ავტორებს ამ კრიტიკაზე ერთი სიტყვაც არ უპასუხიათ (საერთოდ, ეს პოზიცია და ეს პარტია, როგორც ვამჩნევ, კამათისუნარიანი არ არის, მათ ურჩევნიათ, საჯაროდ პაექრობის გაუმართავად იმოქმდონ). ვვარაუდობ, რომ ამ კონკრეტულ შემთხვევაში შეპასუხება შეუძლებელიც არის ზემოთ აღნიშნული პოზიციების სასარგებლოდ არგუმენტის არარსებობის გამო.

საკუთრივ სახელმწიფო „რეგიონალიზმს“ ხმარობს. („ევფემიზმი“ გახლავთ თავაზიანი გამოთქმა არათავაზიანი სინამდვილის აღსანიშნავად, როგორიცაა „პერანგის ამხანაგი“, „საჭირო ოთახი“, „მსუბუქი ყოფაქცევა“ და ა.შ.). საქართველოს ფედერალურ ერთეულებად დაყოფისთვის განკუთვნილი ეს „რეგიონალიზმი“, სხვათა შორის (შევნიშნოთ აქვე), შინაარსობრივად შეცდომას შეიცავს: ფედერალიზმი, ისევე, როგორც ცნება „ფედერაცია“, სავსებით გასაგები კონკრეტული იურიდიული და პოლიტიკური ცნებაა, „რეგიონალიზმი“ კი ჯერჯერობით მოკლებულია ზუსტ იურიდიულ შინაარსს. თუ მის დეფინიციას სზე ქართველი საზოგადოების თანხმობის ილუზიის შექმნისა შემდეგი ულოგიკო ლოგიკის, ანუ, ასე ვთქვათ, იდეოლოგიის მატარებელია: „გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა ზეგანვითარებული ყოველმხრივ სანიმუშო დემოკრატიული სახელმწიფოა. იგი ფედერალურია. მაშასადემე, ფედერალობა კარგია“. ეს ლოგიკა და იდეოლოგია ძირშივე მანკიერია. ჯერ ერთი, გერმანიას თავისი ფედერალობა თავისით არ აურჩევია. თავისით გერმანიამ აირჩია უნიტარულობა, რისთვისაც საუკუნეების მანძილზე იბრძოლა (ბისმარკის ძალისხმევა მთლიანად ამ მიზნისკენ იყო მიმართული, რომლის ბოლომდე მიღწევასაც იგი ვერ მოესწრო). ფედერალობა გერმანიას II მსოფლიო ომის შემდეგ თავს მოახვიეს გამარჯვებულმა მოკავშირეებმა სავსებით კონკრეტული და ცალსახად გამოთქმული მიზნით: გერმანია ველარ აღდგესო, როგორც ძალითი სახელმწიფო („Machtstaat“). დამარცხებულმა გერმანელებმა გამარჯვებული მოკავშირეების ჭკუას ჭკუა დაუპირისპირეს და თუმცა ფედერალური კონსტიტუცია შექმნეს, მას ისეთი სახე მისცეს, რომ ქვეყნის დეზინტეგრაციისკენ მიმართულ ამ მცდელობას ნაწილობრივ ვერ გამოაცალეს; მათ შექმნეს ე.წ. კოოპერატიული ფედერალიზმი, ანუ ისეთი, რომლის პირობებშიც ცენტრისა და ფედერალური ერთეულების („ლანდების“ ანუ „ქვეყნების“) უფლებები განაწილებულია არა ჰორიზონტალურად, არამედ ვერტიკალურად, ანუ ზოგი უფლებამოსილება მთლიანად ცენტრის ხელშია, ზოგიც მთლიანად ფედერალური ერთეულებისაში (მათ შორის ისეთი მნიშვნელოვანიც, როგორიცაა განათლება). ამით მათ აიცილეს ყველაზე დიდი ხიფათი – ერთსა და იმავე სფეროში (ვთქვათ, პოლიციაში) ერთსა და იმავე ადგილას (ვთქვათ, ბავარიაში) ორი ნების – ერთი ცენტრალურისა და მეორე ადგილობრივის – ურთიერთდაპირისპირება, რის გარდუვალი შედეგიც იქნებოდა მოქალაქეთა ცნობიერებაში **ორი განსხვავებული თვითიდენტიფიკაციის გამომუშავება და აყვავება – ერთი ადგილობრივის და მეორე ზოგადგერმანულისა,** – რითაც გერმანელი ბავშვი კი აღარ იტყოდა „გერმანელი ვარ“, არამედ იტყოდა „ბავარიელი ვარ“, „საქსონელი ვარ“ და ასე შემდეგ. ეს ხიფათი გერმანიამ აიცილა. მაგრამ სპეციალისტთა კომენტარი მისი სახელმწიფო წყობის თაობაზე დღეს მაინც ასეთია: სახელმწიფოს მართვის სისტემა დღეს, ფედერალობის პირობებში, წარმატებულად მუშაობს. მაგრამ თუ რომელიმე რგოლმა (რომელიმე პასუხისმგებელმა მოხელემ ან მისმა აპარატმა) მოინდომა მისი ჩაშლა, იგი უსათუოდ ჩაიშლება“. ამგვარად, გერმანელები დღეს იმით იცავენ თავს, რომ სისტემის ჩაშლას არ ინდომებენ.

აქამდე – ამ უკანასკნელი გარემოების აღნიშვნამდე, – ჩვენ ფაქტების სფეროში ვტრიალებთ: მკითხველს ვაწვდით ფაქტებს ფედერალურ გერმანიაში არსებული მდგომარეობის შესახებ. „პოლიტიკოსი“, რომელიც საქართველოს ფედერალიზაციაზე ან რეგიონალიზაციაზე (სინამდვილეში კი ფედერალიზაციაზე) ფიქრობს, ვალდებულია, ეს ფაქტები იცოდეს. რესპუბლიკელებმა, ჩემი შთაბეჭდილებით, ეს ფაქტებიც არ იციან. მაგრამ ამ შემთხვევაში ეს არსებითი არ არის. არსებითია ის, რომ პრობლემა ამით არ იწურება. მას გაგრძელება აქვს. საკითხავია: რატომაა, რომ არც ერთი გერმანელი დიდმოხელე და მისი აპარატი არ ინდომებენ ამ სისტემის ჩაშლას (რაც უნდა სძულდეს ერთ მოხელეს მეორე მოხელე, რომელსაც ამით

გაგრძელება მე-6 გვერდზე

დათვი, რომელიც ტრადიციულად რუსეთს ასახიერებს, ჟურნალ „The Economist“-ის ყდაზე თაფლის ნაცვლად ნავთობით ილუკმება. რუსეთის ფინანსები ნავთობის ფასების ავარდნით, განსაკუთრებით კი – გაზის ფასებისა და ვაჭრობის მოცულობის სასწაულებრივი ავარდნით დღეს ცაში ფრენს. რუსეთის სახელმწიფო ბანკის რეზერვი 350 მილიარდი დოლარია, ე.წ. სტაბილიზაციის ფონდი კიდევ ცალკე ასტრონომიული თანხაა. რუსეთი გათამამებულია (რადგან შეტევა მის უმისოდაც შეკვეცილ იმპერიაზე, თითქოს, აღარ წარმოებს, რაც ილუზიაა. რედ.) და მის მეთაურს პუტინს მსოფლიოში უნიკალური რეიტინგი (70%) აქვს თავის თანამოქალაქეთა თვალში. ჟურნალი (რომელიც, როგორც ჩვენს მკითხველს კარგად მოეხსენება, არის ერთ-ერთი ყველაზე ბრძენიც და ყველაზე ობიექტურიც მსოფლიოს ჟურნალთა შორის) ამ პოპულარობის ოთხ მთავარ მიზეზს ასახელებს, თუმცა იქვე ურთავს შენიშვნებს, რომლებიც რუსეთისა და მისი ხელმძღვანელობის ამ უნიკალური მიღწევების საკმაოდ ილუზორულ ბუნებას ამხელენ. ეს მიზეზებია: პირველი. პუტინმა მოიტანა პოლიტიკური სტაბილობა ელცინისდროინდელი ქაოსისა და განუკითხაობის შემდეგ. მეორე. მან დაამყარა მშვიდობა ჩეჩნეთში და საერთოდ ჩრდილო კავკასიაში. მესამე. მან აღადგინა რუსეთის ბუნებრივი ადგილი, როგორც მსოფლიო ძალისა. მეოთხე (და ყველაზე მნიშვნელოვანი). მის დროს მოხდა რუსეთის მკვეთრი ეკონომიკური ზრდა და ასევე მკვეთრად ამაღლდა ცხოვრების დონე. მაგრამ ოთხსავე ამ პლუსს

უფრო დეტალური შეხედვისას, ჟურნალის აზრით, დიდი მინუსები აქვს. სახელდობრ: პირველი. პოლიტიკური სტაბილობა მიღწეულია დემოკრატიაზე ხელის აღებით, რასაც, სხვათა შორის, ახლავს კორუფციის ზრდა ელცინის დროსთან შედარებით. მეორე. ჩეჩნეთის დაწყნარება მიღწეულია იმით, რომ ჩეჩნეთი ჩაჰბარდა „ყოფილ მეამბოხეს კადიროვს“ (ჩეჩნეთის დღევანდელი ოფიციალური ლიდერის ეს მახასიათებელი და მისი წამგებიანობა რუსეთისათვის ქართველმა მკითხველმა არ იცის. ჩვენთვის საინტერესოა, რომ კადიროვის აღნიშნული თვისება არ უშლის ხელს მის აქტიურ მცდელობას, რომ ჩეჩნები ანტიქართულ საბრძოლო მოქმედებებში იქნენ ჩართულნი, რასაც დუდაევი ებრძოდა (ღიად მაინც). რაც შეეხება დანარჩენ ჩრდილო კავკასიას, იგი, ჟურნალის სიტყვით, დღეს უფრო არეულია, ვიდრე ოდესმე. (უფრო მეტიც: მზადდება ახალი სისხლიანი პროვოკაცია), ლამის კიდევ ერთი ომის დონისა, ქისტების წინააღმდეგ. რედ). მესამე და მეოთხე – ორივე დამყარებულია რუსეთის ეკონომიკურ წარმატებაზე. მაგრამ ამ უკანასკნელს ის მინუსები აქვს, რომ, ჯერ ერთი, იგი (7% წლიური ზრდა) უფრო დაბალია, ვიდრე პოსტსაბჭოთა ქვეყნების უმრავლესობაში, მეორეც, იგი დამყარებულია მხოლოდ ზემოხსენებულ ნედლეულის ექსპორტზე (გაზისა და ნავთობის გარდა ექსპორტზე მუშაობის თვით ცნებაც კი, ჟურნალის სიტყვით, რუსეთში დღეს მხოლოდ შეიარაღებათა წარმოებასთან მიმართებაში არსებობს. სხვა სფეროებში რუსეთის წარმოების კონკურენტუნარიანობა დაბლა-დაბლა მიდის). ნავთობის ფასების მომავალი ჩამოქვეითება, ჟურნალის სიტყვით, მოსალოდნელია.

პოლიტიკის მეორე პარამეტრი (ასეთი სულ ორია), რომელზედაც „რესპუბლიკელები“ დისკურსიულად მსჯელობენ (ანუ დანაწევრებულად გამოთქვამენ თავის პოზიციას), რითაც, ჩემის აზრითა და დაკვირვებით, უცხო დივერსიულ დავალებას ასრულებენ, არის საქართველოში ფედერალიზმის პროპაგანდა, რომელიც, რაკი არა თუ წინააღმდეგობას, არამედ მორალურ აღშფოთებასაც აწყდება, სიტყვა „ფედერალობის“ ნაცვლად ევფემისტურ გამოთქმას მოვინდომებთ, იგი აღნიშნავს მხოლოდ რეგიონისთვის ამა თუ იმ ავტონომიური უფლებების მიცემას და მხოლოდ ერთი მიზეზით: რეგიონს უნდა, რომ ქვეყნის დანარჩენი ნაწილისგან თვალში საცემად განსხვავებული იყოს (იხ. იტალია და ესპანეთი). საქართველოში, თუ სეპარატისტებს არ ჩავთვლით, ასეთი სულისკვეთების მოსახლეობა არ არსებობს.

„რესპუბლიკელების“ მცდელობა საქართველოში ფედერალიზმის ორგანიზებისა და მაგრძელება მე-6 გვერდზე

მეხუთე გვერდიდან

შეიძლება ვნება მოუტანოს და ამით გული მოიფხანოს)? პასუხია: იმიტომ, რომ ამას ერის წინაშე მოვალეობის შეგნება უშლით. მაგრამ საგაზეთო სფერო პოლიტიკოსისათვის (ამჯერად არა „პოლიტიკოსისათვის“) სწორედ ამის შემდეგ იწყება. კითხვაა: რატომ ულირთ გერმანელებს – ბავარიელებს, საქსონელებს, პრუსიელებს და ა.შ. ყველას ერთად, – რომ გერმანელმა ყველა ბავშვმა თქვას „გერმანელი ვარ“? პასუხია: ერის ერთობას, რომელიც გერმანელებს ულირთ, ქმნის არა ამ ერის შინაგანი ერთგვაროვნება (გერმანიაში, ისევე როგორც საქართველოში, ამ ერთგვაროვნებას ადგილი არა აქვს. გერმანული დიალექტები არანაკლებ განსხვავებულია ერთმანეთში, ვიდრე ქართველური), არამედ გარე სამყაროს პირისპირ, ანუ დანარჩენი კაცობრიობის პირისპირ ერთ სუბიექტად დგომის შეგნება. ამ მხრივაც ჩვენსა და გერმანელებს შორის განსხვავება არ არსებობს. მაგრამ ამის შემდეგლა იწყება ახსნის მთავარი პუნქტი, რაშიც ჩვენ და გერმანელების მდგომარეობა ძირფესვიანად სხვადასხვაა. სახელდობრ, ერისთვის, რომელიც ძირითადად რიგითი ადამიანებისაგან შედგება და არა გოეთეებისაგან, ჭავჭავაძეებისაგან და ცოტნე დადიანებისაგან (ასეთი გახლავთ უკლებლივ ყველა ერი), ეროვნული ერთობის ამ შეგნებას სჭირდება კვება და მისი ეს საკვები არის გამარჯვება – თუ ყოველდღიური წარმატებები და გამარჯვებები არა, ყოველწლიური მაინც. გერმანელ ერს ეს საკვები აქვს: გერმანელ ერს არა თუ ყოველ წელს, არამედ ყოველ თვეში ან, შესაძლოა, ყოველ კვირაშიც კი რაღაცა ტრიუმფი, გამარჯვება ან, როგორც მინიმუმი, ერთობლივი წარმატება მაინც აქვს: იგი ხან ფეხბურთის ჩემპიონატს მოიგებს, ხან მეცნიერულ აღმოჩენას გააკეთებს, ხან ეკონომიკაში გადაუსწრებს ვიღაცას და ა. შ.. საქართველოს კი, რომელიც დღეს მარიონეტებისა და დივერსანტების ხელშია, სწორედ გამარჯვებები აკლია. ჩვენი ერთობლივი ეროვნული ამოცანა და კერძო ეროვნული ამოცანები დღეს (და, ალბათ, კიდევ ერთხანს) მხოლოდ (ან ძირითადად) კონსერვატიული ხასიათისა და შინაარსისაა და არა შეტევითის (შევინარჩუნოთ თავი, შევინარჩუნოთ ენა, შევინარჩუნოთ ტრადიცია და ა. შ.), რაც ჩვენს ამოცანას, გერმანელებისასთან შედარებით, ათასწილად ართულებს. ჩვენმა მტრებმა ჩვენი ქვეყნის საზღვარს გარეთ, რომლებიც არა მხოლოდ მრავალრიცხოვანნი და ძლიერნი არიან, არამედ ყველანაირ დივერსიებში, მათ შორის სულიერსა და ფსიქოლოგიურში დიდად გაწაფულნიც, „ფედერალიზაციის“ ლოზუნგის შემოსაცურებლად სწორედ ეს მომენტი – ჩვენი საერთოეროვნული ამოცანების ამ კონსერვატიულ მდგომარეობამდე დაყვანილობის მომენტი – შეარჩიეს და არც შემცდარან. (თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ მათ წინააღმდეგობა არ გავუწიოთ და ვერ მოვუგოთ). ფედერალიზმის დღევანდელ პროპაგანდაში, რასაც „რესპუბლიკელები“ ეწევიან, ჩემის აზრით, სწორედ ამ გარემოების პირდაპირი გამოხატულება უნდა დავინახოთ. მათი მენტალური არსენალი ამ მიზნის სამსახურისა, საბედნიეროდ, ძალიან მწირია (ამიტომაცაა, რომ კამათისუნარიანნი არ არიან), მაგრამ დიდი ფინანსური და ორგანიზაციული დახმარება, ღია ეკრანის ჩათვლით, მათ მოქმედებას, მე მგონი, მაინც ძალიან საშიშს ხდის.

ამ ორი ძირითადი დივერსიული დავალების გარდა, ჩემი დაკვირვებითა და შთაბეჭდილებებით, რესპუბლიკელების პროგრამაში დღეს მესამე შედარებით მომცროც შედის: მათ უნდათ გააქარწყლონ, ან შეასუსტონ მაინც, საქართველოსათვის სასახელო იმ ისტორიული ფაქტის ცნობიერება, რომ საქართველო არის ერთადერთი ან თითქმის ერთადერთი ქრისტიანული ქვეყანა, რომელშიც არასოდეს არ მომხდარა ებრაელების შევიწროება. ლ. ბერძენიშვილისაგან ეკრანზე ამას წინათ მოვისმინე ასეთი უცნაური ფრაზა:„ საქართველოში არ მომხდარა ებრაელების სერიოზული დარბევა“. გამოდის, რომ არასერიოზული მომხდარა! თუ ამას ამბობთ, ვალდებული ხართ, დაასახელოთ, როდის მომხდარა ეს „არასერიოზული“ დარბევა, ვის მიერ მომხდარა, სად და რაში გამოიხატა. წინააღმდეგ შემთხვევაში ხართ ან, მაპატიეთ, არასერიოზული კაცი, ან შეგნებული პროვოკატორი (ლოგიკა ასეთი გახლავთ). ამ ფრაზის მოსმენის მეორე დღეს შემხვდა ლ. ბერძენიშვილი მთაწმინდაზე. „ეს რა თქვით, როდის მომხდარა ებრაელების არასერიოზული დარბევა მეთქი“?, „როგორ არა, როგორ არა, მომხდარა, მე რომ ციხეში ვიყავი, იქ ებრაელებმა მითხრეს. პრესაშიც ყოფილაო“ - იყო პასუხი. მოსთხოვა თუ არა ლ. ბერძენიშვილმა ციხეში იმ ებრაელებს განმარტება, თუ რა აქვთ მხედველობაში, და რომელია ის პრესა, ეს არ უთქვამს. თუ ვცდები, ღმერთმა გამიკითხოს, მაგრამ მგონია, რომ ეს უაღრესად საზიანო განცხადება ტელეეკრანიდან ავტორის მხრიდან შემთხვევითი არ არის.

3. „რესპუბლიკელების“ კვალიფიკაციის და ზნეობის კომბინაცია მოქმედებაში.

ამ პარტიის ორივე ზემოაღწერილი თვისება – კვალიფიკაცია, რომელსაც მხოლოდ კეთილი ნების უქონლობა უშლის, რომ იყოს ალალად გულუბრყვილო, და მორალი, რომელსაც მხოლოდ დემოკრატიის ცუდად მორგებული ნიღაბი უშლის, რომ იყოს ორჯონიკიძისებრი სულისკვეთების სრული ასლი – ორგანულად უთავსდება ერთიმეორეს ამ პარტიის რეალური ქმედებისა და ამ უკანასკნელის იდეოლოგიად მოწოდებული სურგატული აზროვნების პრაქტიკაში. ჩვენს წინაშეა დ. ბერძენიშვილის წერილი „დილის გაზეთიდან“ სათაურით „აფხაზებს უფლება აქვთ დამოუკიდებლობა მოითხოვონ“ (2001 წლის იანვარი). ვფიქრობთ, რომ ამ მოკლე ოპუსის (გაზეთის გვერდზე ცოტა მეტია) კონკრეტული გადმოცემა და ანალიზი დაადასტურებს ჩვენ მიერ ზემოთ გამოთქმული უსიხარულო კონსტატაციების სისწორეს.

1) სათაური, რომელიც დავასახელეთ, შეიცავს ორ სოფიზმს (სოფიზმი ეწოდება მსმენელის მიყვანას ყალბ დასკვნამდე სიტყვიერი ფოკუსის საშუალებით: ერთი და იგივე სიტყვა გამოიყენება ორი სხვადასხვა აზრით და გულუბრყვილო მსმენელი ვერ ხვდება, რომ მას ორ სხვადასხვა რამეზე ესაუბრებიან. მაგ: „ჰეროდე ნამდვილი მელაა“ (მელაში იგულისმხმება ეშმაკი კაცი). მელას ოთხი ფეხი აქვს (მელაში იგულისხმება რეალური ცხოველი). დასკვნაა: მაშასადამე, ჰეროდეს ოთხი ფეხი აქვს). პირველი სოფიზმი ციტირებულ სათაურში („აფხაზებს უფლება აქვთ დამოუკიდებლობა მოითხოვონ“) ემყარება სიტყვას „მოითხოვონ“. ერთის მხრივ, ამ სათაურში გამოთქმულ დებულებას ვერავინ შეეკამათება, რადგან ყველას აქვს უფლება მოითხოვოს რაც კი უნდა, თუნდ სრულებით უსაფუძვლოდ. მეორეს მხრივ, იგულისხმება, რომ ადამიანები ჩვეულებრივ მოვითხოვთ ხოლმე მხოლოდ იმას, რისიც მიკრისკოპიული უფლება მაინც გვაქვს. ამგვარად, მკითხველს ექმნება აზრი, რომ აფხაზებს საქართველოსაგან გამოყოფის რაღაცა საფუძველი მაინც აქვთ.

მეორე სოფიზმი ამ სათაურისა აგებულია სიტყვაზე „დამოუკიდებლობა“. რა თქმა უნდა, ყველა ადამიანი უნდა იყოს სხვათაგან დამოუკიდებელი, ასევე – ზრდასრულ ადამიანთა ნებისმიერი ჯგუფიც და ხალხიც. ამიტომ ამ დებულებასაც ყველა დაეთანხმება. მაგრამ, მეორეს მხრივ, „დამოუკიდებლობაში“ პირადი თავისუფლების გარდა სხვა რამეც იგულისხმება, რომელსაც დღეს სეპარატისტები ითხოვენ: ესაა „დამოუკიდებლობა“ არა სადმე კუნძულზე, რომელსაც პატრონი არ ჰყავს, არამედ კონკრეტულ ტერიტორიაზე, რომელიც საქართველოს ნაწილია დღეს და საქართველოს ნაწილი იყო მთელი ცნობილი ისტორიის მანძილზე. ამგვარად, „აფხაზები“ ითხოვენ დამოუკიდებლობას არა პირადი თავისუფლების აზრით, არამედ 8000 კვ.კმ.-ზე ცოტა უფრო დიდი ტერიტორიის ერთპიროვნული ფლობის აზრით, ანუ ითხოვენ თავისი „დამოუკიდებლობისათვის“ საქართველოს ტერიტორიის ერთი დიდი ნაწილის გამოყენებას სხვების (კონკრეტულად – იქვე მოსახლე ქართველების) ჩაზიარების გარეშე და ამ ტერიტორიის საქართველოსგან გამოყოფას. ამას ითხოვენ მიუხედავად იმისა, რომ ამ ტერიტორიაზე კანონიერი, ანუ ეთნიკურ წმენდამდელი და გენოციდამდელი მოსახლეობის 46% ქართველია და რომ ამ ტერიტორიის ავტოხთონური მოსახლეობაც, ანუ ის მოსახლეობა, რომელმაც ეს ტერიტორია თავის დროზე ხელუხლებელი ტყეებისა და მინდვრების მდგომარეობიდან გადაიყვანა განვითარებული ფეოდალური ცივილიზაციის მდგომარეობაში, ქართველი იყო. ამ მეორე აზრით, ანუ სიტყვის „დამოუკიდებლობა“ დღეს რეალური აზრით, სათაურში გამოთქმულ დებულებას გარეშე მკითხველი აღარ დაეთანხმება. მაგრამ ავტორი ლამობს, ასე ვთქვათ, შეუმჩნევლად გადაუსრიალოს ამ დაბრკოლებას, რაც იმით მიიღწევა, რომ მთავარი გარემოების თაობაზე, ანუ იმაზე, რომ სეპარატისტები თავის პირად თავისუფლებას კი არ ეძებენ, არამედ მიწაწყალს, რომელიც მხოლოდ მათი არ არის, მკითხველი არაინფორმირებული რჩება.

სოფიზმი, როგორც ფოკუსი, შეიქმნა და დღესაც განკუთვნილია ისეთი აუდიტორიისათვის, რომელმაც ლოგიკის ელემენტები არ იცის. სოფისტები („სიბრძნის მასწავლებლები“) თავისი საცირკო ნომრების კომერციულ ექსპლოატაციას ეწეოდნენ ბაზრის ეკონომიკიანი ქვეყნებიდან ათენში ... ეპოქაში, რომელიც ათიოდე წლით მაინც წინ უსწრებდა ლოგიკის, როგორც მეცნიერების, შექმნას. ამჩნევს თუ არა ავტორი (დ. ბერძენიშვილი) იმას, რომ მისი ლოგიკა სოფიზმის დონისაა, ანუ აზრის განვითარების ლოგიკამდელი დონისაა, არ ვიცით. თუ ამჩვენს, მაშინ ცხადია, რომ მას ამ თავის ქმედებაში ან აუდიტორიის სრული უკრიტიკობის იმედი აქვს, ან იმისა, რომ ის, ვისთვისაც იგი წერს, სახელდობრ, ე.წ. მუსიკის შემკვეთი ინსტანცია, მას ლოგიკურ დეტალებში არ გამოეკიდება.

2. როგორც გაზეთის შეკითხვას რესპონდენტისადმი (დ. ბერძენიშვილი),

„რაც დრო გადის, საქართველოს შემადგენლობაში აფხაზეთის მშვიდობიანი გზით დაბრუნების იმედი სულ უფრო მიზერული ხდება. იარაღის საშუალებითაც სათუოა – ვიდრე რუსებს პროაფხაზური პოზიცია უკავიათ, ასეთი რამ წარმოუდგენელია. მოსკოვი რომ თავის პოზიციას არ შეცვლის, ესეც ცხადია. ასეთ პირობებში, რუსეთთან ურთიერთობის გაუარესების შიშით, ვერც დასავლეთი გვეხმარება. ერთი სიტყვით, იქმნება მოჯადოებული წრე, საიდანაც გამოსავალი არ ჩანს. გამოდის, რომ აფხაზეთის დაბრუნება შეუძლებელია?“

ისე ჯ პასუხს –

„მართლაც, რაც დრო გადის, სულ უფრო მცირდება ერთიანი საქართველოს შემადგენლობაში ქართველებისა და აფხაზების თანაცხოვრების შანსი. ჩვენს თვალწინ, ენგურს გაღმა თბილისისგან დამოუკიდებელი ცხოვრების წესი მკვიდრდება და დე-ფაქტოდ არსებული პოლიტიკური ერთეული ყალიბდება. ასეთ ვითარებაში,. თუ ინიციატივა ხელში არ ავიღეთ, უნდა შევეგუოთ იმას, რომ, ადრე თუ გვიან, რომელიმე ქართველ პოლიტიკოსს მოუწევს სოხუმში ჩასვლა და იქ „ორ ქვეყანას შორის კეთილმეზობლური ურთიერთობების დამყარების შესახებ“ ხელშეკრულებაზე ხელის მოწერა“,

პრაგმატული პრინციპი აქვს საფუძვლად: „გარემოებები გვაიძულებს და ამიტომ (იგულისხმება) ამ იძულებას უნდა დავუთმოთ, აფხაზეთის დაკარგვას უნდა შევურიგდეთო; რუსეთი არ დათმობს, ამიტომ ჩვენ უნდა შევასრულოთ მისი ნებაო და ა.შ.“. როგორც ვხედავთ, არც საკითხს, რის ქმნა შეგვიძლია და რისა არ შეგვიძლია

მანამდე, სანამ დავთმობდეთ, არც საკითხს, რა შედეგს მოიტანს არდათმობა — უარესს, ვიდრე დათმობაა, თუ არა, — ავტორი არ სვამს (თუმცა ამ თემების ჩართვას პერსპექტივის განხილვაში ელემენტარული მეთოდური სისწორე მოითხოვს). მაგრამ ამ პრინციპით, ანუ პრაგმატული პრინციპით მიდგომას მიზნის მიღწევის შანსი და, მაშასადამე, აზრიც მხოლოდ იმ შემთხვევაში აქვს, თუ დაცულია ორი პირობა. პირველი. ძალთა და ფაქტორთა განლაგება, რომელთაგანაც შედგება ჩვენი „მაიძულებელი“ სიტუაცია (სახელდობრ, რუსეთის „უკანდაუხეველი“ ძალა და ჩვენი სისუსტე) გათვალისწინებული უნდა გვქონდეს სრულადაც (ანუ ყველა ფაქტორის დასახელებით და არა მათი მხოლოდ ერთი ნაწილის), და სწორადაც. წინააღმდეგ შემთხვევაში მცდარი გადაწყვეტილების მიღება გვემუქრება. მეორე: საპასუხო ნაბიჯთა ჩამონათვალი, რომელთაგანაც ერთი, ჩვენი მიზნისთვის ყველაზე მორგებული (ოპტიმალური) უნდა შევარჩიოთ, უნდა განსაზღვრული გვქონდეს ასევე სრულად და სწორად, თუ არა და ისევ შეცდომაში ჩავვარდებით. ამ ორი პირობიდან ავტორი არ იცავს არც ერთს. ჯერ ერთი, იგი ვერ ხედავს ან არ ხედავს, რომ ენგურს გაღმა არანაირი „თბილისისგან დამოუკიდებელი ცხოვრების წესი“ არ „მკვიდრდება“: იქ ბატონობს ერთადერთი, რუსული ნება და, შესაბამისად, რუსის წასვლისთანავე იქ კლანთა, ფენათა, აფხაზთა, სომეხთა, რუსთა, შემოსულ კავკასიელთა, უცხო ინვესტორთა ანუ მამულების მყიდველთა, მაფიათა და სხვა მოქმედ პირთა შორის დამყარებულ ყველა ურთიერთობათა თავიდან აწყობა დაიწყება (იმას, რომ ეს „ცხოვრების წესი“ ქართველთა გენოციდის გაგრძელებას გულისხმობს, მაგ. მხოლოდ გალის რაიონში ომის დამთავრების შემდეგ მოკლულია 2 ათასზე მეტი მოსახლე, აქ არ ვახსენებთ. ავტორს ეს არ აინტერესებს და მის კვალიფიკაციაზე მსჯელობისთვის ამის ხსენება არ გვჭირდება). ამგვარად, იქ სიტუაცია პირწმინდად რუსულია და არავითარი „პოლიტიკური ერთეული“ იქ არ ყალიბდება.

მეორე და მთავარი არაადექვატობა ციტირებული ნაწყვეტებისა ისაა, რომ ავტორი სრულებით ვერ ერკვევა და არც ცდილობს, რომ გაერკვეს აფხაზეთის სიტუაციის განვითარების გლობალურ (გეოსტრატეგიულ) ასპექტში, ანუ მას არა აქვს არც აზრი, არც პროგნოზი იმაზე, მოხდება თუ არ მოხდება მართლაც რუსეთის წასვლა ამ რეგიონიდან, ხოლო თუ მოხდება — რა ვადებში და რა ფორმით. იგი ვერ ითვალისწინებს, რომ რუსეთის ქცევას აფხაზეთთან მიმართებაში, ანუ მის მიერ დათმობა-არდათმობას ამ ზონაში, არ განსაზღვრავს მხოლოდ აფხაზეთის ადგილობრივი ვითარება, არამედ მას განსაზღვრავს ძირითადად მსოფლიო სტრატეგიის ფაქტორები და მოტივები. უკანასკნელთა შორის არის რუსეთისთვის სასარგებლოც და რუსეთისთვის საზიანოც. მაგალითად, როგორც რუსეთს უნდა აფხაზეთის სან

მეშვიდე გვერდიდან

არსებობა, როგორც ეტყობა, არც გაცნობიერებული აქვს). ამიტომ ამ უფლების რეალიზება შეიძლება მოხდეს არა „სწორედ დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნის“ სახით, არამედ, უარეს შემთხვევაში, „სხვა სახელმწიფოში საკუთარი ადგილის ძებნის სახითაც“ (კვლავ ულოგიკობაა: „დამოუკიდებელი სახელმწიფო“ რაღა დამოუკიდებელია, თუ „სხვა სახელმწიფოში“ აქვს ადგილი ან ასეთს ეძებს? ამიტომ

„რესპუბლიკელებს მრავალჯერ გამოგვიტანია სამსჯავროზე ჩვენი შეხედულებები, პროექტები, კონცეპტუალური მიდგომები. ამიტომ, მოეწონებათ სხვებს ეს თუ არა, რესპუბლიკელები თავს ვალდებულად მივიჩნევთ, მორიგი ინიციატივით გამოვიდეთ.

„თბილისსა და სოხუმს შორის ჰორიზონტალური ურთიერთობების დამყარებისა არ უნდა შეგვეშინდეს. ვფიქრობ, კიდევ არსებობს შანსი, ქართველებმა და აფხაზებმა შევქმნათ ერთიანი და საერთო სახელმწიფო, რომელიც იქნება ორსუბიექტიანი და თანაბარუფლებიანი“.

ამის შემდეგ უკვე ინკოგნიტო გახსნილია და ჩვენ ვხედავთ სწორედ იმ გეგმას, რომელზეც უკვე გვქონდა ლაპარაკი ბოდენის დოკუმენტთან და მის ქართველ გამშლელებთან დაკავშირებით ცოტა ზემოთ. ეს, შეგახსენებთ ზემოთქმულს, დანარჩენი საქართველოსგან აფხაზეთის მოცილების ცოტა გრძელვადიანი (რამდენიმეწლიანი) გეგმაა, და ცნებებში არც თუ მთლად გარკვეული ავტორი ლამობს, ეს გეგმა შედარებით რთულ, ფილოსოფიურ იდეოლოგიაში შეფუთოს.

„საკითხისადმი ჩვენი, რესპუბლიკელების ასეთი მიდგომა ნიშნავს იმას, რომ, ერთი მხრივ, როცა ვამბობთ „საქართველო და აფხაზეთი“, ეს უკანასკნელი გამოგვყავს „საქართველოს“ ცნებიდან და, მეორეს მხრივ, პოლიტიკურ ერთობას ჰქვია საქართველო, ანუ საკუთრივ საქართველო პლუს აფხაზეთი“.

ვის რა საფუძველი ან უფლება აქვს „გამოიყვანოს აფხაზეთი საქართველოს ცნებიდან“ ანუ თავისი რაღაცა ნებსითი საზრვნო პროცედურით გამოიყვანოს აფხაზეთი საქართველოს შემადგენლობიდან (რადგან სხვანაირად, თუ ეს გამოყვანა ფიზიკურად არ შევასრულეთ, აფხაზეთის ცნების გამოყვანა საქართველოს ცნებიდან ლოგიკურად შეუძლებელია ისევე, როგორც, ვთქვათ, კეთილი იმედის კონცხის გამოყვანა აფრიკის ცნებიდან). ეს უცნაური პრეტენზია ავტორისა ლოგიკურად გვაიძულებს დავსვათ (უფრო ზუსტად: გავიცნობიეროთ) **ის** ყოვლად მიუღებელი კითხვა, რომლის პასუხის ცოდნა სავალდებულოა ნებისმიერი პოლიტიკოსისა, პოლიტოლოგისა თუ იურისტისათვის, **როდესაც** ერთი სახელმწიფოდან **ან** თუნდაც ერთი ადმინისტრაციული ერთეულიდან მისი დღესდღეობით რაღაც ნაწილის გამოყოფის წინადადებას აყენებს: <u>რა პროცედურით</u> **უნდა** გამოვიდეს აფხაზეთი საქართველოდან? ალბათ, **იმ** პროცედურით, რომ <u>ვიღაცამ</u> უფლებამოსილმა **უნდა** განაცხადოს თავისი სათანადო ნება. ხოლო ვინაიდან დემოკრატები ვართ და არა ძველი ჩინეთის მანდარინები, ეს <u>ვიღაცა</u>, რა თქმა **უნდა**, სხვა ვერავინ იქნება, **თუ** არ ვიღაცათა <u>უმრავლესობა</u> (ანუ რომელიღაცა კატეგორიის პირთა რაღაცა სიმრავლე), ხალხი. ვინაა ეს სიმრავლე, **ვის** ნებასაც ხელეწიფება გადაწყვეტილების მიღება საქართველოსაგან აფხაზეთის გამოყოფის შესახებ? ამ კითხვას ვერც რესპუბლიკელები, **ვერც** ბოდენი, რომლის იურიდიულად აბსურდული გეგმის გაშლა **და** ქართულად ხელმოწერა „რესპუბლიკელთა“ დავალებაა, პასუხს ვერ გასცემენ, **რადგან** იმას, რასაც გულისხმობენ, **ვერ** გაამხელენ იმის გამო, **რომ** „დემოკრატები“ არიან (სავალდებულო წესით) და **აუდიტორიად** დემოკრატები ჰყავთ. აფხაზეთის მოსახლეობამ? **არა,** მისი 46% ქართველობაა, **დღეს** დევნილი, **მაგრამ** არა **უფლებადაკარგული,** აფხაზები **კი** — 17%-მდე არიან. **პასუხი,** რომელსაც ბოდენი **და** „**რესპუბლიკელები**“ **გულისხმობენ, მაგრამ** ვერ **ამხელენ, შემდეგია:** აფხაზეთის **საქართველოსაგან** **გამოყოფისთვის** **უფლებამოსილია** **აფხაზი** **ხალხი, აფხაზეთის** **მოსახლეობის** **17%,** ანუ ერთი **აფხაზის** ხმას **სამჯერ** **და** ცოტა **მეტად** **უფრო** **მეტი** **წონა** **აქვს,** ვიდრე **ერთი** ქართველის ხმას. ამ **პოზიციის** **გამართლება** **კი** (**მე** **არ** **ვამბობ,** **რომ** **ეს** **უსათუოდ** **სამართლიანი** **გამართლებაა.** **ამ** **თემაზე** **სხვადასხვა** **აზრი** **და** **განწყობილება** **არსებობს.** **ვამბობ** **მხოლოდ,** **რომ** **ეს** **მოაზრებადი** **გამართლებაა**) **სხვა** **ვერა** **იქნება** **რა,** **გარდა** **ერთისა:** **მის** **გამმართლებელს** **მიაჩნია** (**ან** **სიმულანტობს,** **თითქოს** **მიაჩნია**), **რომ** **აფხაზეთი** **არის** **აფხაზების** **ქვეყანა** **და** **არა** **ვისიმე** **სხვისა,** **ისინი** **აქ** **ავტოხთონური** **ერი** **არიან,** **ქართველები** **კი** **არ** **არიან,** **ამიტომ** **აფხაზებს** **მორალური** **უფლება** **აქვთ,** **თავისი** **ქვეყანა** **განკარგონ** **ქართველების** **დაუკითხავად.** **ეს** **დებულება** **თავისი** **შინაარსით** **და** **ჟანრით** **ისტორიისეული** **დებულებაა** **და,** **ამგვარად,** **თვით** **მოვლენათა** **განვითარების** **ლოგიკას** **მივყავართ** **იქითკენ,** **რომ** **განხილვაში** **ისტორია** **შემოვიყვანოთ.** **არიან** **მართლა** **აფხაზები** (**იგივე** **აფსუები**) **აქ,** **აფხაზეთის** **ტერიტორიაზე** **ავტოხთონურნი?** **ისტორიული** **მეცნიერების** **ნაწილი** (**და,** **როგორც** **ყველამ** **ვიცით,** **უფრო** **კომპეტენტური** **ნაწილი**) **ფიქრობს,** **რომ** **არ** **არიან:** **აქ** **ავტოხთონური** **მოსახლეობა** **არის** **ქართული,** **ხოლო** **აფსუები** „**აფხაზეთად**“ **წოდებულ** **ქართველურ** **პროვინციაში** **მოვიდნენ** **რამდენიმე** **ასეული** **წლის** **წინ** **და,** **თავისი** **საკუთარი** **თვითდასახელების** „**აფსუა**“ **გვერდზე,** **სხვებისაგან** **ეთნონიმი** „**აფხაზი**“ **მიიღეს.** **ამგვარად,** **თუ** **ისტორიულ** **მხარეს** **არ** **შევხედით,** **მაშინ** **იმის** **თქმა,** **რომ** **აფხაზებს,** **როგორც** **ხალხს,** **უფლება** **აქვს** **საქართველოდან** **თავისი** **ერთსულოვანი** **ნებით** **აფხაზეთი** **გამოყოს,** **შეუძლებელია.** „**რესპუბლიკელებს**“, **მიღებული** **დაკვეთის** **შესაბამისად,** **აქვთ** **უფლება** **ისტორიკოსთა** **ან** **ერთ** **ნაწილს** **დაუჯერონ,** **ან** **მეორეს,** **მაგრამ** **ისინი** **ვალდებულნი** **არიან** (**რამდენადაც** **მეცნიერების** **უგულებელყოფა** **მსჯელობის** **თანამედროვე** **დონე** **არ** **გახლავთ**) **იცოდნენ,** **რომ** **სხვა** **აზრიც** **არსებობს,** **და** **არსებულ** **აზრთა** **ფონზე** **თავისი** **პოზიციაც** **განსაზღვონ.** **ისინი** **ამას** **არ** **აკეთებენ** **და** **ვერ** **აკეთებენ.** „**რესპუბლიკელთა**“ **ცოდნა** **ამ** **სფეროში,** **ისევე** **როგორც** **ზემოთ** **ხსენებულში,** **ნულის** **ტოლია.** **ამიტომაც** **ისინი** **თავის** **აზრს** **ამ** **თემაზე** **შემოფარგლავენ** **რამდენიმე** **ფრაზით,** **რომელშიც** **არა** **თუ** **არ-გუმენტაციის** **ილუზია** **არაა** **შექმნილი,** **არამედ** **არც** **დილეტანტური,** **მაგრამ** **გამართული** **საუბრის** **ფორმისა,** **ანუ** **ისეთი** **ფორმისა,** **რომელიც** **გულისხმობს,** **რომ** **მოსაუბრე** **ცდილობს** **არც** **პირდაპირ** **ლოგიკურ** **წინააღმდეგობაში** **ჩავარდეს,** **არც** **უსაგნობისა** **და** **უაზრობის** **შთაბეჭდილება** **შექმნას.** **აი,** **ავტორის** **ერთადერთი** **მსჯელობა** **ისტორიულ** **თემაზე:**

„საერთოდ, საქართველო, დღიდან მისი არსებობისა, თავისი არსით იყო ქართველთა და აფხაზთა სახელმწიფო. ბუნებრივია, ქართული ელემენტი მასში გაცილებით მძლავრობდა, მაგრამ ყოველთვის იგი მაინც ერთ სახელმწიფოში ორი ერის თანაცხოვრებას გულისხმობდა. დღესაც, ვფიქრობ, საქართველოში დაცული უნდა იყოს ორივე ერის სუვერენული უფლება“.

ამ პატარა ნაწყვეტში რამდენი წინადადებაცაა, იმდენი ჭეშმარიტების დარღვევაა ან უსაგნობაა. რა არის ქვეყნის „არსი“? არსებობს ქვეყნის მოსახლეობის ბირთვი, არსებობს წამყვანი სოციალური ფენა, არსებობს წამყვანი აღმსარებლობითი ჯგუფი. „არსი“ ამ კონტექსტში არაფრის მთქმელია. მეორეც და მთავარი: არსებობდა ქართლი, იგივე იბერია, არსებობდა კოლხეთი, იგივე ეგრისი (აქედან — ქართული ეთნონიმი „მ-ეგრ-ელ-ი“ და მისი კანონზომიერი მეგრული შესატყვისი ეთნონიმი „მ-არგ-ალ-ი“, აქედანვე, სხვათა შორის, სიტყვა „არგონავტიკაც“, ანუ ეგრისში (მეგრული სავარაუდო ვარიანტია ისტორიულად „არგიში“ ან „არგისი“) ცურვის აღწერა. მეფე აიეტის ვაჟს ჰქვია „აფსირტი“, რაც, შესაძლოა, იმაზე მიგვანიშნებს, რომ აიეტის სამფლობელოს რომელიღაცა ადგილას სახელის „აფსუა“ ან მასთან ფონეტიკურად მიმსგავსებული რაღაცა სახელის მატარებელი მოსახლობა ცხოვრობდა, მაგრამ არავითარ შემთხვევაში იმას, რომ კოლხეთი ორი თანაბარროლიანი და თანაბარწვლილიანი ეთნიკური ელემენტის — ქართველურისა და აფსუურის — ქვეყანა იყო (თუ იყო, სადაა, ვთქვათ, სპეციფიკური აფსუური ელემენტი ამ ტერიტორიასთან დაკავშირებულ ფოლკლორში, მატერიალურ კულტურაში, ეპიგრაფიკის შინაარსში და ა.შ.?). ეს შენიშვნა, რა თქმა უნდა, არ გულისხმობს იმას, რომ ეჭვი შეგვქონდეს აფხაზი („აფსუა“) ხალხის, თუნდ მოსული იყოს იგი და თუნდ ავტოხთონური, წმიდათაწმიდა უფლებაში, რომ ამ ტერიტორიას, სადაც ცხოვბრობს, და ბევრად უფრო მეტსაც, განიხილავდეს თავისი ყოველმხრივი, მათ შორის ეროვნული თვითრეალიზაციის ასპარეზად აწ და მარადის და შესაბამის სივრცეში ესა თუ ის ექსკლუზიური უფლებები ჰქონდეს ასევე აწ და მარადის. თქმული გამორიცხავს მხოლოდ „რესპუბლიკელთა“ სრულებით უსაფუძვლო ფანტაზიას, რომ დღეს არსებული საქართველო, რომლის ნაწილია აფხაზეთი, როგორც ერთიანი სახელმწიფო, ითვლებოდეს დღემდე არარსებულად და რომ ამავე ტერიტორიაზე ახალი, ქართულ-აფხაზური ერთიანი სახელმწიფოს გაჩენა ითვლებოდეს მის შექმნად, და არა ისტორიიდან მომდინარე, არასოდეს არ დარღვეული ვითარების გაგრძელებად.

რატომ არის, რომ ზემოხსენებული „მუსიკის მეკვეთი“, რომელსაც რესპუბლიკელების ეს ნულოვან ისტორიულ ცოდნაზე და ასევე ნულოვან კრიტიკულ გამჭრიახობაზე დამყარებული კონცეფცია ემსახურება, ურიგდება მათ ამ ნულოვან პროფესიულ მომზადებას ამ სფეროში? პასუხი იგივეა: იმიტომ, რომ <u>მას საბუთიანობის ხარისხი არ აინტერესებს</u>. მას სრული იმედი აქვს, რომ ამ სიღრმემდე საკითხში არავის მცირეს არ ჩაახედებს და არც ვინმე დიდთაგანი მოიწადინებს ჩახედვას. <u>მისთვის ერთადერთია საინტერესო და საჭირო</u>: <u>ქართული გვარების ხელმოწერები</u>, ეს კი ის საქონელი გახლავთ, რომელსაც რესპუბლიკელები, როგორც ჩანს, უფრო დიდი ხალისით სთავაზობენ მას, ვიდრე ქართული გვარების მქონე რომელიმე სხვა პოლიტიკური თუ „პოლიტიკური“ ჯგუფი „ნაციონალების“ და, შესაძლოა, შევარდნაძის აწ უკვე დიდწილად განქარვებული ჯგუფების გარდა.

4. ეს, რაც აქამდე მოგახსენეთ, ბერძენიშვილის ოპუსის მხოლოდ პირველი სვეტნახევრის შინაარსს ეხება. დანარჩენი არის კონკრეტული იდეები მომავალი ქართულ-აფხაზური ერთიანი სახელმწიფოს — ამ გეოგრაფიული სიახლის, რომელსაც ჰქვია „საქართველო“ ან, თუ გნებავთ, „საკუთრივ საქართველო პლუს აფხაზეთი“ (რომელი არითმეტიკით, ღმერთმა უწყის) — სტრუქტურისა და უფლებრივი წყობის სხვადასხვა მახასიათებლების წარმოსახვა ისეთივე უმეცნიერებო, ულოგიკო, ამავე დროს ისეთივე ანტიქართული (ქართული სახელმწიფოს ინტერესსთა საწინააღმდეგო) მიმართულებით, როგორც აქამდე გადმოცემული. პრინციპული მხარე იგივეა, რაც ზემოთ დავახასიათეთ. კონკრეტული რეკომენდაციები და სურვილები, რომლებიც საქართველოს ტერიტორიული დაცვის ამა თუ იმ გოდოლს უტევს, შემდეგია.

— „მე არ მაშინებს აფხაზეთის სტატუსის საკითხი. იგი არ არის განმსაზღვრელი და მთავარი ხელის შემშლელი ფაქტორი ქართულ-აფხაზური პრობლემის მოგვარების საქმეში. ძირითადი და გადამწყვეტია დემოგრაფიული სურათი. ჩვენ, ქართველებს, როგორც უფროს პარტნიორს ამ ერთობაში, რაოდენობრივად უფრო მეტს და მეტი დემოკრატიული რესურსის მქონეს, საერთაშორისო სამართლის სუბიექტს, — გვევალება ვიყოთ უფრო ინიციატივიანები და დამთმობები“.

აქ, ცოტა თუ გავშიფრავთ, ნათქვამია, რომ ქართველთა და აფხაზთა ჰარმონიზაციას სტატუსის საკითხზე უფრო მეტად ხელს უშლის ის, რომ აფხაზები აფხაზეთში მეტისმეტად ცოტანი არიან, ქართველები კი (დევნილთა სახით) — მეტისმეტად ბევრნი. მაშ რა ყოფილა ქართველების მხრიდან აფხაზებისათვის კიდევ „დასათმობი“ საგანი? პასუხია: ან ქართველები უნდა იყონ ნაკლებნი, ვიდრე იყვნენ (ანუ დევნილები დიდწილად ვეღარ უნდა დაბრუნდნენ), ან აფხაზები უნდა იყონ მეტნი (ანუ უნდა შემოასახლონ ყაბარდოელები და სხვა მონათესავენი). ცოტა ქვემოთ ავტორი, მართლაც, პირდაპირ წერს:

— „წარმოუდგენელია, რომ 1992-93 წლების ომის შემდეგ აფხაზები დათანხმდნენ აფხაზეთში ქართველებზე კვლავ ორნახევარჯერ ნაკლებნი იყვნენ. ძალიან ძნელია ასეთ სინამდვილესთან შეგუება, მაგრამ სხვა გზა არ გვაქვს“.

ამას მოსდევს (მე ვიტყოდი: ყოველგვარი ადამიანური ალღოსაგან გაწმენდილი) ანალოგია თავის პირად ხვედრთან, იმასთან დაკავშირებით, რომ ბათუმში სახლის გაყიდვა მოუხდა. საყურადღებოა, რომ ამ კონტექსტში დამოწმებულია გაეროს ავტორიტეტიც, რომელიც, ავტორის თქმით, ლტოლვილთა მრავლად დაბრუნების მომხრე არაა.

„გაეროს მხრიდანაც ამ ტიპის მიდგომებია, რომ რაც შეიძლება მეტი დევნილის ნორმალური კეთილმოწყობა მოხერხდეს საქართველოს დანარჩენ ნაწილებში. დევნილთა მნიშვნელოვანი ნაწილი, რასაკვირველია, აფხაზეთში უნდა დაბრუნდეს, მაგრამ გარკვეულ ნაწილს, მაინც, ალბათ, მის ფარგლებს გარეთ მოუწევს ცხოვრება“.

ავტორს ავიწყდება იმის აღნიშვნა, თავაზიანი მოჩვენებითობის სახით მაინც, რომ პირადად მას, ისევე როგორც მის საკარაუდო მკითხველს, ორიენტირად საქართველოს ინტერესები აქვს (იგულისხმება), და არა გაეროს ესა თუ ის ტენდენცია.

ერთერთი შემკვეთის (მაგრამ, ცხადია, არა ერთადერთის. ძირითადი შემკვეთი, ყველა ნიშნის მიხედვით, რუსეთია) მიმართულება ჩანს ავტორის შემდეგ სიტყვებში.

„ამ გზაზე მთავარი პრობლემაა რუსეთის ფაქტორის მინიმუმამდე შემცირება. უნდა გავზარდოთ დასავლეთის წილი არა აფხაზების შესაშინებლად, არამედ მათ დასახმარებლად და დასამშვიდებლად. საჭირო აფხაზები დავარწმუნოთ იმაში, რომ დასავლეთი მათ თავს არ „შეგვაჭმევინებს“.

ეს იმ წინადადების მოძზადებას ჰგავს, რომ მსოფლიო საზოგადოებრიობას ხელთ მიეცეს გადამწყვეტი ბერკეტები აფხაზეთში სიტუაციის სამართავად, პრაქტიკულად — საქართველოს სახელმწიფო ნების უგულებელყოფით.

სახელმწიფოს უმრავლესობაში მყოფი ერის მხრიდან „დათმობის“ ნიმუშად ავტორი ასახელებს ესპანეთს.

„ესპანეთში ეს ბასკებთან, კატალონიელებთან და გალისიელებთან მიმართებაში განხორციელდა. შედეგად, შეიქმნა ესპანეთის ერთიანი, პლურალისტური სახელმწიფო, სადაც ზემოთ ჩამოთვლილი ერთეულები ავტონომიებს წარმოადგენენ“.

მას მხედველობიდან რჩება, რომ ესპანური ავტონომიები უმცირესობათა კომპაქტური განსახლების ტერიტორიებს მოიცავენ და არა მათზე რამდენიმეჯერ მეტს, ავიწყდება ისიც, რომ დიდად განსხვავებული ბასკებიც და მცირედ განსხვავებული კატალონიელებიც კომპაქტური ავტოხთონური მოსახლეობა არიან, რომელთა ეს თვისებაც ეჭვის ქვეშ არ დგება (ამით მხოლოდ იმას ვამბობ, რომ ფიქოლოგიური ვითარება სხვაა, ვიდრე ჩვენს შემთხვევაში, და არა იმას, რომ ავტოხთონობა ერთადერთი საზომია).

წინააღმდეგ ავტორის შენიშვნისა, ცალსახად არაჭეშმარიტია, მიუხედავად ამერიკელების მიერ ჩატარებული გამოკითხვის შედეგებისა, რომ აფხაზეთის საკითხი ქართველი ერისთვის აქტუალობას კარგავს და რომ „ფსიქოლოგიურად ასე განწყობილ ერს“ „განა ხელეწიფება ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა?“ (ეს რომ მართალი არ არის, ცნობილია ბოლო დროის გამოკითხვებით). ეჭვს, რომ ავტორის ეს თემასთან ხელოვნურად დაკავშირებული კონსტატაციაც შეკვეთილია, ბადებს ავტორის გამონათქვამები საქართველოში აფხაზეთის უზენაესი საბჭოსა და აფხაზეთის მთავრობის „ზედმეტობის“ შესახებ. უკანასკნელი თეზისი ვისია, ცნობილია. რაც შეეხება ავტორის მიერ იმის ვერხედვას, რა დიდი ფუნქცია აქვს მათს არსებობას იურიდიული (უფლებრივი) თვალსაზრისით, ეს იმდენად დიდი შეცდომაა, რომ მე არ შეიძლია იგი სიმულაციად არ ჩავთვალო. ასევე შეკვეთილად მესახება ავტორის სიტყვები, თითქოს „სამხრეთ ოსეთის“ არსებობა ცნობილია და აღიარებულია XIX ს-ის ქართულ ლიტერატურაში. ეს ხელოვნური გამოთქმა „ოსეთი“ საქართველოს ნაწილებისთვის (ისიც — ხან რა და ხან რა შინაარსით) რუსებმა გამოიგონეს საქართველოს ანექსიის რამდენიმე თვის თავზე (მას პირველად ხმარობს კნორინგი 1802 წელს.). ქართულ პრესაში ეს რუსული ლექსიკური ერთეული სულ რამდენჯერმე იხმარება ოფიციალური რუსული ხმარების გამო, და ეს სრულებითაც არ ნიშნავს, რომ საქართველოს ტერიტორიის ნაწილი ამის გამო „ოსეთად“ იქცა. იმის ვერხედვა, რას ნიშნავს სახელის „სამხრეთ ოსეთი“ შემოღება, მე აგრეთვე დაუჯერებელი და, ამდენად, შეკვეთილი მგონია.

თქმულის გათვალისწინებით, მაინტერესებს ორი კითხვა, რომელიც „ჰო“ და „არა“-ს პასუხს ითხოვს. პირველი. არის თუ არა დ. ბერძენიშვილის აზროვნების მიმართულება და დონე, რომელსაც ამ წერილში ვხედავთ, თემისა და საკითხის მიმართ ადექვატური? პასუხი, ჩემის აზრით, არის ცალსახა „არა“. არაადექვატურია იგი, ჯერ ერთი, იმიტომ, რომ ავტორი ვერ ხედავს და არც ცდილობს, ხედავდეს იმ ფაქტორთა მთელ კომპლექსს მათ ერთიანობაში, რომლებიც განაზღვრავენ აფხაზეთის პრობლემის მდგომარეობას დღეს და ხვალ და საქართველოს ხელისუფლების მხრიდან გადასადგმელი ან არგადასადგელი ნაბიჯების რომელობას. მეორეც, არაადექვატურია იმიტომ, რომ ავტორს არა აქვს მომთხოვნელობა საკუთარი მსჯელობის თანამიმდევრობისადმი ერთის მხრივ და მისი საბუთიანობისადმი (საკმარისი საბუთიანობისადმი!) მეორეს მხრივ. თავისი მეთოდით და დონით ეს ჟურნალისტის მიდგომაა, რომელიც იმაზე ფიქრობს, ფრაზას ფრაზა როგორ მიაბას (თუმცა არც ამაში ეტყობა დიდი დახელოვნება), და აბზაცი როგორ მოამრგვალოს, და არა იმაზე, რომ პოზიცია „პროთა“ და „კონტრათა“ სრული აღრიცხვით განიხილოს და პასუხისმგებლობით აღბეჭდილ ობიექტურ დასკვნამდე მივიდეს.

მეორე კითხვაა: არის თუ არა, როგორც თავიდანვე ვიკარაუდე ჩემი შთაბეჭდილებისა და დაკვირვების საფუძველზე, ავტორის მიერ შემოთავაზებულ ტექსტში საქართველოს ისტორიულმასშტაბიანი ეროვნული ინტერესების შეგნებული ღალატი? მე მგონი, რომ ციტირებული მსჯელობის საფუძველზე ამ შემთხვევაში შემიძლია თამამად ვთქვა: დიახ, არის. ავტორის პოზიციები მცდარობის (არაჭეშმარიტობის) ისეთი ხარისხის მატარებელია და ამავე დროს საქართველოს ინტერესებისადმი ისეთი ზომით დაპირისპირებულია, რომ მათი არსებობის ახსნა შეგნებულად მიღებული და შესრულებული უცხო დაკვეთის გარეშე შეუძლებელია.

ჩემი აზრი ეს გახლავთ. მისი გამოთქმა საჭიროდ მიმაჩნია, ვინაიდან ხსენებული პარტია, რომელიც სახელმწიფო საჭის (სახელდობრ, პარლამენტის) მეტ-ნაკლებად უსაფრთხო მიდამოებში ტრიალებდა და ტრიალებს წლების მანძილზე, ახლა, სხვათა და სხვათა მიზეზთა გამო, უკვე სახელმწიფოსთვის ფრიად საშიშ გავლენიან პოზიციაში მოხვედრას უმიზნებს (ჩემის აზრით, „ნაციონალებთან“ შეთანხმებითა და შეთქმულებით).

მისი პოზიციების დაცვა მის მესიტყვეთა მხრიდან მოსალოდნელად არ მიმაჩნია (ამ პოზიციების სრული უსაფუძვლობის გამო), ამიტომაც ვამბობ, რომ ამ პარტიას სახელმწიფოს ძირითად საკითხებზე არაკამათისუნარიანად ვრაცხ. მაგრამ პასუხის გაცემას მაინც ვთავაზობ და ძალიან მოხარული ვიქნები, თუ წინამდებარე არასახარბიელო მოსაზრებებსა და დახასიათებას მათი მხრიდან შეძლებისდაგვარად სრული შეკამათება მოჰყვება.

ნოდარ ნათაძე

P.S. აუცილებლად მიმაჩნია ავღნიშნო: ის, რომ საჭიროა აფხაზებს უნდოდეთ საქართველოს შემადგენლობაში ყოფნა და ქართველებთან ერთად ცხოვრება, ჩემის აზრით, მართლაც აუცილებელია (თუმცა ეს სრულებითაც არ ნიშნავს იმას, რომ მათ პრობლემის რაგინდარა რაციონალური და სამართლიანი გადაჭრის მიმართ უმოტივაციო „ვეტოს“ უფლება აქვთ). რით შეიძლება ამის მიღწევა? პასუხი ასე მესახება: ამომწურავი და, შესაბამისად, ობიექტური დარწმუნებით, რომ რეალური პერსპექტივა ეროვნული მარადიულყოფისა და განვითარებისა აფხაზებს მხოლოდ საქართველოს შემადგენლობაში აქვთ. ამ თეზისის დამაჯერებლობა (და, მაშასადამე, შთამბეჭდაობაც) განისაზღვრება ორი ფაქტორით (გარდა იმისა, რომ საქართველო უნდა იყოს იმდენად ძლიერი და მისი არგუმენტაცია თავისი უფლებებისა, რომ ტერიტორიას არავის დაუთმობს, ისე შეუვალი, რომ ამ საკითხში საქართველოს დამარცხების იმედი მაინცდამაინც ადვილად არავის უჩნდებოდეს. ამიტომ ამ თემაზე დიალოგი ენის მოჩლექით არ უნდა მიმდინარეობდეს). პირველი: მკაფიოდ უნდა იყოს დასაბუთებული და გაცნობიერებული, რომ რუსეთთან ყოფნის (მისი გავლენის არეალში ყოფნის და ა.შ.) შემთხვევაში (და არა მხოლოდ რუსეთის შემადგენლობაში ყოფნის შემთხვევაში) აფხაზ ხალხს ეროვნული გადარჩენა არ უწერია. რადგან რუსეთმა იცის (და ყოველთვის ეცოდინება), რომ მცირე ერთან ურთიერთობაში იგი არაკონკურენტუნარიანია და ასეთად დარჩება მთელ განჭვრეტად მომავალში (სხვა დიდი ძალები თავის პარტნერს ყოველთვის უკეთეს პირობებს შესთავაზებენ). ამიტომ მიდრეკილება, რომ ზარდოს და ზარდოს უსასრულოდ თავის დიდმპყრობელურ ეტლზე მცირე ერის ბმულობის ხარისხი მის ჯერ სრულ პარალიზაციამდე, შემდეგ კი ასიმილაციამდე, რუსული პოლიტიკის მუდმივმოქმედი ფაქტორი იქნება უახლოეს დროშიაც და მთელ განჭვრეტად მომავალშიც. მეორე: გლობალიზაცია (რომელიც ბუნებრივი პროცესია და არა ვისიმე შეთქმულების შედეგი) აფხაზ ხალხს, როგორც მცირერიცხოვან ორიოდე თაობაში წალეკავს ყველა შემთხვევაში გარდა ერთისა: თუ გლობალიზაციისაგან დაცვა იქნება იმ სიცოცხლისუნარიანი და დიდ პროცესებში ხმისუნარიანი სახელმწიფოს სახელმწიფო პოლიტიკა, რომელშიც იქნება აფხაზეთი. საქართველო, როგორც გამართული სახელმწიფო, ამ როლის განხორციელების ერთადერთი კანდიდატია. მაგრამ, ცხადია, ეს ეხება მხოლოდ გამართულ საქართველოს და არა უნიჭო და უპასუხისმგებლო, ამასთანავე — კორუმპირებული დიქტატურის მიერ მართულს.

რას და რას უფრთხის ქართველი ხალხი აფხაზი ხალხისგან, ცნობილია. რას უფრთხის აფხაზი ხალხი ქართველი ხალხისაგან, ესეც ცნობილია. ასე რომ რეალური შეთანხმების პოტენციური შინაარსობრივი ბაზა ცნობილია. რაც შეეხება ე.წ. „გასაყოფის“ (სიმდიდრის, მიწის, უფლებების და ა.შ.) გაყოფას, ესეც გადაულახავი დაბრკოლება არ არის, რადგან აფხაზეთში, ისევე როგორც საქართველოში საერთოდ, ცხოვრების რაციონალური ორგანიზების შემთხვევაში პიროვნებისთვისაც, ოჯახისთვისაც და მთლიანად ერისთვისაც კეთილდღეობისა და გამდიდრების უაღრესად ფართო პერსპექტივები არსებობს.

შიმშილის პრობლემას გლობალური განზომილება გააჩნია

„სიღარიბე სასურსათო უშიშროების განუხორციელებლობის ძირითადი მიზეზია.“
რომის ფაოს დეკლარაცია

სასურსათო უშიშროება (უსაფრთხოება) განეკუთვნება ფუნდამენტურ სოციალურ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ პრობლემათა კატეგორიას. სურსათს, როგორც სასიცოცხლო უზრუნველყოფის მთავარ კომპონენტს, სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს. სასურსათო პრობლემა მეტად აქტუალურია თანამედროვე მსოფლიოსათვის, რადგან დედამიწის მოსახლეობის მატება ადეკვატურ ზეგავლენას ახდენს სურსათზე მოთხოვნილების ზრდაზეც. ამასთან, იგი პირდაპირ თუ ირიბად თითოეული ინდივიდის და მთელი საზოგადოების ფიზიკური არსებობის შენარჩუნებას უკავშირდება.

წარსულში, როდესაც ადამიანი მეტად სუსტი იყო ბუნებრივი მოვლენების წინაშე და ვერ ფლობდა მათზე ზემოქმედების მნიშვნელოვან საშუალებებს, ხშირი იყო არახელსაყრელი გარემო ფაქტორებით გამოწვეული შიმშილობები. ისტორიაში მრავალი ამგვარი ფაქტია აღწერილი (ეგვიპტე, რომი, ბრიტანეთი, საფრანგეთი, ბოჰემია, პოლონეთი, ირლანდია, რუსეთი, ინდოეთი, ჩინეთი და ა.შ.).

შიმშილობას საქართველოში, მისი უნიკალური ბიოგეოკლიმატური პირობების გამო, ძირითადად მტრის შემოსევები და ეპიდემიები განაპირობებდა, რაც ისტორიულ დოკუმენტებშიც ფიქსირდება. 735-737 წლებში მურვან ყრუს შემოსევის შედეგად ისე დაზარალებულა ქართლის სოფლის მეურნეობა, რომ მემატიანე წერს: „...აღარა იპოვებოდა ნიშნები არც საჭამადი კაცთა და პირუტყუთა“. დიდი შიმშილობები იყო შუა საუკუნეებში ბაგრატ IV მეფობის დროს 1050-1060 წლებში. ამ ფაქტს შესწრებია ათონის მთანსტრიდან ჩამოსული გიორგი მთაწმინდელი, რომელმაც დააფიქსირა ეს მოვლენა. 1811 წელს შიმშილობის მიზეზი გახდა ქვეყანაში შავი ჭირის ეპიდემია, მკაცრი ზამთარი და წყალდიდობები, რომლებმაც ათასობით ადამიანის სიცოცხლე შეიწირა.

XX საუკუნეში სასურსათო პრობლემის გამწვავებას იწვევდა დედამიწის მოსახლეობის სწრაფი ზრდა, რასაც ვერ სდევდა სურსათზე გაზრდილი მოთხოვნილების დაკმაყოფილების საშუალებების რაოდენობრივი და ხარისხობრივი მატება. XVIII საუკუნის ჩათვლით კაცობრიობა საშუალოდ 1000 წელიწადში ორმაგდებოდა, ხოლო XX საუკუნის მეორე ნახევარში გაორმაგებას 38 წელი დასჭირდა. თუ ადრე გაორმაგება ნიშნავდა 200-220 მილიონი ადამიანით მატებას, გასული საუკუნის 40იანი წლებიდან დღემდე ეს ციფრი 3.0 მილიარდზე მეტია. 1975 წლისათვის პლანეტაზე ცხოვრობდა 4 მილიარდი ადამიანი, 1990 წელს 5.6 მილიარდი. პროგნოზების თანახმად, 2010 წლისათვის დედამიწის მოსახლეობა 6.5 მილიარდს გადააჭარბებს, 2030 წლისათვის კი 8.9 მილიარდს მიაღწევს.

დემოგრაფიულმა აფეთქებამ XX საუკუნეში კვლავ აქტუალური გახადა ინგლისელი მღვდლის მალთუსის იდეები. კერძოდ, 1798 წელს შექმნილ „მიწის კლებადი ნაყოფიერების“ სახელით ცნობილ თეორიაში იგი წერდა: „მოსახლეობის ზრდის უნარი განუსაზღვრელად დიდია მიწის შესაძლებლობებზე აწარმოოს ადამიანის არსებობის საშუალებები“, „როცა მოსახლეობის ზრდა არ კონტროლდება, ის გეომეტრიული პროგრესიით იზრდება, ხოლო არსებობის საშუალებები არითმეტიკული პროგრესიით... მე ვერ ვხედავ გზას, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელია ამ კანონის სიმძიმისაგან თავის არიდება, რომელიც ყოველ ცოცხალ არსებას ემუქრება“.

ამჟამად მსოფლიოში მთელი მეცნიერული მიმდინარეობებია, რომლებიც ამა თუ იმ ფორმით იზიარებს მალთუსის მოსაზრებებს და აუცილებლად მიიჩნევენ დედამიწის მოსახლეობის რაოდენობის კონტროლს, თვით ისეთი ბარბაროსული მეთოდებითაც კი, როგორიცაა ომები, ბუნებრივი თუ ანთროპოგენური კატასტროფები, ეპიდემიები და სხვა.

ამგვარი იდეები, რა თქმა უნდა, არ გამოხატავს ცივილიზაციის თანამედროვე ეტაპის არსს. დღესდღეობით შეუძლებელია პროგრესის შენელება-შეჩერება და დედამიწის მოსახლეობის ისეთი ბარბაროსული მეთოდებით რეგულირებაზე საუბარი, როგორიცაა ომები, ეპიდემიები, კატასტროფები, მაგრამ სულაც არ არის გამორიცხული (პირიქით, აუცილებელიცაა) მოსახლეობის რაოდენობის რეგულირება თითოეული ქვეყნის შესაძლებლობების მიხედვით. ამის საინტერესო მაგალითს იძლევა ჩინეთი, სადაც მოსახლეობის ზრდის შენელება ხდება საკმაოდ ინტენსიური ეკონომიკური ზრდის ფონზე.

გარკვეულწილად არ მართლდება მალთუსის ხედვები ეკონომიკურ პროგრესთან დაკავშირებითაც. გლობალური პრობლემების ამერიკელი სპეციალისტი ბრაუნი აღნიშნავდა: „მისი (მალთუსის) მრწამსი, თითქოს ხალხთმოსახლეობის ზრდას გეომეტრიული პროგრესიით ზრდის ტენდენცია გააჩნია, ხოლო სურსათით უზრუნველყოფას არითმეტიკულისა, ვერ უძლებს დროის გამოცდას. სამაგიეროდ მისი უფრო ზოგადი მიდგომა, რომ მოსახლეობის ზრდას გააჩნია ტენდენცია წინააღმდეგობა გაუწიოს სურსათით უზრუნველყოფას, გადარჩა“.

როგორც აღვნიშნეთ, უკანასკნელ პერიოდში დედამიწის მოსახლეობის გაორმაგების ტემპი 38 წელს უდრის, ხოლო ტექნიკურ-ტექნოლოგიური ცოდნისა და სამეცნიერო მიღწევების დონე ყოველ 40 წელიწადში ორმაგდება, ანუ შესაძლებელია დავასკვნათ, რომ კაცობრიობის ბიოლოგიურ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების ზრდის ტემპიც გეომეტრიული პროგრესიის შესაბამისია, ოღონდ იგი ოდნავ ჩამორჩება მოსახლეობის ზრდის ტემპს, რაც არ შეეძლო სცოდნოდა მალთუსს.

მოსახლეობის ზრდასა და სურსათით უზრუნველყოფას შორის წინააღმდეგობა განსაკუთრებით კარგად ვლინდება, როდესაც ვეხებით მიწის რესურსების გამოყენების საკითხს. კერძოდ, ერთი მხრივ, მოსახლეობის სურსათზე მოთხოვნილების ზრდა სასოფლოსამეურნეო დანიშნულების მიწების ზრდას მოითხოვს, ხოლო, მეორე მხრივ, ადგილი აქვს ნაყოფიერი მიწების შემცირებას, როგორც ხარისხობრივი, ასევე რაოდენობრივი თვალსაზრისით.

ბუნებრივი რესურსები სასურსათო პროდუქციის წარმოების გასაფართოებლად მსოფლიოში უკიდურესად შეზღუდულია. მათი განაწილების საკითხი ყოველთვის და ყველგან ძირითად პრობლემას წარმოადგენდა. იგი უფრო გამწვავდება მომავალში. მეცნიერთა ვარაუდით, შესაძლოა მოკლე ხანში კაცობრიობა სურსათის მწვავე დეფიციტის წინაშე აღმოჩნდეს, რადგან ადამიანის მოთხოვნილება განუსაზღვრელად იზრდება, ხოლო სურსათის წარმოების რესურსები განსაზღვრულია, ე.ი. არა უსაზღვრო. შესაბამისი ღონისძიებების გატარების გარეშე, საქართველო ბაზრის კონიუნქტურაზე და სურსათის მწარმოებელ ქვეყნებზე დამოკიდებული გახდება, რაც სერიოზულ საფრთხეს შეუქმნის ახალგაზრდა სუვერენული სახელმწიფოს ეკონომიკურ და პოლიტიკურ დამოუკიდებლობას.

გასათვალისწინებელია ისიც, რომ სასურსათო პრობლემა შეიძლება წარმოიშვას ორი ფიზიოლოგიური და სოციალურ-ეკონომიკური – ასპექტით. ფიზიოლოგიურ ასპექტში იგულისხმება სასურსათო პროდუქციის აბსოლუტური დეფიციტი. ამ შემთხვევაში ადამიანის მიერ მოხმარებული სურსათი ვერ, ან მხოლოდ ნაწილობრივ აღადგენს მის მიერ ცხოველმყოფელობის პროცესში დახარჯულ ენერგიას, რაც გამოხატულებას პოულობს შიმშილში და იწვევს ადამიანის ორგანიზმის თანდათანობით ცვეთას. ასეთი ასპექტით სასურსათო პრობლემა დგას საქართველოში და განვითარებად ქვეყნებში, რომლებმაც მემკვიდრეობით მიიღეს ჩამორჩენილი ეკონომიკა და ცხოვრების დაბალი დონე. სურსათის პრობლემის სოციალურეკონომიკური ასპექტი ვრცელდება თვით მაღალგანვითარებულ ქვეყნებზეც, სახელდობრ, მისი მოსახლეობის იმ ნაწილზე, რომელმაც სამუდამოდ ან დროებით დაკარგა სამუშაო და ნაკლებ მსყიდველუნარიანი გახდა.

კვების პროდუქტებზე მოსახლეობის მოთხოვნილების დაკმაყოფილება კვლავაც რჩება პრაქტიკულად ყველა ქვეყნის პირველი რიგის პრობლემად, რის გამოც მიგვაჩნია, რომ აღნიშნული პრობლემა განხილული უნდა იქნეს თანამედროვეობის სხვა პრობლემებთან ურთიერთკავშირში. კაცობრიობის განვითარების ისტორიაში პირველად XXI საუკუნეში ყალიბდება ერთიანი მსოფლიო სისტემა, რომელიც ცალკეული ქვეყნების განვითარებაზე განმსაზღვრელ ზემოქმედებას ახდენს. თითოეულ ქვეყანაში მიმდინარე ტრანსფორმაციული პროცესების შესწავლა, გარკვეულწილად, აუცილებელია განხილულ იქნეს მსოფლიო სისტემის განვითარების ძირითადი ტენდენციებისა და თავისებურებების კონტექსტში. ასეთი მიდგომა საშუალებას მოგვცემს უფრო საფუძვლიანად გავაანალიზოთ და კომპლექსურად შევაფასოთ საქართველოს სასურსათო უშიშროება, მისი უზრუნველყოფის როგორც პრობლემები, ასევე გადაწყვეტის ძირითადი მიმართულებები. ნებისმიერ შემთხვევაში ხაზი უნდა გაესვას იმას, რომ სასურსათო პრობლემა განეკუთვნება მსოფლიო გლობალურ პრობლემათა კატეგორიას, რომლის გადაწყვეტა ორგანულადაა დაკავშირებული პოლიტიკურ, სოციალურ-ეკონომიკურ და ეკოლოგიურ ფაქტორებზე.

მეოცე საუკუნემ (რომელსაც თავისი კატაკლიზმებით ყველა სფეროში ბადალი არ მოეპოვება) საფუძველი ჩაუყარა საზოგადოების განვითარების მრავალ სასიკეთო, პროგრესულ მოვლენას, რომელთა შორის უმთავრესია: განვითარების მაღალი პოტენციალის მქონე ადამიანის ჩამო—ყალიბება; პოსტინდუსტრიული საზოგადოების ჩამოყალიბების პროცესის დაწყება; მეცნიერულტექნოლოგიური რევოლუციის ინტენსიფიკაცია; კაპიტალიზმსა და სოციალიზმს შორის მეტოქეობის დასრულება; დეკოლონიზაციის პროცესის განხორციელება; თანამედროვე მეცნიერულტექნიკური მიღწევების წარმოების პროცესებში დაჩქარებული დანერგვა და ერთიანი მსოფლიო სისტემის ფორმირება. ამასთან, მრავალი ისეთი პრობლემა წარმოჩინდა, რომელიც ვერ გადაწყდა განვითარების ინდუსტრიული სტადიის ფარგლებში (მასობრივი განადგურების ბირთვული შეიარაღება, ეკოლოგიური საფრთხე, სასურსათო პრობლემა და ა.შ.).

კაცობრიობის პროგრესი დღემდე საზოგადოებრივი განვითარების ინდუსტრიამდელი და ინდუსტრიული სტადიების ერთობლიობაა. ინდუსტრიამდელი სტადია, ფაქტობრივად, სოფლის მეურნეობის განვითარების სტადიაა, რომლის ძირითადი ნიშანია აგრარული პროდუქციის გაბატონება წარმოებასა და მოხმარებაში. ინდუსტრიული საზოგადოების ძირითადი ნიშნებია: მატერიალური და ფინანსური სიმდიდრის წინა პლანზე წამოწევა, სამრეწველო პროდუქციის გაბატონება წარმოებასა და მოხმარებაში, მექანიკური ტექნოლოგიების გაბატონება, ორიენტაცია მოგებაზე და ა.შ.

ამასთან დაკავშირებით არ შეიძლება არ გავიხსენოთ ცნობილი რუსი მეცნიერის ნ. კონდრატიევის „გრძელი ტალღების თეორია“, რომლის მიხედვით მეცნიერულტექნიკური რევოლუცია დღემდე ვითარდებოდა ტალღისებურად, საშუალოდ 50 წლიანი ციკლური პერიოდების მიხედვით. პირველმა ტალღამ 1785-1835 წლებში წარმოშვა განვითარების ტიპი, რომელიც ეფუძნებოდა ახალ ტექნოლოგიას საფეიქრო მრეწველობაში. მეორე ტალღა (1830-1890 წწ.) სარკინიგზო ტრანსპორტის განვითარებას უკავშირდებოდა. მესამე ტალღა (1890-1940 წწ.) უკვე ელექტროენერგიის საფუძველზე მძიმე მრეწველობის, მანქანათმშენებლობის და სხვა ენერგო და მასალატევადი დარგების განვითარებას იწვევდა. მეოთხე ტალღა (1930-1990 წწ.) კავშირგაბმულობის და კომუნიკაციების სხვა თანამედროვე საშუალებების გამოყენებას, აგრეთვე მრეწველობაში გაზის, ნავთობის და სხვა ბუნებრივი რესურსების მასობრივ ჩართვას უკავშირდება. მეხუთე ტალღას საფუძველი მიკროელექტრონიკამ ჩაუყარა, თუმცა მიმდინარე პერიოდისათვის განვითარების გადამწყვეტი ფაქტორი უკვე კომუნიკაციურ-ინფორმაციული და ბიოტექნოლოგიური მიღწევები ხდება, რომელიც თავის მხრივ გენური ინჟინერიისა და მეცნიერების სხვა მნიშვნელოვან მიღწევებთანაა დაკავშირებული.

ახალ ათასწლეულში, როცა სახეზე გვაქვს მსოფლიოში პოსტინდუსტრიული საზოგადოების თანდათანობითი დამკვიდრების პროცესი და როცა ადგილი აქვს ციფრული, ინფორმაციული ეკონომიკის დამკვიდრებას, როცა ყალიბდება სრულიად ახალი მაღალგანვითარებული ადამიანის ტიპი, განუხრელად ძლიერდება გლობალიზაციისა და ლოკალიზაციის ტენდენციები, ადამიანთა დასაქმება, კეთილდღეობა, განათლება და სხვ. სრულიად ახალ შინაარსობრივ და სოციალურეკონომიკურ დატვირთვას იძენს, რის გამოც ისინი განხილული უნდა იქნენ არა ცალკე აღებული რომელიმე ქვეყნის პრობლემად, არამედ მსოფლიოს გლობალურ კანონზომიერებებთან მჭიდრო ურთიერთკავშირში, თითოეული ქვეყნის ისტორიულ-კულტურული და სხვა სპეციფიკური პირობების გათვალისწინებით. ამას ობიექტურად მოითხოვს დღეს უკვე ფაქტად ქცეული სასმელი წყლისა და სურსათის დეფიციტის თანდათანობითი გაღრმავების, ურბანიზაციის, ეკოლოგიური წონასწორო-

ბის დარღვევის და სხვა ნეგატიური მოვლენების არასასურველი შედეგები, რომლებიც საფრთხეს უქმნის არა მარტო ერთ რომელიმე ქვეყანას, არამედ მსოფლიო ცივილიზაციას საერთოდ. ამდენად, ახალმა ათასწლეულმა უნდა გასცეს პასუხი მრავალ კითხვას, რომელთაგან ერთერთი უმთავრესია, შეძლებს თუ არა კაცობრიობა მომავალში დაიკმაყოფილოს საკუთარი მოთხოვნილება სურსათზე სათანადო რაოდენობის, ხარისხისა და ასორტიმენტის მიხედვით.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გამო სასურსათო უშიშროება (ზოგადად სასურსათო პრობლემა) ისევე, როგორც ეკოლოგიური და სხვა ხასიათის გლობალური პრობლემები, განხილული უნდა იქნეს თანამედროვე მსოფლიოში არსებულ რეალობათა კონტექსტში, ერების თანაარსებობის და მათი შემდგომი განვითარების ინტერესების გათვალისწინებით. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ადამიანთა კეთილდღეობის პირამიდის საძირკველში სურსათით უზრუნველყოფაა ჩადებული, რომ სურსათი ადამიანის ბიოლოგიური არსებობის საფუძველია და იგი მუდამ დარჩება ადამიანთა მოდგმის არსებობის მარადიულ პირობად.

XXI საუკუნეს კაცობრიობა სასურსათო პრობლემის სერიოზული გამწვავებით შეჰხვდა. თუ ამჟამად დედამიწაზე შიმშილობს 850 მლნ. კაცი, ექსპერტთა შეფასებით უახლოეს ათწლეულში მათი რაოდენობა ერთ მილიარდს გადააჭარბებს.

რა რეალური საფუძვლები არსებობს ასეთი პროგნოზისათვის?

XX საუკუნის ბოლოს სასოფლოსამეურნეო და კვების პროდუქტების წარმოების სფეროში თანდათან წინა პლანზე წამოიწია ახალი პრობლემების მთელმა კომპლექსმა, რომლებსაც დღევანდლამდე სერიოზული ყურადღება არ ექცეოდა. მაგალითად, ის ფაქტი, რომ მიწის, წყლის, ტყის და ზოგიერთი სხვა ბუნებრივი რესურსების მოცულობა შეზღუდულია, ყველასთვის იყო ცნობილი, მაგრამ მათგან ცოტა თუ ფიქრობდა, რომ ეს პრობლემები რეალურ და პრაქტიკულ მნიშვნელობას უახლოეს პერიოდში შეიძენდა. ასევე უყურადღებოდ რჩებოდა ისეთი ფაქტორები, როგორიცაა გარემო სამყაროს მდგომარეობის გაუარესება, ინდუსტრიალიზაციის გავლენა, ცხოვრების ურბანიზაცია და სხვ. მსოფლიოს გამოჩენილი მეცნიერებისა და ექსპერტების დიდი უმრავლესობა აღიარებდა და აფიქსირებდა ამ ფაქტორების მნიშვნელობას, მაგრამ თვლიდნენ, რომ ეს ყველაფერი მომავალი თაობების გადასაწყვეტი პრობლემა იყო. პრობლემა ზოგიერთი მეცნიერის მხრიდან მდგომარეობის შავი ფერებით დახატვის სურვილად უფრო აღიქმებოდა. მითუმეტეს, იმ ფანტასტიკური წარმატებების ფონზე, რომელსაც მსოფლიო სასურსათო წარმოებამ XX საუკუნის 50-80იან წლებში მიაღწია. კერძოდ, როგორც ცნობილია ამ პერიოდში მარცვლეულის წარმოება გაიზარდა 2,6-ჯერ, ხორცის 4-ჯერ, თევზჭერა და ზღვის პროდუქტების მოპოვება 5ჯერ. კაცობრიობის ისტორიას არ ახსოვს სხვა მსგავსი პერიოდი. აფრიკაშიც კი მარცვლეულის წარმოება თითქმის გაორმაგდა. მოსახლეობის 2-ჯერ ზრდის მიუხედავად 80-იანი წლების ბოლოს საშუალოდ ერთ სულზე სურსათით უზრუნველყოფამ შეადგინა რეკორდული დონე: მარცვლეულით 346 კგ, ხორცით 34 კგ, ზღვის პროდუქტებით 20 კგ.

უკანასკნელი 50 წლის მანძილზე კაცობრიობამ შთამბეჭდავ წარმატებებს მიაღწია არა მარტო სურსათის წარმოებისა და მოხმარების სფეროში. უპრეცედენტო მასშტაბებით გაიზარდა მოსახლეობის შემოსავალი, ამაღლდა ცხოვრების დონე, საშუალო სიცოცხლის ხანგრძლივობამ 8-10 წლით იმატა.

მიღწეული წარმატებების მიუხედავად, მეცნიერები ფაქტობრივი ანალიზის საფუძველზე აკეთებენ ფრიად პესიმისტურ პროგნოზებს.

იმ გარემოებებსა და ფაქტორებს შორის, რომლებსაც შეუძლიათ რადიკალური გავლენა იქონიოს და სერიოზული საფრთხე შეუქმნას დედამიწის მოსახლეობის სურსათით უზრუნველყოფის საკითხს, აღსანიშნავია: სახნავი მიწების ფართობების განუხრელი შემცირების ტენდენცია; სასოფლოსამეურნეო კულტურათა მოსავლიანობის ზრდის ტემპის შენელება; საძოვრული მეცხოველეობის მასშტაბების შემცირება საძოვრების პროდუქტიულობის დაცემის გამო; მსოფლიო ოკეანის რესურსების მდგომარეობის გაუარესება; მტკნარი წყლის დეფიციტი; ეკოლოგიური წონასწორობის მუდმივი რღვევა და სხვ.

თანამედროვე მსოფლიოს უმნიშვნელოვანეს პრობლემათა შორის მიწის რესურსების რაციონალური გამოყენება ერთერთი პირველთაგანია. ამჟამად დედამიწაზე სასოფლოსამეურნეო დანიშნულების მიწების საერთო ფონდი 1.5 მლრდ. ჰექტარს შეადგენს, რაც პრაქტიკულად მთელი ხმელეთის 10%ია. თუმცა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ექსპერტები მიიჩნევენ, რომ სათანადო სამუშაოების ჩატარების შემთხვევაში შესაძლებელია სასოფლოსამეურნეო დანიშნულების მიწების გაზრდა 6.5 მლრდ. ჰექტრამდე. ჩვენი აზრით ამ კატეგორიის მიწების აღნიშნული მოცულობით გაზრდა უახლოეს პერსპექტივაში არარეალურია, რადგან აქ ნაგულისხმებია უდაბნოების, ნახევრადუდაბნოების, ჭაობების და სხვა ამჟამად გამოუყენებელი მიწების მელიორირება და კულტივირება, რაც უზარმაზარ ფინანსურ დანახარჯებს მოითხოვს, ხოლო მაღალ—ხარის—ხოვანი მიწების ხარჯზე სასოფლოსამეურნეო სავარგულების გადიდების პრაქტიკულად ყველა რეზერვი ამოწურულია. პირიქით, მსოფლიოში თანდათან ძლიერდება მიწების ეროზია, რასაც ემატება ქალაქმშენებლობით და სხვა მიზეზებით გამოწვეული დანაკარგები, რომელთა საერთო რაოდენობა ყოველწლიურად 6.7 მლნ. ჰექტარს შეადგენს.

გარდა პირდაპირი დანაკარგებისა გასათვალისწინებელია ირიბი დანაკარგებიც, რაც მიწების ხარისხობრივი მაჩვენებლების გაუარესებაში გამოიხატება. კერძოდ, ექსპერტული გაანგარიშებით მცენარეებს ნიადაგიდან ყოველწლიურად ამოაქვთ დაახლოებით 100 მლრდ. ტონა მინერალური და ორგანული ნივთიერება, ხოლო ადამიანის მიერ მას ხელოვნურად უბრუნდება მხოლოდ ერთ მლრდ. ტონამდე. გარდა ამისა, ყოველ დამუშავებული ჰექტრიდან წყლის მიერ ყოველწლიურად ჩამოირეცხება საშუალოდ 1.34 ტონა ნიადაგი, რის გამოც ერთ დროს ნაყოფიერი მიწის ფართობი გამოუყენებელი მიწის კატეგორიაში გადადის.

ანთროპოგენური ეროზია განსაკუთრებით გაამწვავა ტყეების გაჩეხვამ. ამ მხრივ კაცობრიობა უდიდესი საფრთხის წინაშე აღმოჩნდა, როცა ბრაზილიის ცნობილი ჯუნგლების ათვისება დაიწყო (როგორც ცნობილია ტყის ეს მასივი აწარმოებს დედამიწის მთელი ჟანგბადის თითქმის ნახევარს). საბედნიეროდ, ერთი შეხედვით ნაყოფიერი მიწები, მწირი და დაბალნაყოფიერი აღმოჩნდა სასოფლოსამეურნეო წარმოების თვალსაზრისით, რადგან ინტენსიური დამუშავების პირობებში ეს მიწები ორი წლის განმავლობაში, ხოლო საძოვრებად გამოყენების შემთხვევაში საშუალოდ 15 წლის მანძილზე დეგრადირდებოდა.

ცალკეულ ქვეყნებში ასეთი არასწორი ლოკალური გადაწყვეტილებების მიღებისაგან თანამედროვე მსოფლიო არც მომავალშია დაზღვეული. ამიტომ აღნიშნული პრობლემის გლობალური მასშტაბისა და მიწის, როგორც სასურსათო უზრუნველყოფის განსაკუთრებული და ერთერთი ძირითადი შეუცვლელი ფაქტორის დიდი მნიშვნელობის გათვალისწინებით, საჭიროა გაერთიანებული ერების ორგანიზაციასთან (გაერო) ან სხვა საერთაშორისო სტრუქტურასთან შეიქმნას მიწების ერთიანი ბანკი, რომელმაც დროულად უნდა შეიმუშაოს სათანადო წინადადებები მსოფლიოში მიწების დაცვის, ახალი მიწების ათვისების, გაკულტურების და სასოფლოსამეურნეო ბრუნვაში მოქცევის თვალსაზრისით.

ხსენებული ბანკის უპირველესი ფუნქცია (რა თქმა უნდა სხვა ფუნქციებთან ერთად) მსოფლიო მასშტაბის მნიშვნელობის მიწებზე მუდმივი მონიტორინგი და მათი გამოყენების ეკონომიკურ-ეკოლოგიური მიზანშეწონილობის შეფასება უნდა იყოს.

უმნიშვნელოვანეს ფაქტორს, რომელიც საფრთხეს უქმნის სურსათის წარმოების ზრდას, სასოფლოსამეურნეო ბრუნვიდან სახნავი მიწების ამოღების შეუქცევადი პროცესი წარმოადგენს. ასეთი სიტუაცია განსაკუთრებით შემაშფოთებელია ცალკეულ ქვეყნებში.

მაინც რა ობიექტური მიზეზები იწვევენ სახნავი მიწების ფართობის შემცირებას?

პირველი. არასასოფლოსამეურნეო დანიშნულებით სახნავი მიწების გამოყენება. იგი ძირითადად გამოწვეულია სამრეწველო წარმოების გაფართოებით. მაგალითად, ისეთ ქვეყნებში როგორიცაა იაპონია, კორეა, ინდოეთი, ჩინეთი (ტაივანის ჩათვლით), ბოლო 10 წელიწადში სასოფლოსამეურნეო ბრუნვიდან ამ მიზეზით ამოღებული იქნა 15 მლნ. ჰა, რაც ნიშნავს, რომ პლანეტამ ყოველწლიურად დაკარგა დაახლოებით 150-200 მლნ. კაცის მარცვლეულით გამოკვების პრაქტიკული საშუალება. უფრო კონკრეტულად ეს ნიშნავს, რომ საშუალოდ დედამიწის ერთი მოსახლე კარგავს წელიწადში 910 კგ მარცვლეულის მიღების შანსს.

მეორე. სასოფლოსამეურნეო წარმოების ხელაღებულმა და უკონტროლო ინტენსიფიკაციამ XX საუკუნის 60-80იან წლებში გამოიწვია ნიადაგის დაჩქარებული ეროზია. როგორც შედეგი ამას მოჰყვა სამეურნეო ბრუნვიდან მნიშვნელოვანი ფართობების ამოღება აშშსა და დასავლეთ ევროპაში. აქედან გამომდინარე, საჭირო გახდა დაახლოებით 20 მლნ. ჰას დაკონსერვება, რაც მარცვლეულის ყოველწლიური წარმოების 5060 მლნ. ტონით შემცირების ტოლფასია.

მესამე. უმნიშვნელოვანესი მომენტია მოსახლეობის მხრიდან მიწის რესურსებზე მოთხოვნილების განუხრელი ზრდა, მაშინ, როდესაც XXI საუკუნის დამდეგს ახალი სახნავი მიწების ათვისების შესაძლებლობა (განსაკუთრებით ცალკეულ ქვეყნებში), პრაქტიკულად ამოწურულია. სხვა სიტყვებით, რომ ვთქვათ ამ ფართობების შემდგომი ზრდის პერსპექტივაზე დაყრდნობა არ შეიძლება. უკეთეს შემთხვევაში შესაძლებელია მათი შენარჩუნება არსებულ დონეზე, რაც სულ 655 მლნ. ჰას შეადგენს.

ცნობილია, რომ საძოვრებსა და მდელოებს უკავიათ დედამიწის ტერიტორიის დაახლოებით 20% და ისინი უმეტეს წილად გვალვიან რაიონებსა და მთის ქანობებზეა განლაგებული. მეცხოველეობაში ამ სავარგულებს განსაკუთრებული როლი განეკუთვნება, რადგან ის იძლევა მსოფლიოში წარმოებული ხორცისა და რძის ძირითად მოცულობას. იგი საკვებით უზრუნველყოფს დაახლოებით 3,2 მლრდ. მსხვილფეხა პირუტყვს, ცხვარსა და თხას (ანუ საშუალოდ 2 პირუტყვს ყოველ სამ მცხოვრებზე გაანგარიშებით).

საქონლისა და ცხვრის ხორცის წარმოება გასული საუკუნის 70იანი წლების დასაწყისიდან განუხრელად იზრდებოდა. შემდგომში, მოსახლეობის სწრაფი ტემპით ზრდასთან ერთად ერთ სულ მოსახლეზე ხორცის წარმოება 1972 წლის 12,7 კგდან 2001 წელს 11 კგმდე შემცირდა. აღნიშნული მდგომარეობის ძირითადი მიზეზი ისაა, რომ უმრავლეს ქვეყანაში საძოვრული მესაქონლეობის გაფართოების შესაძლებლობა პრაქტიკულად ამოიწურა, რაც ორი ძირითადი მიზეზითაა გამოწვეული: პირველი საძოვრების ფართობების გაფართოების შეუძლებლობა და მეორე ზედმეტად მკაცრი ექსპლუატაციის შედეგად მათი პროდუქტიულობის შემცირება და ზოგიერთ შემთხვევაში დეგრადაცია.

შექმნილი მდგომარეობა მიგვანიშნებს, რომ საქონლისა და ცხვრის ხორცის წარმოების ზრდა შესაძლებელია ძირითადად პირუტყვის სასუქ კომპლექსებსა და მოედნებზე, მაგრამ ეს სფერო არ შეიძლება პერსპექტივაში ძალიან საიმედოდ მივიჩნიოთ, ვინაიდან იგი მოითხოვს პირუტყვის საკვებად მარცვლეულის დიდ რაოდენობას, რომლის წარმოებაც გარკვეულწილად ასევე შეზღუდულია. ეს გვაძლევს საშუალებას დავასკვნიდეთ, რომ თვალსაწიერ პერიოდში საქონლისა და ცხვრის ხორცის წარმოების შესამჩნევი გაფართოების შესაძლებლობა დიდად შეზღუდულია (ხორცის ამ სახეობის ძირითადი მომხმარებლები ღარიბი და განვითარებადი ქვეყნების მოსახლეობაა, რომელთა ოდენობა ჩვენს პლანეტაზე საკმაოდ მაღალია).

მძიმე სიტუაციაა შექმნილი ოკეანეების, ზღვებისა და მდინარეების რესურსებთან მიმართებაში.

1990იანი წლების ბოლოს თანდათან ჩამოყალიბდა მოსაზრება, რომ ამ სფე—როში შეუზღუდავი რაოდენობის რესურსები აღარ არსებობს და იგი მუდმივად მცირდება. ასეთი შეფასება გარკვეულ ფაქტებზე დაყრდნობის და ღრმა ანალიზის შედეგია.

ზღვის პროდუქტების მოპოვება 1950 წლის 22 მლნ. ტონიდან 2000 წელს აყვანილ იქნა 100 მლნ. ტონამდე. ზოგიერთ ქვეყანაში ამ პროდუქტების ფაქტობრივმა მოხმარებამ გადააჭარბა სხვა სახის ხორცის მოხმარების დონეს და გახდა ცხოველური ცილის მიღების ძირითადი წყარო. 1993 წელს გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციამ (ფაო) დაადგინა, რომ მსოფლიოს 17 ძირითად თევზჭერის რეგიონში თევზის მოპოვება ხორციელდებოდა დასაშვებ ნორმა—ზე მეტი რაოდენობით, ხოლო 9 მათგანი უკვე სრული ამოწურვის ზღვარზე იმყოფებოდა. ყოველივე ეს წარმოადგენს 1980იან წლებში ზღვებსა და ოკეანეებში თევზჭერის სიმძლავრეთა არაკონტროლირებადი ზრდის, აგრეთვე, თევზჭერის მაღალეფექტიანი ტექნოლოგიების დანერგვის პირდაპირ შედეგს. ამის გამო, თანმიმდევრულად იქნა გამოცარიელებული ატლანტიკის, აფრიკის სანაპიროს, სამხრეთ და ჩრდილოეთ ზღვები, რომ აღარაფერი ვთქვათ აშშს, კანადის, იაპონიის, რუსეთის თევზსარეწ წყლებზე. ზოგიერთი სახეობის თევზის რესურსი უკვე თითქმის 8090%ის ფარგლებშია ათვისებული, რაც ამ სახეობის არა თუ აღწარმოების, არამედ საერთოდ შენარჩუნებასაც კი ეჭვქვეშ აყენებს.

დაშრობის პროცესმა, შხამქიმიკატებითა და ნარჩენებით მდინარეებისა და ტბების დაბინძურებამ გამოიწვია წყალსატევების კვდომა. საკმარისია აღინიშნოს, რომ მხოლოდ კანადაში 1990იანი წლების დასაწყისში გაჩნდა 14 ათასი მკვდარი ტბა. არალის ზღვა, რომელიც ჯერ კიდევ ახლო წარსულში წელიწადში იძლეოდა 40 ათას ტონა თევზს, ამჟამად, ეკოლოგიურად მკვდარია. ზოგიერთ წყალსატევში, მართალია, თევზი კი გადარჩა, მაგრამ ადამიანის კვებისათვის იგი პრაქტიკულად გამოუსადეგარია. შექმნილი სიტუაცია საფუძველს არ იძლევა იმედი ვიქონიოთ პერსპექტივაში თევზჭერის მოცულობის მნიშვნელოვან მატებაზე. არსებულ დონეზე (98 მლნ. ტონა, 1 სულ მოსახლეზე 20 კგ) შენარჩუნებაც კი საეჭვო ხდება.

როგორია დედამიწის ბიოპოტენციალი დღეისათვის? ეს საკითხი ბევრი მეცნიერმკვლევარის

გაგრძელება მე-12 გვერდზე

მე-11 გვერდიდან

საკვლევი თემაა. მისი დადგენის მთავარი მიზანია ე.წ. მსოფლიო სასურსათო ტევადობის განსაზღვრა პლანეტის ხალხთმოსახლეობის შესაძლო ზღვრის დასადგენად. დღემდე ამ მიმართულებით გაკეთებული მრავალი გაანგარიშება არსებობს. მათ შორის ბევრი საკმაოდ ფანტასტიკურიც. მაგალითად, 1918 წელს უნგრელმა პროფესორმა ნიკოლაიმ გამოიანგარიშა, რომ თუკი ათვისებული იქნებოდა პლანეტის ყველა რესურსი სრულად, მაშინ დედამიწა შეძლებდა სამი ჰეკსალიონი (3ხ1016) ადამიანის გამოკვებას. არსებობს უფრო ზომიერი და რეალობასთან მიახლოებული შეფასებებიც. მაგალითად, თუ სასოფლოსამეურნეო კულტურების მოსავლიანობა განვითარებად ქვეყნებში გაუტოლდება განვითარებული ქვეყნების მონაცემებს, მაშინ შესაძლებელი იქნება 10 მილიარდი ადამიანის გამოკვება. საბჭოთა კავშირში გამოითვალეს, რომ მცენარეების მიერ ფოტოსინთეზისათვის მზის ენერგიის გამოყენების ზრდა 10 პროცენტამდე და სასოფლოსამეურნეო სავარგულების გადიდება 10 მილიარდ ჰექტარამდე შექმნის შესაძლებლობებს 1 ტრილიონი ადამიანის გამოკვებისათვის. შვედი მეცნიერი ჰუგო ოსვალდი, წიგნში „დედამიწას შეუძლია ჩვენი გამოკვება", აღნიშნავდა, რომ მიწის დამუშავების ტრადიციული მეთოდების გამოყენებით შესაძლებელია დაახლოებით 12 მილიარდი ადამიანის გამოკვება. დანიელი მეცნიერი ა. იაკობსონი ასაბუთებდა, რომ თუკი მსოფლიოში მიღწეული იქნებოდა იმ დონის მოსავლიანობა, როგორიც იმჟამად დანიაში იყო, სურსათით უზრუნველყოფილი იქნებოდა 32 მილიარდი ადამიანი. ბელგიელი ბიოლოგები ჰ. დიუვინიუ და მ. ტანგა წიგნში „ბიოსფერო და მასში ადამიანის ადგილი" წერენ, რომ თუკი მარცვლეულის საერთო საშუალო მოსავლიანობა მიაღწევს 5 ტონას, მაშინ სასოფლოსამეურნეო სავარგულების გაუდიდებლად შესაძლებელი იქნება 140 მილიარდი ადამიანის გამოკვება. ამერიკელი კოლინ კლარკი კი ასაბუთებს, რომ მსოფლიოს მიწათმოქმედების პროდუქტიულობის საშუალო დონე თუ გაუთანაბრდება ახალი ზელანდიის ანალოგიურ მაჩვენებლებს, დედამიწა გამოკვებავს 147-157 მილიარდ ადამიანს.

ერთერთი ყველაზე უფრო რეალური და სრულყოფილი გამოკვლევა ამ განხრით ჩაატარა ამერიკელმა აგროკლიმატოლოგმა ტორნტუაიტმა. მან დედამიწის მთელი მიწის ფონდები გადაიანგარიშა ე.წ. „სტანდარტულ მიწაზე", რომელსაც საშუალო ნაყოფიერება ახასიათებს ზომიერი სითბოსა და ტენიანობის პირობებში. შედეგად ყველა ქვეყნისა თუ რეგიონისათვის მიღებულ იქნა ფართობის ოდენობა „სტანდარტულ აკრებში" გადაანგარიშებული. ტორნტუაიტის გათვლებში გათვალისწინებული იყო კულტურათა საშუალო მოსავლიანობა, რომელიც მოცემული რეგიონისთვისაა დამახასიათებელი (საძოვრები შეფასდა საკვების გამოსავლიანობის მიხედვით). ის გულისხმობდა, რომ სავარგულები დამუშავდება აგროწესების მიხედვით ყოველგვარი „მომავლის აგროტექნიკის" გარეშე. ამასთანავე, თბილ რეგიონებში მდებარე მიწებს შედარებით მაღალი კოეფიციენტი მიანიჭა, რადგან ამგვარ მიწებზე ორი და სამი მოსავლის მიღება შეიძლება.

ტორნტუაიტის პროგნოზი საკმაოდ ოპტიმისტურია. მისი გათვლებით დედამიწას შეუძლია 35 მლრდ. ადამიანის გამოკვება, რაც საკმაოდ რეალურად უნდა იქნეს მიჩნეული. საჭიროა იმის გათვალისწინებაც, რომ ყველა ზემოაღნიშნული პროგნოზი დაფუძნებულია მხოლოდ დედამიწის სასურსათო პოტენციალზე და საერთოდ არ ითვალისწინებს ისეთ სასიცოცხლოდ აუცილებელ პირობებს, როგორიცაა: მტკნარი წყალი, წიაღისეული და სხვა იმ მატერიალურ საშუალებებს, რომელთა კომპლექსი სურსათთან ერთად ქმნის ადამიანებისათვის სასიცოცხლო გარემოს.

რა მდგომარეობაა ამ მხრივ საქართველოში?

საქართველოს მთელი ტერიტორიის 53% მთებს უკავია, 33% მთისწინებს, ხოლო 14% დაბლობს. ქვეყნის ტერიტორიის მხოლოდ 16%ია გამოყენებული სახნავისა და მრავალწლიანი ნარგავებისათვის. მოსახლეობის ერთ სულზე აქ 0,66 ჰა სასოფლო სამეურნეო სავარგული და 0,17 ჰა სახნავი მოდის. სასოფლოსამეურნეო სავარგული 3025 ათასი ჰექტარია, მ.შ. სახნავი 802 ათასი ჰა, მრავალწლიანი ნარგავები 263 ათასი ჰა, სათიბსაძოვარი 1960 ათასი ჰა. სახნავი მიწების (802 ათასი ჰა, 2007 წლის 1 იანვრის მდგომარეობით) 39%, ანუ 310 ათასი ჰა განლაგებულია ზღვის დონიდან 500 მ სიმაღლეზე, სადაც შესაძლებელია სოფლის მეურნეობის გაძღოლის შედარებით მაღალი დონის მიღწევა და სასაქონლო წარმოების ფართოდ გაშლა. 230 ათასი ჰა სახნავი, ანუ მისი მთლიანი რაოდენობის 29%, განლაგებულია 500-დან 1000-მდე, სადაც წარმოების რენტაბელობა თანდათან კლებულობს, ხოლო დანარჩენი ფართობები 1000-1500 მზე და უფრო მეტ სიმაღლეზე მდებარეობს, სადაც სასოფლოსამეურნეო წარმოება ერთობ შეზღუდულია და რისკის ზონას წარმოადგენს. გარდა რთული ვერტიკალური ზონალობისა, რელიეფის დახრილობისა და სიჭრელისა, სახნავი მიწების დიდი ნაწილი, განსაკუთრებით მთის ზონაში, წარმოდგენილია მცირე კონტურებად დიდი ქანობის ფერდობებზე. იქ გაძნელებულია მექანიზმების გამოყენება. საქართველოს სახნავი მიწების 17% ანუ 135 ათასი ჰა განლაგებულია 10120ზე მეტი დახრილობის ფერდობებზე, რომელიც ძირითადად ხელით და ცოცხალი გამწევი ძალით მუშავდება. ყოველივე ეს ადასტურებს ჩვენს მოსაზრებას იმის შესახებ, რომ საქართველო მცირე და საშუალო სიდიდის, მაგრამ მრავალფეროვანი და მრავალდარგოვანი აგრარული წარმოების ქვეყანა იქნება.

საქართველოში 25 ათასი მდინარე, 860 ტბა, 688 მყინვარი, 1400ზე მეტი მინერალური წყაროა. ტყეებს უკავია მთელი ტერიტორიის თითქმის 39%. დასავლეთ საქართველოს დაბლობ რაიონებში აქტიურ ტემპერატურათა ჯამი 4000-4500, ხოლო აღმოსავლეთ საქართველოში 3000-4000 გრადუსია ატმოსფერული ნალექები დასავლეთ საქართველოში საშუალოდ 2000-2700 მმ. მოდის წელიწადში, ხოლო აღმოსავლეთ საქართველოში 400-500 მმ.

საქართველოს მინერალური რესურსების (წიაღისეულის) მარაგი დაახლოებით 90 მლრდ. აშშ დოლარად არის შეფასებული, ქვეყანას მარტო ამ მონაცემით გააჩნია 30 მლრდ. დოლარის ღირებულების მთლიანი შიდა პროდუქტის წარმოების ეკონომიური პოტენციალი. ბუნებრივია, ეკონომიკური პოტენციალი კიდევ უფრო მნიშვნელოვნად გაიზრდება, თუ ქვეყნის ნივთიერმატერიალურ სიმდიდრეს დაემატება მიწის სავარგულების, ტყეებისა და სხვა ბუნებრივი რესურსის საბაზრო ღირებულებაც (რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, დღეისათვის საქართველოს არ გააჩნია აღნიშნული რესურსების საერთო საბაზრო ღირებულების მონაცემები: მიწას, ტყეს, წყალსა და სხვა რესურსებს ხელისუფლება განკარგავს ან გასცემს იჯარაში ისე, რომ არ იცის არც მათი რეალური ნორმატიული ფასი და არც კადასტრული ღირებულება).

საქართველოს, ისევე, როგორც დედამიწის სხვა ტერიტორიულ ერთეულს, თავისი სასურსათო პოტენციალი გააჩნია. ექსპერტთა შეფასებით, იგი სრულიად საკმარისია 10-12 მილიონი ადამიანის გამოსაკვებად, მაგრამ აღნიშნულის მიღწევა ქვეყნის ბიოგეოკლიმატური პირობების რაციონალურ გამოყენებაზეა დამოკიდებული. მხედველობაში გვაქვს ის გარემოება, რომ ჩვენთან ბოლო 18 წლის განმავლობაში არ ტარდება ნიადაგის ეროზიის საწინააღმდეგო ღონისძიებები (ეროზია არარაციონალური მიწათმოქმედების თანმდევი სენია), რომელსაც ექვემდებარება სასოფლოსამეურნეო სავარგულების 35%, ანუ 1,1 მლნ. ჰაზე მეტი. მათ შორის სახნავი მიწების თითქმის 52%, ანუ 412,4 ათასი ჰა, საძოვრების 34%, ანუ 598,4 ათასი ჰა. ამასთან, მწყობრიდან გამოვიდა მინდორსაცავი ზოლების ნარგაობა, სარწყავი სისტემები. ქვეყანაში ადრე არსებული 470 ათასი ჰა სარწყავი ფართობიდან, ამჟამად შესაძლებელია მხოლოდ 150 ათასი ჰას მორწყვა. მნიშვნელოვნად შემცირდა მრავალწლოვანი ნარგაობა (ხეხილის ბაღები, ჩაის პლანტაციები, ვენახები და სხვ.) თუ 1986 წელს მათი საერთო ფართობი 357 ათას ჰას შეადგენდა, 2007 წელს ის 263 ათას ჰამდე შემცირდა. ცვლილება განიცადა ნათესი ფართობების სტრუქტურამაც. თანდათანობით გაიზარდა მარცვლეული და ზეთოვანი (მზესუმზირა) კულტურების ხვედრითი წილი, მაგრამ არ ხერხ—დება მათი სტაბილური მოსავლის მიღება სარწყავი სისტემების უმოქმედობისა და სხვა მიზეზების (თესლბრუნვების უგულვებელყოფა, უხარისხო თესლი და ა.შ.) გამო.

1960 წლიდან 2007 წლის 1 იანვრამდე სახნავი მიწების ფართობი 150 ათასი ჰაით შემცირდა და 802 ათასი ჰა შეადგინა. სახნავი მიწების მნიშვნელო—ვან შემცირებას ადგილი ჰქონდა 196065 წლებში (100 ათასი ჰა), რაც სრულიად გაუმართლებელ ტენდენციად უნდა ჩაითვალოს.

სასურსათო პრობლემის გადაწყვეტაში დიდი მნიშვნელობა აქვს დამუშავებაში მყოფი მიწების (სახნავ და მრავალწლიან ნარგავები ერთად) შენარჩუნებას და მათი ფართობის შემდგომ გადიდებას. ამ მხრივაც ქვეყანაში არასასურველი ტენდენცია შეინიშნება. კერძოდ, თუ 1960 წელს ამ კატეგორიის მიწის ფართობი 1265,0 ათას ჰას შეადგენდა, 2007 წლისთვის მან 1065,0 ათასი ჰა შეადგინა, ანუ შემცირდა 200 ათასი ჰაით. აღნიშნულის გათვალისწინებით გასამკაცრებელია ღონისძიებები არასასოფლოსამეურნეო დანიშნულებით მიწების ამოღებისადმი. 1953-2007 წწ. ამ დანიშნულებით გამოიყო 400 ათას ჰაზე მეტი მიწის ფართობი (ე.ი. სასოფლოსამეურნეო დანიშნულების მიწები გადავიდა არასასოფლოსამეურნეო დანიშნულების მიწების კატეგორიაში), რაც სრულიად დაუშვებელია მიწით ისეთი მცირედ უზრუნველყოფილი ქვეყნისათვის, როგორიც საქართველოა.

როგორც ცნობილია, საძოვრული მეცხოველეობის არსებობა, მისი განვითარების მაჩვენებლები, პირუტყვის რაოდენობა, სტრუქტურა და პროდუქტიულობა ძირითადად ბუნებრივი საკვები სავარგულების გამოყენებაზეა დამოკიდებული. საქართველოში არსებული სათიბსაძოვრების მთლიანი ფართობის (1,960 მლნ. ჰა) 2/3 განლაგებულია ზღვის დონიდან ისეთი სიმაღლისა და დაქანების ფერდობზე, რომ ძნელად გამოსაყენებელია პირუტყვის ნებისმიერი სახეობისათვის, მ.შ. ცხვრისთვისაც კი. საძოვრების საკმაოდ დიდი ნაწილი არასწორი ექსპლუატაციისა და უყურადღებობის გამო დეგრადირებულია და მათი აღდგენა სასწრაფო ღონისძიებების გატარებას მოითხოვს.

მინიმალურადაც არაა გამოყენებული შიდა წყალსაცავებში (მ.შ. სატბორე) მეთევზეობის განვითარების შესაძლებლობანი. რამდენიმე წლის წინათ საქართველოში მათ 50 ათასი ჰა ფართობი ეკავა. ეს ის რაოდენობაა, რომელიც დამაკმაყოფილებელი ექსპლუატაციის პირობებში თავისუფლად უზრუნველყოფს 7075 ათასი ტონა ახალი (ნედლი) თევზის რეწვას წლის განმავლობაში.

თანამედროვე მსოფლიოს ერთერთ უმნიშვნელოვანეს პრობლემათა რიცხვში უდავოდ შესატანია წყლის რესურსების რაციონალური გამოყენება, მისი ოპტიმალური მართვა. ერთი მხრივ მსოფლიოში არსებობს დაჭაობებული ტერიტორიები, რომლებიც საჭიროებენ ზედმეტი წყლის მოცილებას, ხოლო მეორე მხრივ დედამიწის უდიდესი ნაწილი წყლის მწვავე დეფიციტს განიცდის. ამ უკანასკნელის გადასაჭრელად მრავალი ტრადიციული და არატრადიციული (ფანტასტიკურიც კი) პროექტები გამოიყენება (მდინარეების კალაპოტების შეცვლა, აისბერგების ტრანსპორტირება, ზღვის წყლის გამტკნარება და ა.შ.), მაგრამ საეჭვოა, რომ უახლოეს პერსპექტივაში საირიგაციო წყლის პრობლემამ თავისი გადაწყვეტა ჰპოვოს.

მტკნარი წყლის რესურსების დეფიციტის პრობლემა მუდმივად იდგა მსოფლიოს მცხოვრებთა წინაშე, ხოლო მე20 საუკუნის ბოლოს აღნიშნული საკითხი იმდენად გამწვავდა, რომ საეჭვო გახდა წყლით, როგორც სასურსათო პროდუქტით, კაცობრიობის სრული უზრუნველყოფის შესაძლებლობაც კი (უკანასკნელი მონაცემებით, თანამედროვე მსოფლიოში სასმელი წყლის დეფიციტს განიცდის 2,2 მლრდ. ადამიანი). საქართველო ამ მხრივ უმდიდრესი ქვეყანაა. მტკნარი წყლის რესურსების რაციონალურად გამოყენებისა და სწორი მენეჯმენტის შემუშავების შემთხვევაში იგი საექსპორტო შემოსავლების მნიშვნელოვან წყაროდ უნდა იქცეს (განსაკუთრებით ახლო აღმოსავლეთისა და არაბული სამყაროს ქვეყნებში).

საქართველოს გეოლოგიის დეპარტამენტის გათვლებით ქვეყნის სასარგებლო წიაღისეულის მხოლოდ შესწავლილი მარაგები აღემატება 51 მლრდ აშშ დოლარს. მათ შორის — მტკნარი და მინერალურ-სამკურნალო წყლები 10 მლრდ აშშ დოლარს შეადგენს. ადვილი წარმოსადგენია, თუ რა სიკეთე შეუძლია მარტო ამ რეზერვის ამოქმედებას, თუნდაც არასრული მოცულობით.

ბოლო ფაქტორი, რომელიც სასურსათო უშიშროების პრობლემას უკავშირდება, ეს ეკოლოგიური მდგომარეობის მკვეთრი გაუარესებაა. იგი უარყოფითად მოქმედებს სასურსათო ვითარებაზე, რადგან ეკოლოგიურად დარღვეული გარემო პირობები ართულებს სასოფლოსამეურნეო წარმოებას და იწვევს სურსათის ხარისხის გაუარესებას. ამდენად, სასურსათო პრობლემის გადაჭრასთან დაკავშირებით გასათვალისწინებელია მსოფლიო მეურნეობაში სურსათის წარმოების ზრდის შემზღუდავი ეკოლოგიური პროცესი, რის გამოც მიუღებელი ხდება განვითარების ის მოდელი, რომელიც არაგანახლებადი რესურსების ინტენსიურ გამოყენებას ეფუძნება. მოსახლეობის სწრაფი ზრდისა და არაგანახლებადი რესურსების თანდათან ამოწურვის მიუხედავად, დამტკიცებულია, რომ მეცნიერულ-ტექნოლოგიურ პროგრესს შეუძლია გადაწყვიტოს მზარდი მოსახლეობის სურსათით უზრუნველყოფა, გარემოს დაცვა და საერთოდ, კაცობრიობის მატერიალური და სოციალური პირობების კიდევ უფრო გაუმჯობესება.

აქვე აღსანიშნავია იმ შეფარდებითი უპირატესობის შესახებ, რომელიც საქართველოს მთისა და მთისწინეთის ყველა რაიონს გააჩნია ეკოლოგიურად სუფთა აგროპროდუქციის წარმოებისა და მისი ექსპორტზე გატანის თვალსაზრისით. მისი წარმოება ეკონომიკურად რენტაბელურია და უფრო დაგვაახლოვებს ევროკავშირის მოთხოვნებთან საკვები პროდუქტების უვნებლობასთან დაკავშირებით. ამასთან ხელს შეუწყობს საქართველოს მთიანეთის აღორძინებას, მთაში მცხოვრები მოსახლეობის შენარჩუნებასა და ზრდას, მათი მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესე-

ბას.

მაგრამ, ყოველივე ეს მოითხოვს რადიკალურ ცვლილებებს წარმოების ორგანიზაციასა და მართვაში, ტექნოლოგიური და ეკონომიკური ტრანსფორმაციის გატარებას, რაც უდავოდ განაპირობებს გარდაქმნებს სოციალურპოლიტიკურ სფეროში (პიროვნების როლის ამაღლება და საზოგადოების ჰუმანიზაცია, სოციალური განვითარების წინა პლანზე წამოწევა სახელმწიფოებრივსამართლებრივი განვითარების სფეროში არსებითი ხასიათის ცვლილებებს იწვევს მთელ საზოგადოებაში).

თუ რაოდენ გამწვავებულია რესურსების ეფექტიანი გამოყენების პრობლემა მსოფლიოში, ჩანს შემდეგი მონაცემებიდან. გაეროს პროგნოზით, დედამიწის მოსახლეობა 2050 წელს მიაღწევს დაახლოებით 10 მლრდ. კაცს, ანუ თითქმის ორჯერ გაიზრდება. ეს იმას ნიშნავს, რომ მოხმარების ეკოლოგიური ინტენსიურობა, ანუ ტექნოლოგიური ზემოქმედება გარემოზე ერთ სულ მოსახლეზე მოხმარების ნულოვან პირობებშიც კი 4ჯერ უნდა შემცირდეს, მაგრამ თუ ასეთი მოხმარება დღევანდელი ტემპით, ანუ წელიწადში 23%ით გაიზრდება, 2050 წელს იგი 4ჯერ უფრო მეტი იქნება. ამ შემთხვევაში ქვეყნის მდგრადი განვითარების უზრუნველსაყოფად მოხმარების ეკოლოგიური ინტენსივობა 16ჯერ უნდა შემცირდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში ეკოლოგიურ კატასტროფას თავიდან ვერ ავიცილებთ.

არც შედარებით ახლო პერიოდის პროგნოზებია დამამშვიდებელი. კერძოდ, გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (ფაო) მონაცემებით 2010-2015 წლებში მსოფლიოს მოსახლეობის მოთხოვნილება სურსათზე 50%ით გაიზრდება. მოსალოდნელი უმწვავესი სასურსათო კრიზისი, უპირველეს ყოვლისა, სურსათის იმპორტზე დამოკიდებულ ქვეყნებს დაატყდება თავს. კვების პროდუქტებზე ფასების ზრდა 2007 წელს დაიწყო და დღემდე გრძელდება. გაორმაგდა ხორბლისა და სიმინდის ფასი და მან შესაბამისად 410 და 150 აშშ დოლარს მიაღწია.

აქედან ჩანს, რაოდენ საშური საქმეა მთელი დედამიწის მასშტაბით მდგრად განვითარებაზე გადასვლა. რესურსდამზოგი, უნარჩენო ტექნოლოგიების ფართოდ დანერგვა. ამას ემატება კლიმატის შეცვლის, არაგანახლებადი ბუნებრივი რესურსების ამოწურვის, სიღარიბის დაძლევის გლობალური პრობლემების გადაწყვეტის აუცილებლობა. ამიტომ საჭიროა ახლებურად გავიცნობიეროთ ქვეყნის მდგრადი და უსაფრთხო განვითარება, როგორც ობიექტური აუცილებლობა და შევიმუშავოთ შესაბამისი ღონისძიებები მისი ნორმალურად წარმართვისათვის.

დასკვნის სახით შეიძლება აღინიშნოს შემდეგი:

1) დამუშავებაში მყოფი მიწების შემცირების, სურსათის წარმოების გადიდების ინტენსიური ფაქტორების შეზღუდვისა და სხვა ობიექტური მიზეზების გამო მსოფლიო ბაზარზე სურსათის მიწოდება მცირდება. ასეთ ვითარებაში ეკონომიკური ზრდა და მოსახლეობის ფულადი შემოსავლების უმნიშვნელო გადიდებაც კი სურსათზე მოთხოვნის გადიდების და სასურსათო პრობლემის გამწვავების მნიშვნელოვანი ფაქტორი ხდება. ეკონომიკურ ზრდასა და სასურსათო პრობლემას შორის ასეთი კორელაციური კავშირის გამო ცალკეულმა ქვეყნებმა უნდა გადაწყვიტოს, რა ზომით დაუშვას უმუშევრობა, ინფლაცია და ეკონომიკური ზრდა;

2) ადამიანთა სასურსათო უზრუნველყოფა, პირველ რიგში, ოჯახის დონეზეა გადასაწყვეტი, ე.ი. იძლევა თუ არა ოჯახის შემოსავლები სურსათის ფიზიოლოგიური ნორმებით უზრუნველყოფის საშუალებას. იგი სამ კომპონენტს მოიცავს და მხოლოდ სამივე კომპონენტის ერთობლიობას (სურსათის ხელმისაწვდომობა, ვარგისიანობა და მისი ეფექტური გამოყენება) შეუძლია ყველა ოჯახის (ადამიანის) უზრუნველყოფა სურსათით;

3) სასურსათო უზრუნველყოფა ანუ სასურსათო პრობლემის მოხსნა მსოფლიოს ყველა ქვეყნისათვის არის უმნიშვნელოვანესი მასშტაბის პოლიტიკურ-ეკონომიკურ და ტექნოლოგიური ამოცანა, რომლის გადაწყვეტა მოითხოვს ისეთი ახალი ტექნოლოგიების დანერგვას, რომლებიც საშუალებას იძლევა არა მარტო მოსავლის (პროდუქტიულობის) გადიდებისათვის, არამედ ეკოლოგიურად მდგრადი პროდუქტიული სისტემების ფორმირებისათვის. ეს კი თავის მხრივ მოითხოვს საერთაშორისო და საშინაო პოლიტიკის ჰარმონიზაციის, საკუთარი ქვეყნის ინსტიტუციური მოწყობის, დემოკრატიულ ფასეულობათა დამკვიდრების და სხვა პრობლემების მოგვარებას;

4) სასურსათო პრობლემის გადაწყვეტა ეროვნულ (ქვეყნის) დონეზე მოითხოვს სოფლის, როგორც ტერიტორიული ერთეულის განვითარებას, სოფლად სიღარიბის დაძლევას, ფერმერთა შრომის ავტორიტეტის ამაღლებას და მათ მატერიალურ სტიმულირებას, სასოფლოსამეურნეო წარმოებასა და კვლევებში (განსაკუთრებით სელექციაში) ინვესტიციების გადიდებას. ეს ყოველივე შესაძლებელი იქნება მაშინ, როცა სამამულო აგროპროდუქციაზე გაჩნდება შესაბამისი მოთხოვნა. ფერმერთა კეთილდღეობა და სოფლის მაცხოვრებელთა სიღარიბის დონის შემცირება, გააუმჯობესებს ბუნებრივი რესურსების მართვას და სასურსათო უზრუნველყოფის მდგომარეობას.

დიდი მნიშვნელობა ენიჭება სურსათით თავისუფალი ვაჭრობის განვითარებაში არსებული ბარიერების მოხსნას. კერძოდ, 1994 წელს „მარაკეშის შეთანხმების" უპირობო დაცვას (განვითარებულ ქვეყნებში აგროსექტორისადმი მხარდაჭერის შემცირება, საიმპორტო ბარიერების მოხსნა და ექსპორტის სუბსიდირების შემცირება), რაც პრაქტიკულად ათანაბრებს ყველა განვითარებადი ქვეყნის შანსს გახდნენ მსოფლიო ბაზრის ტოლფასოვანი სუბიექტები და გამოიყენონ ის სასურსათო პრობლემის მოხსნისათვის.

პაატა კოლუაშვილი

ჯ. ბუჩო�e. სუკ-ი

საბჭოთა საიდუმლო აგენტების მუშაობა

გაგრძელება, დასაწყისი იხ. წინა ნომერში

იგი არ სთხოვდა თავის გამომძიებლებს არც შეწყნარებას, არც რაიმე სამსახურს, პირიქით, ისწრაფოდა გამოესყიდა დანაშაული აღიარებით და სასჯელის მოხდით. პირველ სექტემბერს ამერიკელებმა იგი გადასცეს დასავლეთ გერმანელ ხელისუფალთ, რომლებმაც განაცხადეს, რომ სტაშინსკი დაპატიმრებულია „მოღალატური საქმიანობისთვის", მკვლელობის შესახებ ყოველგვარი მოხსენიების გარეშე.

მხოლოდ 1962 წლის ოქტომბერში, როდესაც კარლსრუეში დაიწყო სტაშინსკიზე ღია სასამართლო პროცესი, მთელმა მსოფლიომ დაინახა, რაც გააკეთეს თვითონ ბოგდანმა, მე-13 განყოფილებამ, სუკ-მა და საბჭოთა კავშირის მმართველებმა. თავიდან როგორც ამერიკელი, ისე გერმანელი ხელისუფალნი სტაშინსკის სკეპტიკურად მეკიდნენ, პროცესის უდიდესი ნაწილის განმავლობაში ოფიციალურმა და პედანტურმა გერმანელმა მოსამართლეებმა იგი ისეთ მდგომარეობაში ჩააყენეს, როცა მას, ბრალდებულს, უნდა დაემტკიცებინა თავისი დანაშაული. მაგრამ გერმანულმა პოლიციამ გამოიძია მისი ისტორია, გამოჩხრიკა უთვალავი დოკუმენტი და რამდენიმე მოწმეც კი, რომლებიც ადასტურებდნენ მის ჩვენებებს. ბენდერას საცხოვრებელი სახლის შესასვლელი კარის საკეტში იპოვეს გატეხილი გასაღების ნარჩენი. სტაშინსკის ნათლად ახსოვდა ქალი, რომელიც იმ დროს შენიშნა, როცა მკვლელობის ადგილს სტოვებდა. მას ასევე ახსოვდა, რომ როცა ჰკლავდა, მახლობლად იდგა პოლიციის გაჩერებული მანქანა. პოლიციამ გამოძებნა ქალი და დარწმუნდა, რომ მანქანა მართლაც იყო აღნიშნულ ადგილას. ოტელებისა და მოგზაურობათა ბიუროების სარეგისტრაციო წიგნებით დაადასტურეს, რომ სტაშინსკი იმყოფებოდა დასავლეთ გერმანიაში სწორედ მაშინ, როგორც მან ეს განაცხადა, და სწორედ იმ სახელებით, რომლებიც დაასახელა. მეცნიერებმა დაადასტურეს, რომ მოსაკლავი იარაღები, რომლებიც სტაშინსკიმ აღწერა, სწორედ ასე უნდა მოქმედებდეს, როგორც მან აღწერა.

ფსიქიატრებმა სცნეს, რომ სტაშინსკი არის პირდაპირი და გონებრივად ჯანმრთელი. მოსამართლემ, რომელიც პროცესს თავმჯდომარეობდა, მის შესახებ თქვა: „...არის ჭკვიანი და ნიჭიერი კაცი, კეთილი და მშვიდობისმოყვარე. რომ არა საბჭოთა სისტემა, რომელიც ზუსტად ისევე, როგორც ნაცისტური, პოლიტიკურ მკვლელობებს განიხილავს, როგორც სახელმწიფოებრივად აუცილებელს, ის დღეს იქნებოდა, ალბათ, მასწავლებელი სადმე უკრაინაში". მაგრამ ყველაზე ღრმა შთაბეჭდილება მოსამართლეებზე, პრესასა და საზოგადოებაზე მოახდინა თვითონ სტაშინსკიმ თავისი თანმიმდევრული, ჭკვიანური და თავდაჭერილი გამოთქმებით. ამ შვიდდღიანი პროცესის ბოლოს მან უთხრა სასამართლოს და მსოფლიოს:

„მე მინდოდა შემემსუბუქებინა ჩემი სინდისი და მომეყოლა მთელი მსოფლიოსათვის იმ გზის შესახებ, რომლითაც ხორციელდება სინამდვილეში „მშვიდობიანი თანაარსებობა". მე არ მინდოდა, მეტად ვყოფილიყავი გამოყენებული მკვლელობების შემსრულებლად. მე მინდოდა, გამეგრთხლებინა ყველა, ვისაც ელოდება რებეტის და ბენდერას მსგავსად ლიკვიდაციის საშიშროება, მიიღოს სიფრთხილის ზომები. იმედი მაქვს, რომ ჩემი გაქცევა დასავლეთში შეამსუბუქებს ჩემს დანაშაულს იმიტომ, რომ მე ბევრი უბედურება დავიტეხე თავს ჩემი გაქცევით. ჩემი მშობლების და ნათესავების ბედი გადაწყვეტილი იქნება, ან იგი შეიძლება უკვე გადაწყვეტილია. როგორც ეს მე ადრე აღვწერე — ეს სამუდამოდ დარჩება ჩემთვის მორალურ ტვირთად... ჩემი ცოლი და მე ვიცხოვრებთ მუდმივი შიშით, რომ მოვა დღე, როცა აღმოსავლეთი შურს იძიებს ჩვენზე. რაც შეეხება სრულიად სხვა სამყარო — დასავლეთს, აქ, ჩვენ მოკლებული ვართ ყოველგვარ საშუალებას არსებობისათვის. მიუხედავად ყველაფრისა, მე გადაწყვეტილება მივიღე დასავლეთის სასარგებლოდ, რადგან მჯერა, რომ ეს ნაბიჯი იყო აბსოლუტურად აუცილებელი მთელი მსოფლიოსათვის".

სტაშინსკის დეზერტირობამ, მისმა პროცესმა და საჯარო ჩვენებებმა ძლიერი ტრავმული ეფექტი მოახდინეს როგორც სუკ-ის შიგნით, ისე პარტიის სათავეში მდგომებზე. სულ ცოტა 17 თანამშრომელი მოხსნეს ან ჩამოაქვეითეს თანამდებობიდან, სუკ-ის ყოფილი მაიორის ანატოლი გოლიცინის მონათხრობის თანახმად. მიუხედავად ყველა საინფორმაციო საშუალების ფლობისა და საბჭოთა პროპაგანდისტების გამჭრიახობისა, ვერანაირად ვერ ხერხდებოდა გამართლება და ახსნა კრემლის მიერ ჩაფიქრებული მოქალაქეთა ციინიკური მკვლელობებისა მშვიდობიან დროს. ამის გარდა, საბჭოთა ხელმძღვანელობას ესმოდა, რომ სტაშინსკის საქმის განმეორებას შეეძლო სერიოზულად შეეშალა ხელი მათი მცდელობისთვის საერთაშორისო ურთიერთობების გაუმჯობესებაში კუბის ცნობილი კრიზისის შემდეგ. კრემლი ვერ აიძულებდა თავის თავს სრულად აეღო ხელი მკვლელობებისაგან. როგორც საბჭოთა საგარეო პოლიტიკის იარაღისაგან. მე-13 განყოფილებას დაუტოვეს მოკვლის და ნადირობის უფლება მხოლოდ შერჩეულ დეზერტირებზე როგორც საბჭოთა კავშირიდან, ისე აღმოსავლეთ ევროპის სატელიტი ქვეყნებიდან. მაგრამ 1962 წლის ბოლოს თუ 1963 წლის დასაწყისში ხელმძღვანელობამ მკვეთრად შეამცირა თავდასხმების პრაქტიკა და სუკ-ს გამოუცხადა, რომ ამიერიდან მშვიდობიან დროს ადამიანთა ლიკვიდაციას მოახდენდა მხოლოდ განსაკუთრებული პირობების არსებობის შემთხვევაში. იური ნოსენკო იმ ინფორმაციის საფუძველზე, რომლის გამჟღავნების უფლება მას არა აქვს, თვლის, რომ სუკ-ი მივიდა ერთ დასკვნამდე — არ ანდოს მკვლელობის განხორციელება მომავალში საბჭოთა მოქალაქეებს, როგორიც ხოხლოვი და სტაშინსკია, არამედ გადასცეს ეს დავალება დაქირავებულ უცხოელ დამნაშავეებს ან სხვა ეროვნების არალეგალურ აგენტებს, რომელთა დაკავშირება მკვლელობებში საბჭოთა კავშირთან არც ისე ადვილი იქნება.

60-იანი წლების შუაგულში დასავლეთის სადაზვერვო სამსახურებმა შენიშნეს ზოგიერთი ცვლილება მე-13 განყოფილების ოპერაციებში, რომელშიაც ყურადღება გადატანილ იქნა თავდასხმებიდან საბოტაჟზე. მთ, აგრეთვე, განჭვრიტეს საბოტაჟის შესახებ ახალი საბჭოური გაგების კონტურები. რასაკვირველია, სუკ-ი ყოველთვის მიისწრაფოდა შეექმნა მთვლემარე აგენტურული ქსელები, რომელთა ამოქმედება შეეძლოთ ომის დროს მეხუთე კოლონის სახით მნიშვნელოვანი თავდაცვითი დანადგარებისა და საომარი ობიექტების წინააღმდეგ.

როცა მე-13 განყოფილებას ეწოდა „ბ" განყოფილება 1968-1969 წლებში სუკ-ის რეორგანიზაციის შედეგად, მისი ძირითადი პერსონალი შედგებოდა 50-60 თანამშრომლისგან, რომლებსაც შესწავლილი ჰქონდათ ძალადობის სხვადასხვა ფორმა და გაცნობილნი იყვნენ მსოფლიოს გარკვეულ გეოგრაფიულ რაიონებს. ამასთან ერთად, „ბ" განყოფილების თანამშრომლები იმყოფებოდნენ ყველა მსხვილ საბჭოთა საელჩოში საზღვარგარეთ. მათ მოვალეობაში შედიოდა ობიექტის შეფასება საბოტაჟის მოსამზადებლად, გადაბირება და ხელმძღვანელობის გაწევა ადგილობრივი აგენტებისათვის, რომლებიც შეიძლებოდა გამოეყენებინათ როგორც დივერსანტები ან მკვლელები. მათ ევალებოდათ, აგრეთვე, „ბ" განყოფილების არალეგალური აგენტების მხარდაჭერა. სტაშინსკის დეზერტირობის შემდეგ შემოღებულ მკაცრ საიდუმლო შეზღუდვებთან დაკავშირებით, „ბ" განყოფილების თანამშრომლები მოსკოვში და საზღვარგარეთ ცდილობდნენ დაემალათ თავიანთი სუკ-ელი კოლეგებისგანაც კი მათი მუშაობა ამ განყოფილებაში. საიდუმლოების დაცვის და სიფრთხილის წყალობით, მე-13 განყოფილება ახერხებდა საიდუმლოდ შეენახა თავისი შემდგომი არსებობა რეკონსტრუირებული ფორმით. მაგრამ 1971 წლის ზაფხულიდან დაწყებული, მთელმა სერიამ ერთი მეორეზე მიყოლებული ამბებისა უჩვენა, რომ ის კიდევ არსებობს და მუშაობს ძალიან დიდი გულმოდგინებით.

გაგრძელება მე-16 გვერდზე

საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მონაწილე ორგანიზაციებისა და პიროვნებების ჯგუფისაგან

I. საქართველოს დღევანდელი აურჩეველი პრეზიდენტი მ. სააკაშვილი და მისი პოლიტიკური გუნდი ატარებენ საქართველოს დღევანდელი და სამომავლო სასიცოცხლო ინტერესების წინააღმდეგ შეგნებულად მიმართულ დესტრუქციულ კურსს, სახელდობრ

— ქართველი ერის ეთნიკური და სახელმწიფოებრივი ტერიტორიის, — აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის — „მცოცავი“ გასხვისების კურსს

— საქართველოს ხელოვნური ეკონომიკური ნგრევის, მოსახლეობის ხელოვნური გაღატაკებისა და მისი საემიგრაციოდ სტიმულირების კურსს

— საქართველოში იმიგრაციის ფაქტობრივი შეუზღუდველობის კურსს

— საქართველოს ეკონომიკურად სტრატეგიული სიმდიდრის (მინის ჩათვლით) გასხვისების (ანუ ამ სიმდიდრის თავისუფალ ბაზარზე გატანის) კურსს ისეთ პირობებში, როცა ამ ბაზარზე არ არსებობენ კონკურენტუნარიანი ქართველები და საქართველოს მოქალაქეები.

— საქართველოში მეცნიერებისა და განათლების ძირფესვიანი ნგრევისა და მისი გადარჩენის მცდელობათა ჩახშობის კურსს

— საქართველოს სამოციქულო ეკლესიის შევიწროებისა და საქართველოში სექტანტური პროზელიტიზმის ხელშეწყობის (მფარველობის) კურსს

— საქართველოში დიქტატურის გამყარების კურსს, რომელიც განუკითხავად არღვევს კანონს, კონსტიტუციის ჩათვლით, ბარბაროსულად ლახავს მოქალაქეობრივსა და ადამიანურ უფლებებს (საკუთრების უფლების ჩათვლით) და თრგუნავს ფართო მასის ეკონომიკურსა და ყველა სხვა შემოქმედებითს აქტივობას.

გარდა ამისა, მკაფიოდ ჩანს ხელისუფლების შეგნებული ტენდენცია საქართველოს დღევანდელი და ისტორიულმასშტაბიანი ინტერესების წინააღმდეგ მიმართული ნებისმიერი სხვა ერთჯერადი ნაბიჯის ხელშეწყობისაკენ. ასეთია დღეს

— საქართველოს ფედერალიზაციის გეგმა, ზოგჯერ — „რეგიონალიზმის“ არაფრის მთქმელი სახელით შენიღბულისა, და

— საქართველოში რამდენიმე ასეული ათასი მუსულმანის განუკითხავი (ანუ საქართველოს სახელმწიფოებრიობასთან მათი დამოკიდებულების პრინციპულად არგამთვალისწინებელი) შემოსახლების გეგმა.

II. საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობისათვის და ქართველი ერის ფართო მასისათვის უკვე 150 წელზე მეტია, რაც ცნობილია საქართველოს ეროვნული და სახელმწიფოებრივი გადარჩენისა და ამ მიზნით საქართველოს როგორც საშინაო, ისე საგარეო პოლიტიკის მართვის ორივე ძირითადი პრინციპი, რომელთა წინააღმდეგაც მიმართულია საქართველოს დღევანდელ მმართველთა ზემოხსენებული პოლიტიკა. ეს პრინციპებია:

1. საქართველო, როგორც დედამიწის ერთ-ერთი ნაწილი, არის ქართველი ერის, როგორც კაცობრიობის ერთ-ერთი ნაწილის, ქვეყანა. საქართველო არის ქართველი ერის სამშობლო ანუ დედამიწის ის ერთადერთი ნაწილი, რომელზედაც ქართველ ერს შეუძლია გარანტირებულად თავის რჩენა და თავისი თავის, როგორც ერის, ყოველმხრივი რეალიზაცია. ქართველი ერი საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ავტოხთონურია. იგი ცხოვრობს მასზე უწყვეტად მთელი ცნობილი ისტორიის მანძილზე. მისი უფლებაა და მყარი ნებაა, ეს ქვეყანა, როგორც მომავალ თაობათა სარჩენი ბაზა და თავისი ყოველმხრივი თვითრეალიზაციის ასპარეზი, შეინარჩუნოს სამარადისოდ, ამიტომ საქართველოს სახელმწიფოს მიზანთა რიცხვში შედის ობიექტური პირობების შექმნა საქართველოს მარადიულყოფისათვის, როგორც

— 1991 წლის საზღვრებში მყოფი ქვეყნისა და სახელმწიფოსი,

— თავისუფალი და დამოუკიდებელი ქვეყნისა და სახელმწიფოსი,

— დღევანდელი სახელის „საქართველო“ მატარებელი ქვეყნისა და სახელმწიფოსი და

— ქართული ქვეყნისა და სახელმწიფოსი, ანუ ისეთისა, რომელშიც ქართული ენა საყოველთაოდ ცნობილი (გასაგები) ენაა და რომელიც თავის მოქალაქეებთან ურთიერთობას ახორციელებს ქართულ ენაზე.

ამ პრინციპის განუხრელად დაცვა საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას და ქართველ ერს საჭიროდ მიაჩნია იმიტომ და მის დასაცავად თანამოქალაქეებს მოუწოდებს იმიტომ, რომ საქართველოს დღევანდელი დღე, ანუ საქართველოში დღეს არსებული ვითარება და დღეს მიმდინარე ხდომილებები, არის არა მხოლოდ დღევანდელი მსოფლიოს მდგომარეობის ერთერთი ელემენტი, არამედ აგრეთვე საქართველოს წარსული და მომავალი ისტორიის ერთერთი ეტაპი, რომელიც ამჟამად მაცხოვრებელ თაობებს პასუხისმგებლობას გვაკისრებს მომავალთა წინაშე.

2. მეორე პრინციპია სამართლებრიობა, ანუ მოქალაქეების სრული თანასწორობა კანონის წინაშე და მოქალაქისა და სახელმწიფოს სრული თანასწორობა კანონის წინაშე (რაშიც მდგომარეობს კანონს უზენაესობა სახელმწიფოში), აგრეთვე სამართლებრიობასთან ბუნებრივად დაკავშირებული დემოკრატია, ანუ მოქალაქეთა, როგორც ასეთთა, უმრავლესობის პრინციპული უზენაესობა სახელმწიფოს მართვაში, ამ სახელმწიფოს კანონმდებლობის განსაზღვრისა და კანონის შესრულების კონტროლის სახით. ამ პრინციპის განუხრელი გატარების აუცილებლობას სახელმწიფოს საშინაო და საგარეო პოლიტიკაში განაპირობებს ის, რომ სამართლებრიობა და დემოკრატია არის სტაბილური საზოგადოებრივი თანაცხოვრების ერთადერთი ფორმა, რომელიც შეთავსებადია ადამიანის, როგორც გონიერი და თავისუფალი არსების, ბუნებასთან — საზოგადოების ორგანიზაციის ის ფორმა, რომელიც სადღეისოდ, ყველაზე ეფექტიანია საზოგადოების შემოქმედებითი, ზოგადად შრომითი და მორალური პოტენციალის რეალიზაციისათვის როგორც პიროვნული, ისე საზოგადოებრივი (მათ შორის — სახელმწიფოებრივი) ამოცანების გადასაჭრელად.

III. თუმცა საქართველოს უზურპატორი და საკუთარი მოქალაქეების მხუთავი გაზით მომწამლავი „პრეზიდენტის“, მ. სააკაშვილის კანონიერი მოცილება საქართველოს ხელისუფლებიდან აუცილებელია ეროვნული თავმოყვარეობისა და ერის სამომავლო სულიერი სიჯანსაღის თვალსაზრისით, ამ ნაბიჯის საჭიროების ძირითადი განმსაზღვრელი მაინც არის სახელმწიფოს კურსის შეცვლის აუცილებლობა, რომლის კიდევ ხუთი წლის მანძილზე გაგრძელების შემთხვევაში რეალური ხდება „უქართველებო საქართველოს“ შექმნის ცნობილი პროგრამის რეალიზაცია და სახელმწიფოს სრული კრახის ორგანიზება. სახელმწიფოს კურსის ამ შეცვლისთვის აუცილებელ ნაბიჯთა მინიმალური ჩამონათვალი, რომელთა გარეშეც საქართველოს გადარჩენა, როგორც სახელმწიფოსი და ერისა, შეუძლებელია, არის შემდეგი

1. რუსეთის, როგორც საქართველოს ტერიტორიების წინააღმდეგ დღესდღეობით ძირითადი შემომტევის, იურიდიული, პოლიტიკური და საპროპაგანდო განიარაღება, ანუ იმის ოფიციალურად გაცხადება, რომ

— აფხაზეთისა და ცხინვალის ომები არის რუსული აგრესიული ომი საქართველოს წინააღმდეგ (და არა „ეთნიკური კონფლიქტი“)

— ხსენებული ტერიტორიებზე რუსეთის „სამშვიდობო“ მანდატის დაუყოვნებლივ გაუქმება, ამ ტერიტორიებზე თოფის გავარდნის არდაშვება მანამდე, სანამ არ გაუქმებულა რუსეთის შეიარაღებული ძალების „სამშვიდობო“ მანდატი (რადგან მის გაუქმებამდე რუსებს აქვთ უფლება ცეცხლი გაუხსნან ქართველებს, ხოლო ქართველებს არა აქვთ უფლება, ცეცხლი გაუხსნან რუსებს.

— დაუყოვნებლივ ფორმულირება და მსოფლიოს კომპეტენტური პოლიტოლოგიური და იურისტული აზრის წინაშე (საკონსულტაციოდ) წარდგენა აფხაზეთის, აფხაზი (აფსუა) მოსახლეობისა და ოსური მოსახლეობის სტატუსისა და უფლებამოსილებების იდეალურად სწორი (კანონიერი, სამართლიანი და ჰუმანური) განსაზღვრისა (ასეთი ფორმულირებები ჩვენ მოგვეპოვება), ხოლო შემდეგ ამ ფორმულირებების მიღება, როგორც კონსტიტუციური ნორმისა. ამ ფორმულირებაში პრინციპული აღიარება იმისა, რომ აფხაზეთის, როგორც მთელის, ნება არ არის იგივე, რაც მხოლოდ აფსუა („აფხაზი“) მოსახლეობის რაგინდარა ერთსულოვანი ნება, არამედ ეს ნება არის ტოლქმედი აფსუა („აფხაზი“) მოსახლეობის ნებისა, რომელიც აფხაზეთის მინაწყალს განიხილავს, როგორც თავისი მარადიული და ყოველიმხრივი, მათ შორის ეროვნული თვითრეალიზაციის ასპარეზს, და ყველა მოსახლის ნებისა, რომ გარანტირებულად და უსაფრთხოდ იცხოვროს კეთილდღეობისა და დემოკრატიის პირობებში. ეს სამი ნება ერთი და იგივე არ არის, მაგრამ სავსებით ჰარმონიზებადია აფხაზეთში ბუნებრივი და სხვა სახის რესურსთა სიუხვის წყალობით.

— რეალური ძალის მომზადება რუსეთის არაოფიციალური (ანუ პრინციპულად დაძლევადი) შეიარაღებული ჩარევის მოსაგერიებლად და საქართველოს ტერიტორიების რუსული ოკუპაციისგან გასათავისუფლებლად.

2. კურსის აღება საქართველოს სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო წარმოების აღდგენასა და გაშლაზე. უკანონოდ გასხვისებული ობიექტების რენაციონალიზაცია, მინის უცხოელებზე გაყიდვის აკკვეთა, სტრატეგიული ეროვნული სიმდიდრის ჩართვისათვის საბაზრო ეკონომიკის სისტემაში ფართო გამოყენება, საკუთრების ფორმის პარალელურად, გასხვისებადი გრძელვადიანი იჯარის ფორმისა, ჰესების დაბრუნება სახელმწიფოს ხელში და ამით იაფი ენერგობაზრის შექმნა (არა უძვირესი 6 თეთრისა კვტ/საათისთვის), ეკონომიკურად და მილიტარულად სტრატეგიული ობიექტების (რკინიგზა, პორტები, გზები...) გასხვისების აკკვეთა, რაციონალური საგადასახადო სისტემის მიღება.

3. განათლებისა და მეცნიერების აღდგენისა და განვითარების, როგორც სახელმწიფოებრივი პრიორიტეტის, აღიარება.

4. განუკითხავი იმიგრაციის აკკვეთა. მისი ზომის დაყვანა გამონაკლისების დონემდე.

5. უარის თქმა ევროსაბჭოს წინაშე ნაკისრ ვალდებულებაზე საქართველოში რამდენიმე ასეული ათასი მუსლიმანის განუკითხავი (ანუ მათი მომავალი მოქმედების პროგნოზირების არ გამთვალისწინებელი) შემოსახლების შესახებ.

საქართველოს სამხრეთი რაიონებიდან სსრკ ხელისუფლების მიერ 1944 წელს დანაშაულებრივად დეპორტირებული პირებისა და მათი შთამომავლებისადმი, როგორც სახელმწიფოს განსაკუთრებული ყურადღების საგნისადმი, მიდგომა მხოლოდ სახელმწიფოსა და ერის საღეისო და ისტორიულმასშტაბიანი ინტერესების გათვალისწინებით.

6. საქართველოს ფედერალიზაციის (ამ ნაბიჯის მხოლოდ სიტყვიერად შემნლბავი „რეგიონალიზაციის“) აღიარება შეგნებულად დივერსიულ გეგმად საქართველოს და ქართველი ერის წინააღმდეგ, რომელიც, მისი განხორციელების შემთხვევაში, გამოიწვევს არა მხოლოდ საქართველოს ერთიანი სახელმწიფოს დაშლას, არამედ ქართველი ერის ერთიანი ეროვნული ცნობიერების დაშლასაც სულ 2-3 თაობის მანძილზე.

7. კატეგორიული აკკვეთა საზღვარგარეთიდან შემოსული ფულისა და სხვა მატერიალური შესაძლებლობების გამოყენებისა საქართველოში სექტანტური პროზელიტიზმის სტიმულირებისთვის, აგრეთვე საქართველოს სამოციქულო ეკლესიის იურისდიქციის გარეთ მყოფი საკულტო ნაგებობების მშენებლობის განუკითხავი სტიმულირებისათვის, რომელიც მიზნად ისახავს ვიზუალური შთაბეჭდილების შექმნას, თითქოს საქართველოს სამოციქულო ეკლესია კარგავდეს თავის ისტორიულ, დღევანდელ და სამომავლო ფუნქციას, — საქართველოს მოსახლეობის ძირითადი ნაწილის სულიერი ცხოვრების მართვისა და მასზე პასუხისმგებლობის ფუნქციას.

III. ჩამოთვლილი შვიდი პუნქტიდან თუნდაც ერთის არმიღება, ჩვენს აზრით, ნიშნავს საქართველოს ფიზიკური, ეკონომიკური, მილიტარული, მენტალური და მორალური განადგურების დღეს მოქმედი გეგმისადმი სრულსა ან ნაწილობრივ მიმხრობას და, ამდენად, ჩვენთვის მიუღებელია. ვიცით რა ქართველი ერის სულისკვეთება უკეთ, ვიდრე სხვა რომელიმე პოლიტიკურმა პარტიამ ან ჯგუფმა, და ვართ რა, როგორც ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ნაწილი, ამ სულისკვეთების სამწუხაროდ, ერთადერთი სრულად გამომხატველი ამ ჯგუფთა და პარტიათა შორის, სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებთ: საქართველოსა და ქართველ ერს, მიუხედავად გარე და შიდა მტრების სიმრავლისა და მათი ფინანსური და ორგანიზაციული სიძლიერისა, საქართველოს ერთგულ და, მაშასადამე, არამარიონეტულ ხელისუფლებას შეუძლია საქართველოს დღევანდელი ტრაგიკული განსაცდელის **სრულად** დაძლევა. ზემოდასახელებული შვიდი ნაბიჯი ამისათვის საჭირო სახელმწიფოებრივი ძალისხმევის (ანუ იმ ძალისხმევისა, რომელიც სახელმწიფომ უნდა მოახდინოს, და არა მასამ) პირველი აუცილებელი მინიმუმია. ეს არის, ჩვენი აზრით, იმ საყოველთაოდ ხილული ფაქტის ერთადერთი ახსნა, რომ საქართველოსადმი მტრულად განწყობილი ადგილობრივი და გარე ძალები დღეს თავისი ანტიქართული ძალისხმევის კონცენტრაციას ახდენენ, პირველ ყოვლისა, იმ ამოცანაზე, რომ საქართველოში არამარიონეტული, ანუ ქვეყნის ერთგული ხელისუფლება ვერ შეიქმნას.

ჩვენ მოწინააღმდეგის ამ შემოტევისათვის დათმობას არ ვაპირებთ. ჩვენ ვიბრძვით და ვიბრძოლებთ იმისათვის, რომ საქართველოში არამარიონეტული ანუ ერთგული ხელისუფლება შეიქმნას, მაშასადამე — საქართველომ თავის წინაშე მდგარი ყველა სასიკვდილო საშიშროება დაძლიოს. დღეს ჩვენ საპარლამენტო არჩევნებში არ ვიბრძვით, ჯერ ერთი, სრული უსახსრობის გამო (რაც დღევანდელი დანაშაულებრივი ანტიქართული პოლიტიკის პირობებში დემოკრატიული მიმართულების პოლიტიკური ძალებისთვის გარდუვალია), მეორეც, უცხოეთში პოლიტიკური მხარდაჭერის არარსებობის გამო, რადგან ყველა ან თითქმის ყველა გარე ძალა საქართველოს პატრიოტს დღეს თავის მოწინააღმდეგედ რაცხს (თუმცა ეს განწყობილება სამარადისო არ არის). მაგრამ ამავე დროს ჩვენ ვიცით, რომ საქართველოში ერთადერთი პერსპექტიული პოლიტიკური მიმართულება ჩვენი მიმართულებაა, და არა ამა თუ იმ კომპრადორებისა ეკონომიკურ, პოლიტიკურ, კულტურულ და მრავალ სხვა სფეროში, რომელთაც არც საკმარისი ჰორიზონტი აქვთ, არც ეროვნული სიამაყე, რათა საქართველოს ისტორიულმასშტაბიანი ინტერესები დაინახონ და ვინ გადაგიტანეს საკუთარი პასუხისმგებლობა გაიცნობიერონ. ჩვენი ეს პოზიცია, ამგვარად, არის ფიზიელი ოპტიმიზმისა და არა პესიმიზმის. ამიტომ ჩვენი დამოკიდებულება „საერთო სახალხო მოძრაობისადმი“, რომელიც დღეს საპარლამენტო არჩევნებში გამოდის სახელისუფლებო პარტიის ერთადერთ რეალურ მონინააღმდეგედ, ჩვენთვის მისაღებია და ჩვენგან მხარდაჭერილი იქნება არჩევნებზე, სიტყვით და საქმით, თუ მას ექნება დაფიქსირებული და ღიად გაცხადებული ზემოხსენებულ პუნქტთა მომცველი პროგრამა. თუ არა, მაშინ ჩვენ ცალკე ვიბრძოლებთ ჩვენი ქვეყნის გადარჩენისათვის იმ საშუალებებით, რომლებიც ხელთ გვექნება.

მოხარულნი ვართ, რომ „საერთო სახალხო მოძრაობა“ გათავისუფლდა „რესპუბლიკური პარტიის“ მონაწილეობისაგან, რომელიც, ჩვენს აზრით, ისეთივე ანტიქართულია და ანტისახელმწიფოებრივია თავისი მიმართულებით, როგორც „ნაციონალები“. „საერთო-სახალხო მოძრაობას“ გულწრფელად ვურჩევთ რადიკალურად გააფართოოს თავისი პოლიტიკური ბაზა და შემადგენლობა, სახელდობრ, ფართოდ ჩართოს მასში საქართველოს ინტელექტუალური და ფსიქოლოგიური პოტენციალი, რომელიც, ბუნებივია, მხოლოდ ეროვნულ და, მაშასადამე, ჭეშმარიტად დემოკრატიულ ორიენტაციას ადგას. ვურჩევთ მას აგრეთვე არ დაივიწყოს შემდეგი: პოლიტიკური აქტივობა არ არის იგივე, რაც პარლამენტში ყოფნა. საქართველოს გადარჩენის ამოცანაა, იპოვოს შემსრულებელი ყველა ფუნქციისათვის, რომელიც სჭირდება საქართველოს სახელმწიფოს აშენებას მტრის ცეცხლის ქვეშ (ასეთი ფუნქციები დღეს მრავალი ათასია) და არა ადგილი (კერძოდ, საპარლამენტო ადგილი) პოლიტიკაში მოღვაწეობის მოსურნე ყველა პირისათვის.

IV. ვინაიდან სააკაშვილის ყოფნა საქართველოს პრეზიდენტის თანამდებობაზე მოკლებულია ლეგიტიმურობას არჩევნების ტოტალური გაყალბების გამო და ვინაიდან, ანალოგიური მიზეზით, ლეგიტიმურობას მოკლებულია დღეს მოქმედი პარლამენტი, სრული საფუძველი გვაქვს კანონიერი ძალის არმქონედ ვცნოთ მათი ყველა სახელმწფოებრივი აქტი. ჩვენ ამ უფლებას გამოვიყენებთ მათი იმ აქტების მიმართ, რომლებიც წინააღმდეგობაშია ან წინააღმდეგობაში იქნება საქართველოს სახელმწიფო პოლიტიკის იმ შვიდ პრინციპთან, რომლებიც ზემოთ იყო ჩამოთვლილი, როგორც საქართველოს სახელმწიფოს გადარჩენისათვის აუცილებელი ნაბიჯები. ამავე დამოკიდებულებას გავავრცელებთ ა.წ. გაზაფხულზე არჩეულ პარლამენტზეც, თუ არჩევნები ჩატარდება დღეს მოქმედი უტიფრად არადემოკრატიული საარჩევნო კანონმდებლობით და (ან) თუ არჩევნების პროცესში შეინიშნება გარიგების ნიშნები საარჩევნო კომისიების დაკომპლექტებაში ან არჩევნების მონაწილე სუბიექტთათვის განსხვავებული სასტარტო პირობების შექმნის მცდელობა.

ვიცით რა, რომ საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მონაწილე ორგანიზაციათა და ინდივიდთა სულისკვეთება, სახელდობრ, ორიენტირება საქართველოს და მისი მოქალაქეების არა მხოლოდ სადღეისო, არამედ აგრეთვე ისტორიულმასშტაბიან ინტერესებზე, ემთხვევა ქართველი ერის ყველაზე ფართო მასის სულისკვეთებას, თავს უფლებას ვაძლევთ განვაცხადოთ, რომ აქ გამოთქმული პოზიცია, სახელდობრ, მოქმედი და მომავალი პარლამენტების მიერ ზემოხსენებულ პრინციპთა საწინააღმდეგო აქტების განხორციელების არცნობა და მომავალში ბათილად ცნობა, ჩვენს წინამდებარე პოზიციას ქართველი ერის სახელით გამოვთქვამთ.

საქართველოს სახალხო ფრონტი
ნ. ნათაძე

საქართველოს სახალხო პარტია
მ. გიორგაძე

სამხედრო ფორმირება „იმედის“ ვეტერანთა კავშირი „იმედი“. გადამდგარი პოლკოვნიკი
დ. ხუმასურიძე

საქართველოს ეროვნულ-ქრისტიანული პარტია. პ. ნაზარიშვილი

წერილი ქალთა კოლონიიდან

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს ნინო ბურჯანაძეს
სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს უწმიდესსა და უნეტარესს, ილია II-ს
საქართველოს ვეტერანთა ყველა კავშირს

ღია წერილი

საქართველოს ვეტერანის სტატუსი

ომი, სადაც ბევრი ადამიანი იღუპება, მებრძოლის თავგანწირვის პირობებს ქმნის. მებრძოლთა უმრავლესობა ომიდან სხეულის მძიმე ტრავმებით დასახიჩრებული ბრუნდება. ამას ემატება ის, რომ ბრძოლებში ფსიქოლოგიური სტრესებით მიღებული ტრავმა ნაბრძოლს სიცოცხლის ბოლომდე მიჰყვება. ომებში ჯარს **სახელმწიფო** ბრძანებები ავალდებულებს, ამის შედეგად მებრძოლი თავის მთელ სიცოცხლეში აუნაზღაურებელ ჯანმრთელობას **სახელმწიფოს** სწირავს. საქართველოს მთლიანობისათვის სამაჩაბლოსა და აფხაზეთის ბრძოლებში ნაომარ ადამიანს, ვინც ბრძოლებში საკუთარი სისხლი დაღვარა და ჯანმრთელობაგანადგურებული დარჩა, საქართველოს წინაშე დამსახურებული პირის სტატუსი უნდა ჰქონდეს, სახელმწიფო მისი სოციალური, ფსიქოლოგიური, ასევე ფიზიოლოგიური რეაბილიტაციის ვალდებულია. შედარებისათვის ვიტყვი, რომ არიან ადამიანები, რომლებიც ომს ანუ თავის ვალდებულებას საერთოდ დაემალნენ!

საქართველოს სახელმწიფოებრივი ფუნქციის უზრუნველყოფის მოშლილობამ ბევრი ადამიანი ციხის კარამდე მიიყვანა, სადაც ისინი დღესაც იტანჯებიან.

საქართველოს მოსულიერების დრო დაუდგა.

გუშინდელი მებრძოლის მიერ გაწეული ღვაწლის დღეს დაუფასებლობა დღევანდელ და ხვალინდელ მებრძოლში საბრძოლო სულისკვეთებას აქვეითებს. მისი საბრძოლო სულისკვეთების გასამტკიცებლად ნაბრძოლი ადამიანის დაფასება აუცილებელია. აქ სახელმწიფოებრივი მიდგომაა საჭირო: ნაბრძოლი ვეტერანის სტატუსის მქონე ციხის პატიმრებს, ვისაც სასჯელის ნახევარი აქვს მოხდილი, ეკუთვნის ვადამდე პირობითი გათავისუფლება. მძიმე ავადმყოფი პატიმრები, ასევე ნაბრძოლი პატიმრები, ვისაც სასჯელის ორი მესამედი აქვს მოხდილი, ამნისტირებას ექვემდებარებიან.

საქართველოში ეს საკითხი პრობლემად რატომ იქცა?

პატივისცემით,
ფსიქოლოგი, იურისტი,
ასევე ჟურნალისტი
ამირან აკობია

მზერა გისოსებიდან

როგორ უცნაურადაც არ უნდა ჟღერდეს, გისოსებიდან ხანდახან მეტს ხედავ. ეს იმიტომ, რომ ჩვენ საზოგადოებისაგან იზოლირებულნი ვართ, მოკლებულნი ვართ ურთიერთობებს, ყოფით საქმიანობას, ოჯახზე ზრუნვას. ჩვენ იძულებით უსაქმურობა და შავი, მძიმე, უიმედო ფიქრი გვაქვს მისჯილი, და დაკვირვება. თქვენ, იქ, თავისუფალ სამყაროში, წარმოდგენაც კი არ გაქვთ, რას ვეჯახებით ყოველდღიურად.

ჩვენი ხელისუფლება საზოგადოებას ჩააგონებს, რომ ჩვენ უზარმაზარი ნაბიჯებით მარადიულ ბედნიერებას ვუახლოვდებით, რომ საქართველო საცაა კამპანელას „მზის ქალაქად“ მოგვევლინება, დამნაშავენი კი, როგორც წესი და რიგია, ციხეში სხედან. საზოგადოების ერთ ნაწილს ამ ფორმულირებისა სჯერა, მეორე ნაწილმა კი, რომელთა ახლობლები და ნათესავები გისოსებს მიღმა იმყოფებიან, იცის ამ „დანაშაულთან ბრძოლის“ ჭეშმარიტი ღირებულება, რომელსაც უმჯობესი იქნებოდა „კუდიანებზე ნადირობა“ დარქმეოდა. მაგალითისთვის ავიღოთ ქალთა ზონა. ზონაში, რომელიც 200 მსჯავრდებულზეა გათვლილი, 1990 წლიდან 2006 წლამდე 100 ქალზე მეტი არასოდეს იხდიდა სასჯელს. ამჟამად ქალთა ზონაში 558 ქალი ზის. ამას ემატება ეტაპები თბილისის, ბათუმის, ზუგდიდისა და ქუთაისის ციხეებიდან. ზონაში ახალი კორპუსი ააშენეს, მაგრამ ამ ტემპებით არანაირი კორპუსები არ იქნება საკმარისი.

ქალი გისოსებს მიღმა — ეს არაბუნებრივია, ქალი გისოსებს მიღმა 25, 30, 40 წლით და უვადოდ — ორმაგად არაბუნებრივი. ყველაზე გავრცელებული მუხლებია 260, 180, 143, ანუ ნარკომანია, თაღლითობა, ტრეფიკინგი.

ნარკომანებთან დაკავშირებით ყველაფერი ცხადია, სხედან მომხმარებლები, რომლებიც უკეთეს შემთხვევაში იხდიან 6-7 წლიან სასჯელს ამ მუხლის II ნაწილით და 10-20 წლიან სასჯელს III ნაწილით. ამბობენ, რომ ქანცგაწყვეტილ ცხენებს ხოცავენ. ნარკომანებიც ქანცგაწყვეტილ ცხენებს გაუტოლეს. ვერ შეძლეს მათი დახვრეტა სადმე კორტებთან ან ოქროყანაში, მაგრამ დაიჭირეს და ციხეში ჩაამწყვდიეს იმ იმედით, რომ „B“ და „C“ ჰეპატიტი ხანგრძლივი სასჯელის პირობებში თავის საქმეს გააკეთებს. დანარჩენ პატიმრებს, თავიანთი სისულელის ან უფრო ხშირად გაუთვითცნობიერებლობის გამო, ნარკოტიკები ქმრებთან, მამებთან, შეყვარებულებთან მისაწოდებლად მიჰქონდათ ციხეში. არავინ გაისარჯა იმის გასარკვევად, იცოდნენ თუ არა ამ ადამიანებმა, რა ბომბი უნდა გადაეცათ. ისინი რატომღაც გადაცემაში კი არა, ნარკოტიკების რეალიზაციაში დაადანაშაულეს და როგორც ჩვენმა პრეზიდენტმა ბრძანა — „ყველა ციხეში“.

საერთოდ გაუგებარია, ვის მიმართ გამოიყენება თაღლითობის მუხლი. მესმის, რომ როდესაც ადამიანმა „გადაადგო“ ახლობელი და მას მატერიალური ზარალი მიაყენა, როცა იგი მოტყუებით სძალავს ფულსა და მატერიალურ ფასეულობებს სხვას — იგი თაღლითია, მაგრამ როდესაც ადანიანმა დროულად ვერ მოახერხა ვალების გასტუმრება და ბოდიშის მოხდით გადავადებას ითხოვს, როდესაც იგი უკიდურესი სიდუხჭირის გამო აღმოჩნდა მევახშის ხელში და პროცენტების გადახდით ღაფავს სულს, თურმე ისიც თაღლითია, მევახშე კი დაზარალებული. ეტყობა, ჩვენს კანონშემქმნელთა საყვარელი გმირი შექსპირის შეილოკია.

ტრეფიკინგი ხომ მრავალკიდურიანი და მრავალსახიანი მარსიანული ცხოველია; მეძავი, რომელიც მისნაირებთან ერთად სადღაც თურქეთში საქმიანობს — ტრეფიკინგია; მათხოვარი, რომელმაც გაუფრთხილებლობით მესამე შვილი გააჩინა და დილემის წინაშე დადგა — მოგუდოს იგი, სანაგვეზე ისროლოს თუ მცირეოდენი საფასურის სანაცვლოდ კეთილ ადამიანებს ჩაუგდოს ხელში, იმ საფასურის სანაცვლოდ, რომელიც დანარჩენ შვილებს გადარჩენის საშუალებას მისცემს. თუ იგი მესამე ვარიანტს ირჩევს, ეს ტრეფიკინგია და ყველა, ვინც კი ამაში დაეხმარება, ამ მუხლით დასჯას ექვემდებარება.

ხედავთ, რა აბსურდია? თუკი ქალი ახალშობილს გაგუდავს, ოთხიოდე წელს მიიღებს სასჯელად, ისე კი 12 წელს. კი მაგრამ, რას ებრძვით, ბატონებო? ტრეფიკინგს? უმჯობესი ხომ არ იქნებოდა, ცხოვრების დონე ამაღლებულიყო. ისე გაკეთებულიყო, რომ ჩვენი გოგონები საკუთარ სხეულს არ ყიდდნენ გროშებად, ქალები კი იმის შიშით არ იყვნენ, რომ შვილები შიმშილით დაეხოცებათ? თუ ჩასმა უფრო მარტივი საქმეა? რაღა თქმა უნდა, ჩასვამ და დაივიწყებ მრავალი წლით, რადგანაც თუკი არ არის ადამიანი, არ არის პრობლემა. საერთოდაც, არაა ათასი ქალი, არ არის ათასი პრობლემა. დედის მზრუნველობის გარეშე დარჩენილი მათი შვილებიც პატიმრობის კანდიდატები არიან. აი თქვენ, მრავალი წლით დასავიწყებლად კიდევ რამდენიმე ათასი პრობლემა. სწორედ რომ მრავალი წლით, რადგანაც სასჯელები უზარმაზარია, ხოლო ამნისტიას, ობიექტურ შეწყალებას და პირობით ვადამდელ გათავისუფლებას (УДО) ჩვენს ქვეყანაში ტაბუ ადევს. მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში პრაქტიკა ტარდება და თითოოროლა ქალი თავისუფლდება. თავის დროზე რომ აეხსნა ვინმეს ჩემთვის, თუ როგორ „დემოკრატიას“ ვაშენებთ, მე ყველაზე დიდი ანტიდემოკრატი ვიქნებოდი.

გულმოწყალების აქტი ან საჩუქარი მაამებელთათვის

საქართველოში წინასაარჩევნო კამპანია არაა მხოლოდ პროპაგანდა და პლაკატები, არაა მხოლოდ კანდიდატთა პროგრამები და მით უფრო მორიგი გაყალბებისათვის მზადება. ამასთან ერთად, ეს არის „ოქროს ციებ-ცხელება“ ქალთა ზონაში. ზონა ჭორებით, ე.წ. „ზონის პარაშებით“ ივსება. ყველა კუთხეში ერთსა და იმავეზე ლაპარაკობენ და სამი სიტყვა — ამნისტია, შეწყალება, „უდო“ (ვადამდელი პირობითი გათავისუფლება) აუცილებლად ჟღერს ყოველ საუბარში. აბა რა, ეს სიტყვები ისეთივე მაცდუნებელია, როგორც ჯვაროსნებისთვის წმიდა გრაალი, როგორც კონკისტადორებისთვის ელდორადო და ისეთივე არარეალური...

ქალები თავიანთი ბუნებით ალალი, რომანტიული და გარკვეულწილად მიამიტები არიან და სჯერათ, სჯერათ თავიანთივე სიცრუის, უფრო სწორად კი, თავიანთი ოცნების ელდორადოსი. საქართველოში კი აგერ უკვე 16 წელია ამნისტია არ ყოფილა, თუ არ ჩავთვლით იმას, რაც ამნისტიის სახელით ზამთარში მივიღეთ. ჭეშმარიტად, შადრევნების წამბილწველები და ხომალდის ჩაძირვის დროს ბორტიდან გამქცევი კაპიტნები ალბათ კმაყოფილები არიან „გულმოწყალების“ ამ აქტით. დანარჩენებმა გაიცინეს, დაივიწყეს და გაგრძელეს ჯდომა. მასიური შეწყალებები უკვე 6 წელია, რაც „გარდაიცვალა“. მხოლოდ ზამთარში, ქალთა მცირე ჯგუფს ხვდა წილად ეს „ბედნიერი ბილეთი“, მუხლისა და ციხეში გავლილი წლების გაუთვალისწინებლად. ამ ქალთა ნახევარი მაამებელი იყო, მეორე ნახევრის ახლობლები კი აქტიურად აგროვებდნენ ხმებს მეხუთე ნომრისათვის, კარუსელებში მონაწილეობდნენ და ამის წყალობით მოხდა მათი ოჯახებთან შეერთება.

იგივე რამ ხდება „უდო“-სთან დაკავშირებით. უკვე ორი წელიწადია, რაც ვილაც ზემდგომმა „არაოფიციალურად“ გააუქმა „უდო“. როდესაც ჩვენ ს.ს.კ. რომელიმე სტატიით გვასამართლებენ, ჩვენ ამ სასჯელს ვიხდით, მაგრამ როგორც კი უდოს დრო მოდის, რომელიც იგივე კოდექსის №72 მუხლით გვეკუთვნის, ეს მუხლი არ მუშაობს. როგორც ჩანს, ფალსიფიკაცია — ეს არის არა მხოლოდ არჩევნებში გამარჯვება, არამედ ცხოვრების წესი.

ქალები კი ელიან, ელიან სასწაულს, რომელსაც „ამნისტია“, „სასჯელის განახევრება“, „ობიექტური შეწყალება“ და „უდო“ ერქმევა სახელად, წინასაარჩევნო პიარ-აქციის სახით მაინც!

ქალები სასწაულს ელოდებიან, მაგრამ ამგვარი სასწაული სხვაგან — რუსეთში, უკრაინაში, აზერბაიჯანში, სომხეთში, თურქეთში ხდება. ალბათ, სადღაც აფრიკის ჯუნგლებშიც, თუმცა აფრიკას თავში აზრადაც არ მოსდის ნატოს კარებზე დაკაკუნება.

მაშ, დაველოდებით სასწაულს, თუ სასწაულს არა, სასჯელის ვადის ამოწურვას მაინც! მერე რა იქნება? აფრიკის ჯუნგლებში გადახვწყა? ვშიშობ, იმ დროისთვის ჩემი მშობლიური თბილისი ნიუპეკინად გადაიქცევა?!

არ გინდათ, ბატონებო, ნუ დამტოვებთ უსამშობლოდ!

დირექტივები სუფლიორის ჯიხურიდან

თემა, რომლის ამოწევასაც ვაპირებ, არავისთვის წარმოადგენს საიდუმლოს. მაგრამ იგი, ეჭვგარეშეა, აბსოლუტურ სიმართლეს წარმოადგენს მოსახლეობის ერთი მესამედისთვის — პატიმრებისათვის. ესაა მართლმსაჯულების თემა. სამწუხაროდ, თავად მართლმსაჯულებისაგან განსხვავებით, ეს თემა არსებობს.

სასამართლოში ალიბის წარდგენის მცდელობა იგივეა, რაც ყრუსთან საუბარი. საუბარი ხანმოკლეა — ან აღიარებ ჩადენილ ან ჩაუდენელ დანაშაულს და სასჯელის მინიმუმს მიიღებ, ან ბრძოლას განაგრძობ და მაქსიმალურ სასჯელს ღებულობ. ამასთან, მოსამართლეს საკმაოდ ხშირად განაჩენი ისე გამოაქვს, რომ თვალებს ძირს ხრის და ღვთის სახელით ითხოვს პატიებას ჩვენგან, რომ ჩვენ არ გავბოროტდეთ. ჩვენც არ ვბოროტდებით. რა არის გასაბრაზებელი, თუკი განაჩენი პროკურორს გამოაქვს, ჩვენი მართლმსაჯულების ამ „რუხ კარდინალს“. სასამართლო ხომ საკალათო კუნძია ეშაფოტთან ერთად, სადაც კაპელანის როლში მოსამართლე გამოდის, ჯალათის როლში კი — პროკურატურა.

ან კიდევ: რაღაც უჩვეულო სპექტაკლი, სადაც მოსამართლე იმ მსახიობს გვაგონებს, რომელსაც პირწმინდად დაავიწყდა თავისი როლი, პროკურორი კი სუფლიორია, ვის ნაკარნახევსაც მოსამართლე ახმოვანებს. ნებისმიერი ასოციაციის არჩევა შეიძლება; ერთიცა და მეორეც სამწუხაროდ სინამდვილეა.

ეს კიდევ არაფერი; არსებობს უფრო „დახვეწილი“ მეთოდები. ერთი მათგანი ბავშვების თამაშს „გაშეშობანას“ გვაგონებს; ეს იმას ნიშნავს, რომ პროკურატურას წინადადება შემოაქვს ე.წ. თანამშრომლობის შესახებ; თავისუფლებაზე ყოფნა გინდა? ჩაუშვი ვინმე, ვინც შენს ადგილს დაიკავებს. საინტერესოა, რას გრძნობენ პროკურორები ეკლესიაში ყოფნის დროს მას მერე, როდესაც მორიგ მსხვერპლს „იუდას ცოდვის“ ქმნისკენ უბიძგებენ? პროკურატურის თანამშრომლებისაგან განსხვავებით ფარისევლები ნამდვილი ანგელოზები იყვნენ. ჩვენს დღევანდელ იუსტიციის მინისტრს ცოტა ხნის წინ გენერალური პროკურორის მოადგი-

გაგრძელება მე-16 გვერდზე

მე-15 გვერდიდან

ლის თანამდებობა ეკავა. პირადად ჩემში იგი დროის ძველრომაული ღმერთის, ორსახოვანი იანუსის ასოციაციას იწვევს. ის სახე, რომელსაც ახლა ვხედავ იუსტიციის მინისტრის ნახვისას, ჩემში გარკვეულ სიმპათიებს იწვევს, სამაგიეროდ ის სახე, რომლის დემონსტრირებასაც ყოფილი გენპროკურორის მოადგილე უწინ ახდენდა, ღამის კოშმარის მაგვარი იყო. საინტერესო ისაა, აქვს თუ არა მას მარაგად კიდევ სხვა სახეები? და რომელი მათგანია ნამდვილი? ალბათ ამას არავინ გვაჩვენებს, ისევე, როგორც თავის დროზე ფანტომასის ნამდვილი სახე არ გვანახეს. რახან ასეა ბატონო მინისტრო, შეინარჩუნეთ დღევანდელი სახე.

თუმცა, მე ძირითად თემას გადავუხვიე. პროკურატურას კიდევ მრავალი ხერხი გააჩნია, რომ თემიდა მარიონეტად აქციოს. ეს არის ე.წ. საპროცესო შეთანხმება, ანუ გადაიხადე და იმავე წუთიდან დამნაშავის სტატუსი უდანაშაულოს სტატუსით შეგეცვლება. თუკი შენ დანაშაული ჩაიდინე, მაგრამ გადახდისუნარიანი ხარ, შინ გაგიშვებენ, მაგრამ თუკი ეჭვმიტანილი ხარ და ამასთან მატერიალურად გაჭირვებული, მაშინ, გეთაყვა, შენი ადგილი ციხეშია დიდი დროით.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ თემიდა ბრმა, მაგრამ ქალღმერთს მახვილი სმენა აქვს და ფულის შრიალი ცხრა მთის იქიდან ესმის.

ამრიგად, ჩვენს სასამართლოსთან შედარებით ლინჩის წესით გასამართლება ბავშვური გართობაა. ისე კი, ეტყობა სახრჩობელა სჯობია 40 წლით ციხეში ჯდომას, რადგანაც ციხიდან გამოსვლის მერე ადაპტირების შეუძლებლობის გამო ჩვენვე მოგვიწევს თავის ჩამოხრჩობა.

კარგი იქნებოდა, სტაჟიორები სადმე ახალ გვინეაში გაგვეგზავნა ადგილობრივი აბორიგენებისაგან დემოკრატიული მართლმსაჯულების გადმოსაღებად. ვფიქრობ, ამაზე უკეთეს შედეგს მივიღებთ, ვიდრე ახლა გვაქვს.

ხელის გაწვდენა თუ ისევ ბორკილები

ვინ არიან ნარკომანები — დამნაშავეები თუ ავადმყოფები, ბოროტგანმზრახველები — სახელმწიფოებრივი წყობისთვის საფრთხის შექმნელები თუ სახელმწიფოში არსებული უკანონობის მსხვერპლნი?!

წლების განმავლობაში ეს თემა მუსირებს პრესასა და ტელევიზიაში, წლების განმავლობაში ლაპარაკობენ პრევენციის ზომებზე, კანონის ლიბერალიზაციაზე, იმ ადამიანების მიმართ ჰუმანურ დამოკიდებულებაზე, რომლებიც ამ ავადმყოფობით არიან დაავადებულნი. რატომაა ჩვენს ქვეყანაში ამ თემაზე დაციკლის ტენდენცია, რომელზეც გუთაყვლად საუბრობენ, მაგრამ ამის იქით საქმე არ მიდის? თქვენ ლაპარაკობთ, ჩვენ კი ციხეებში ვსხედვართ; თქვენ, ბატონებო, აგრძელებთ საუბარს, ჩვენ კი განვაგრძობთ ჯდომას, და ასე დაუსრულებლად... რატომაა, რომ როდესაც პრეზიდენტმა ტრიბუნიდან წარმოთქვა საკმაოდ ცნობილი ფრაზა — „ყველანი ციხეში“ — ყველამ მაშინვე აიტაცა იგი და სულ რამდენიმე თვეში ქვეყანაში პატიმართა რაოდენობა გასამმაგდა. იჭერდნენ ყველაფრისთვის, ციხეში სვამდნენ უბრალოდ იმისთვის, რომ ჩაესვათ. ვშიშობ, რომ ეს ფრაზა უკიდურესობამდე დამახინჯეს ჩვენმა „წარმატებულმა“ ძალოვანმა სტრუქტურებმა. მაგრამ როდესაც იმავე ტრიბუნიდან პრეზიდენტი ამბობს, რომ ნარკომანები ნამდვილად არ არიან დამნაშავეები და სასჯელის მაგივრად მკურნალობას იმსახურებენ, ჩვენ მხოლოდ დაუსრულებელ ლაყბობას ვიღებთ და მეტს არაფერს. ნუთუ ბოროტების ჩადენა სიკეთის ქმნაზე უფრო სასიამოვნოა?! თუმცა, როდესაც ჩვენზე საუბრობენ, ხაზს უსვამენ იმას, რომ ჩვენ დამნაშავე ელემენტები კი არა, ავადმყოფები ვართ. მაგრამ, როგორც კი საქმე ეხება ამნისტიას ან შეწყალებას, ჩვენ მაშინვე გადავდივართ კრიმინალების რანგში და გათავისუფლების მაგივრად, ბოდიში და, ბრანწს ვიღებთ?!

იქნებ დადგა უკვე გარკვევის დრო? თქვენ, ბოლოს და ბოლოს, იქნებ გაიგოთ, რომ ჩვენ ავადმყოფები ვართ. გაიხსენებთ რა საქართველოში მივიწყებულ სიტყვას „ჰუმანიზმი“, გაგვათავისუფლებთ; რადგანაც მანამდე, სანამ თქვენ ახალ კანონში ერკვევით, ჩვენ, თუკი იქამდე მივაღწევთ, ციხეში დავიხოცებით, ან საზოგადოებისთვის საშიშ კრიმინალებად გვაღიარებთ და ჩვენი დახვრეტის ლოცენზიას გასცემთ. ნუ შეგრცხვებათ, ალბათ ეს გაცილებით უკეთესია, ვიდრე წლობით „გამოდარების“ ლოდინი და თქვენი პირმოთნეობით ტკბობა.

განსაკუთრებით ბევრს ლაპარაკობენ პრევენციის ზომებზე. თქვენი პრევენცია ესაა უზარმაზარი ჯარიმები, რომელიც დღევანდელი ცხოვრების დონის ფონზე სხვა არაფერია, თუ არა დანაშაულისკენ ღია მოწოდება. თუკი ნარკომანი, რომელმაც ვერ იშოვა ფული „დოზისთვის“, სხვის ჯიბეში არ ჩაძვრება, არამედ ტკივილისგან დაკვნეტილი დასისხლიანებული ტუჩებით უკეთეს შემთხვევაში სახლში სიკვდილს დაელოდება, მაშინ ჯარიმის გადაუხდელობა ორმაგად სიკვდილის ტოლფასი იქნება, რადგანაც ჯოჯოხეთის ამ ჩაკეტილი წრის გავლა უკვე კუზ-ში (წინასწარი დაკავების საკანში) მოუწევს, ან...?! აი, თქვენი პრევენცია! რაც შეეხება ნარკომანიასთან ბრძოლას, ანუ სსკ 260-ე მუხლს, ნებისმიერი ქვეყანა, სადაც დიქტატურა ყვავის, იამაყებდა კანონის ამ მუხლით. დაგვიჯერეთ, ჰამურაბის კანონებით დაწყებული და XXI საუკუნით დამთავრებული მსგავსი ერეტიკული კანონი არ შეუქმნია არც ერთ კანონშემოქმედს; ერთი მუხლით იხდიან სასჯელს რეალიზატორები, მომხმარებლები, ნარკოტიკების შემტანები ციხეში თავიანთ ახლობლებთან და ერთი და იგივე წლები ესჯებათ. ერთი აბი სუბოტექსის გაყიდვის ფაქტზე დაკავებული რეალიზატორი 260-ე მუხლის I ნაწილით ზის 0-დან 10-წლამდე, ნარკომანი კი, რომელიც თავისი სასიცოცხლო დოზის ჰეროინით დააკავეს და რომელმაც ვერ მოასწრო მისი სახლამდე მიტანა, რომ გაეკეთებინა, იმავე 260-ე მუხლის II ნაწილს იღებს სასჯელად 6-დან 12 წლამდე. ჩვენმა კანონმდებლებმა პირწმინდად გაუქმეს მსოფლიო თანასწორობის კანონი, ანუ „არ არსებობს დიდი მცირეს გარეშე“. მათ დაადგინეს, რომ ჰეროინი ბუნებაში მცირე რაოდენობით არ არსებობს; რომ არის მხოლოდ ჰეროინის დიდი ოდენობა, რომელიც ძალზე მოქნილად გადადის განსაკუთრებით დიდ ოდენობაში. ის, რაც დარჩა გამოყენებულ სისხლიან შპრიცში, ძალზე ხმამაღლა იწოდება დიდ ოდენობად და ითვალისწინებს 0-დან 12 წლამდე სასჯელს. სულ 1 გრამიდან დაწყებული და ტონით დამთავრებული რაოდენობა უკვე განსაკუთრებით დიდს ნიშნავს. ეს უკვე ზემოხსენებული მუხლის III ნაწილია 8-წლიდან უვადო პატიმრობამდე. ჭეშმარიტად ბრმაა ის, ვინც ვერ ხედავს სხვაობას გრამსა და კილოგრამებს შორის. სხვათა შორის, კანონის ახალი პროექტი ძალიან არ განსხვავდება ყბადაღებული 260-ე მუხლისაგან; ნარკომანს 7-წლიანი პატიმრობა ემუქრება თუკი მას აღმოაჩნდება 0,1 გ-დან 1 გრ-მდე ჰეროინი. რატომ 0,1 გრ? ეს იმიტომ, რომ ეს არარეალურია; არ ექნება ნარკომანს ასეთი მიზერული რაოდენობა, არავინ გარისკავს ფუჭად იმ რაოდენობისათვის, რომლითაც ე.წ. „ლომკასაც“ კი ვერ მოიხსნის. ხოლო რაც შეეხება იმას, თუ რატომ 7 წელი; იმისთვის, რომ ვინც უკვე ზის II ნაწილით და 6-7 წელი აქვს მისჯილი, ახალი კანონის ჩარჩოებში ჩაეტიოს და ციხეში დარჩეს. ანალოგიური რამ ხდება კანონის ახალი რედაქციით სხვა ნაწილებშიც. ესაა თვალებში ნაცრის შეყრა, რომლითაც უკვე დიდი ხანია გაითქვა სახელი ჩვენმა მთავრობამ.

რამდენიღა უნდა იფიქროთ, ბატონებო! ფიქრსაც ხომ ცოდნა უნდა! კიდევ რამდენი წელი ვოჯდეთ ავადმყოფობისთვის მისჯილი უსაშველოდ დიდი სასჯელით იმ სენისათვის, რომლის გამოც ისედაც მკაცრად ვართ დასჯილნი — ტკივილით, უსიყვარულოდ, საშინელებით, ჯოჯოხეთით ცხოვრებაშივე. კიდევ რამდენი წელი უნდა იფიქრონ დილეტანტმა თეორეტიკოსებმა, როგორ მიგვიყვანონ სამარის კარამდე.

დიდი ხნის წინ საფრანგეთში ორიოდე კვირა დასჭირდათ, რომ მიეღოთ კანონი ტახტის მემკვიდრეობის შესახებ. ხოლო იმისთვის, რომ ნარკომანით დავადებულებს თავისუფლება მიანიჭონ და განკურნებისა და რეაბილიტაციის შესაძლებლობა მისცენ, ათწლეულებია საჭირო! ათწლეულები!!!

ეტყობა, ეს ჩვენი მკვეთრად ეროვნული დემოკრატიის გადაცდომებია.

ა. ოთარაშვილი

ჯ. ჯურტელი. სუკ-ი

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბჭოთა საიდუმლო აგენტების მუშაობა

დასაწყისი მე-13 გვ.

1971 წლის 14 აგვისტოს „პარიმატჩ“-ს გამოაქვეყნა ინტერვიუ იან სეჟნიასთან, ჩეხოსლოვაკელ გენერალთან, რომელიც 1968 წელს გაიქცა შეერთებულ შტატებში. სეჟნიამ განაცხადა, რომ საბჭოთა ხელმძღვანელობის ქვეშ ვარშავის პაქტის ხალხებმა დანერგეს დასავლეთ ევროპასა და ჩრდილოეთ ამერიკაში დივერსანტების პასიური ქსელები, რომლებსაც უნდა გაენადგურებინათ სასიცოცხლო მნიშვნელობის ობიექტები ომის შემთხვევაში, მაგრამ მან ასევე მიუთითა, რომ საბჭოთა კავშირი ვარაუდობდა ამ დივერსანტების გამოყენებას არასამარ პირობებშიც. მაგალითად, სეჟნიამ აღიარა, რომ ვარშავის პაქტის ქვეყნების გაერთიანებული შტაბის საიდუმლო თათბირებზე განიხილებოდა ლონდონის მეტროში დივერსიების მოწყობის გეგმა „სერიოზული პოლიტიკური სიძნელეების“ შემთხვევაში. ამ გეგმის თანახმად, კომუნისტი აგენტები ბიძგს მისცემდნენ აგრეთვე მასობრივ დემონსტრაციებს, ხოლო შემდეგ დაადანაშაულებდნენ ბრიტანეთის მთავრობას მეტროპოლიტენის შეგნებულ გაჩერებაში ხალხის პროტესტების თავიდან აცილების მიზნით.

სეჟნია პარტიის მდივნად დაინიშნა იმ მიზნით, რომ თვალყური ედევნებინა ჩეხოსლოვაკიის თავდაცვის სამინისტროს მუშაობისათვის, რისთვისაც რეგულარულად ესწრებოდა ვარშავის პაქტის ქვეყნების მეთაურთა სხდომებს, სადაც მან ეს ინფორმაცია მიიღო . ყველაფერი მის მიერ თქმული დაემთხვა იმას, რაც დასავლეთის სადაზვერვო სამსახურებისათვის უკვე იყო ცნობილი სხვა წყაროებიდან. მაგრამ დამოუკიდებელი ოფიციალური დასაბუთების გარეშე ძნელი იყო მისი განცხადებების მიღება. იმავე დროს, კომუნისტური მზადებები დივერსიებისათვის მსხვილ ქალაქებში მშვიდობიან დროს იმდენად ეწინააღმდეგებოდა განმუხტვის სულს, რომ ცოტა ვინმეს თუ უნდოდა დაეჯერებინა ყოველივე ეს.

სეჟნიასთან საუბრიდან ერთი თვის შემდეგ ჭკვიანმა და მიმზიდველმა 34 წლის რუსმა, სახელად ოლეგ ადოლფის ძე ლიალინმა, ითხოვა და მიიღო პოლიტიკური თავშესაფარი ლონდონში. ოფიციალურ განცხადებაში, რომელიც პრესაში 1971 წლის 24 სექტემბერს გამოჩნდა, ბრიტანეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო იუწყებოდა: „ეს კაცი, „სუკ“-ის ყოფილი თანამშრომელი, ფლობს ზოგიერთ ინფორმაციასა და დოკუმენტებს საბოტაჟის მიზნით აგენტების ინფილტრაციის გეგმების ჩათვლით“. 2 ოქტომბერს „დეილი მეილი“ ციტირებას უკეთებდა მნიშვნელოვან ბრიტანულ წყაროს, რომელიც წინასწარმეტყველებდა, რომ „პროცესი შეაძრწუნებს ქვეყანას“. გაზეთი წერდა: „ყველაზე სენსაციური მხილება შეიძლება აღმოჩნდეს ის ფაქტი, რომ რუსები აპირებდნენ დაენგრიათ სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ობიექტები მშვიდობიან დროშიც კი“. ორი კვირის შემდეგ დიდი ბრიტანეთის გენერალურმა პროკურორმა სერ პიტერ როულინსონმა გაფანტა ყოველგვარი ეჭვი ლიალინისა და მის მიერ წარმოდგენილი მასალების მნიშვნელობის შესახებ. წერილობით პასუხში კითხვაზე, რომელიც დაუსვეს მას პარლამენტში, სერ პიტერი წერდა, რომ ლიალინს ეკავა „საპატიო პოსტი“ სუკ-ს განყოფილებაში და მის მოვალეობაში „შედიოდა საბოტაჟის ორგანიზაცია გაერთიანებულ სამეფოში“. გენერალური პროკურორი აგრძელებდა ბატონი ლიალინისათვის თავშესაფრის მიცემას. თავშესაფრის მიცემის შემდეგ, იყო სერიოზული საფუძვლები გვეფიქრა, რომ მისი პირადი უსაფრთხოება საფრთხეში იყო, რასაც კიდევ უფრო აძლიერებდა ის ფაქტი, რომ სუკ-ში მისი განყოფილების მოვალეობებში შედიოდა, აგრეთვე, ცალკეული ადამიანების მოცილება, სსრკ-ს მტრებად რომ ითვლებოდნენ.

1972 წლის 17 აპრილს, ლონდონიდან 1000 კილომეტრის დაშორებით გამოჩნდა დამატებითი მტკიცებანი იმისა, რომ სუკ-ი აგრძელებს მუშაობას, რათა შექმნას დასავლეთში პოტენციური დივერსანტრებისა და დაქირავებული მკვლელების ქსელი. კანადის ქალაქ ედმონტონში საღამოს 10-ის ნახევარზე ანტონ საბოტკამ დაამთავრა მუშაობა და გაემართა თავისი მანქანისაკენ, რომ წასულიყო სახლში. სიბნელეს უცებ გამოეყო სამი კაცი და გარს შემოერტყა მას; მათ წარუდგინეს კანადის სამეფო პოლიციის პირადობის მოწმობები. „ჩვენ გვინდოდა გასაუბრება თქვენთან“, — თქვა ერთერთმა მათგანმა, — მოგვეცით, გეთაყვა, თქვენი მანქანის გასაღები“.

კანადელებმა საბოტკა წაიყვანეს უახლოეს მოტელში. პოლიციის ჯგუფის უფროსმა უთხრა მას: „მე ვფიქრობ, თქვენ იცით, რის შესახებაც გვინდა მოლაპარაკება“.

საბოტკა მძიმედ დაეშვა სკამზე: „მე ვიცოდი, რომ ეს დღე მოვიდოდა, — უპასუხა მან, — მზად ვარ გითხრათ ყველაფერი და მოვიხადო სასჯელი“.

ისტორია, რომელიც საბოტკამ უამბო კანადის პოლიციელებს იმ საღამოს და მომდევნო დღეებში, უჩვენებს, რამდენად საფუძვლიანად ემზადება სუკ-ი საზღვარგარეთ ნგრევების დაწყებისათვის შესაძლებლობისთანავე.

(გაგრძელება იქნება)

გაზეთ „საქართველოს“ ახალი და ძველი ნომრების შეძენა შეიძლება რედაქციაში

სარედაქციო კოლეგია	რედაქციის მისამართი: თბილისი, თავისუფლების მოედანი, პუშკინის ქ. №5 ტელ: 93-15-89, 93-17-10	შპს გაზეთი „საქართველო“ რეგისტრირებულია თბილისის კრწანისის რაიონის სასამართლოს მიერ №06/4-444 გაზეთის ინდექსი 66447	გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. გამოქვეყნებულ მასალებზე პასუხს ავტორი აგებს.